

# თანამედროვე სომხური პოეზიის ანთოლოგია

პროექტის ავტორი  
მაცვალა გონაშვილი

სარედაქციო კოლეგია  
ვაჟა ოთარაშვილი  
რევაზ შიშველაძე  
ანაიდა გონტაძეანი  
გივი შანაზარი  
მზია ხეთაგური  
დავით შამოქმედი

რედაქტორი  
მანანა გორგიშვილი

უწყვეტის ავტორი  
მაცვალა გურგოვანი-საბაქიანი

გარეკანზე მარტივად სარინის ნახატები

# ԺԱՄԱՆԱԿԱԿԻՑ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՊՈԵԶԻԱՅԻ ԱՆԹՈԼՈԳԻԱ

Նախաժողովի հեղինակ  
ՄԱՂՎԱԼԱ ԳՈՆԱՇՎԻԼԻ

Խմբագրական խորհուրդի  
ՌԵՎԱԶ ՄԻՇՎԵԼԱԶԵ  
ՎԱԺԱ ՕԹԱՐԱՇՎԻԼԻ  
ԱՆԱՐԻՏ ԲՈՍՏԱՆՋՅԱՆ  
ԳԻՎԻ ՇԱՀՆԱԶԱՐ  
ՄԶԻԱ ԽԵԹԱԳՈՒՐԻ  
ԴԱՎԻԹ ՇԵՄՈՔՍԵԴԵԼԻ

Շապիկի էջերին օտարորոժված են  
ՄԱՐՏԻՐՈՍ ՍԱՐՅԱՆԻ կտավները

Տողացիները՝ ՄԱՂՎԱԼԱ ԳԵՈՒՐԿՈՎԱ-ՍԱՀԱԿՅԱՆԻ



სომხური პოეზიის ანთოლოგია ქართველთა და სომეხთა შორის გადებული კიდევ ერთი სიყვარულის ხიდია, სომღერაა მარადისობის. როგორც მწერალი ლევონ ანანიანი წერს:

უმდიდრესია ზღვა ჩემი ენის,  
როგორც ქართული ენა მდიდარი,  
ენა მგოსნების, ღმერთების ენა,  
ზღვასავით უხვი და წყალმდინარი.

და აი, მკითხველო, გიწვევთ ამ მშვენიერი თანამედროვე სომხური პოეზიის „ღმერთების ენაზე“ წასაკითხად.

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ინგა აკოფაშვილი

**ISBN 978-9941-0-0452-0**



ინტერვიუ

ინტერვიუ, კარგად  
და დღეს იმერს მანქანის  
... მძღვე  
კვამბაძე ან რიგითი



## ბაბრატი ალექიანი


პოეტი. დაიბადა 1949 წ. საქართველოში, ახალქალაქის რაიონის სოფელ კარწახში. 1966 წელს დაამთავრა ქალაქ ვალეს სომხური საშუალო სკოლა, ხოლო 1973 წელს ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. ამავე წელს მუშაობა დაიწყო სკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში. მუშაობდა გაზეთის „სომეხი მწერლის“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობების „ნორ დარის“ („ახალი საუკუნე“) და „პარუირ სევაკის“ დირექტორად. ამჟამად სომხეთის მწერალთა კავშირის გამომცემლობის დირექტორი და ათმე პეტი პოეტური კრებულის ავტორია. მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიის „პარუირ სევაკ“-ის ლაურეატია.

### შემიბრალე

ყოვლისშემქმნელს თვალში ნაცარს თუ შეაყრი,  
სიცრუისკენ გადიხრება სასწორი,  
შემიბრალე, ავი სენი ამარიდე,  
ხომ არა გაქვს ძაღლის ძუძუ ნანოვი.



ჯერ ხომ ვცოცხლობ, ისევ პირში სული მიდვას  
რატომ მაფენ ჭრილობაზე ქვამარილს.

ყოვლისშემქმნელს, ყოვლისმხილველს თვალეებსა სთხრი  
და ყმუილით მხვდები კართან სამარის.



## მამაჩემი

აი, რამდენი წელი არის, ჩემო მამილო,  
მე მხრებს მიმძიმებს შენი ქვა და  
შენსკენ მოვდივარ...  
შენსკენ მოვდივარ და შენამდე  
ვერ მივალწიე.  
დაბნეული ვარ, მამაჩემო,  
გონი მერევა.  
როგორ დამძიმდა შენი ლოდი,  
ტანს შეეზარდა.  
ქვა რას მიქვია, როცა ტანში  
სისხლიც გაქვავდა.  
შენსკენ მოვდივარ და არ ვიცი,  
ვერ გამიგია,  
ქვას ვეზიდები თუ თვითონ ქვას  
შენთან მოვყავარ.



**პარლენ  
ალექსანიანი**





პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა 1942 წელს სომხეთში, თა-  
ლინის რაიონის სოფელ გარნაპოვიცში. 1970 წ. დაამთავრა  
ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტე-  
ტი. რვა პოეტური კრებულის ავტორია. სომხეთის მწერალ-  
თა კავშირის ს.გ. ზორიანის სახელობისა (1992 წ.) და კულ-  
ტურის კავშირის „თექვიანის“ ლიტერატურულ პრემიების  
(1997 წ.) ლაურეატი.

ამჟამად სომხეთის მწერალთა კავშირის გამომცემლო-  
ბის რედაქტორია.

**დაბრუნება**


მითხარ, საითკენ?  
 თოვლისგან შობილ წყაროსთვალისკენ?  
 საზღვრიდან საზღვრამდე  
 მოხეტიალე ქარებისა თუ  
 შეყვითლებული ყანებისაკენ?  
 თავთავები ერთადერთ სიტყვას  
 ჩურჩულებენ:  
 დაბრუნება,  
 დაბრუნება,  
 უკანდასაბრუნებელი გზა  
 თქვენ თვითონ აირჩიეთ.



დაბრუნება  
უმიზნო დღეების ძილისმომგვრელი  
ძარღვისაკენ.  
საბოლოო და ერთადერთი  
ოცნებისაკენ.  
ქვათა შეგროვების დროა,  
კარის ჩარაზვის დროა,  
როგორი ლმობიერია კაცობრიობა  
ქვის საუკუნიდან  
გადაუღებელ ნვიმებამდე,  
როგორი უდარდელია და  
მორჩილი სული.  
მორჩა, გათავდა  
დალურსმე კარიც და ფანჯარაც  
ჯვარედინი ფიცრებით.  
დანერე ბოლო წერილი  
და მაშინვე დაწვი.  
მტერიან მინაზე თითით მოხაზე:  
„გაემგზავრა  
გაურკვეველი მიმართულებით  
და განუსაზღვრელი დროით“.  
ესე იგი დაბრუნებულა!  
საითკენ?


## უთავპოლო ლექსი

ხელგამონვდილმა მათხოვარმა  
სიტყვა მთხოვა,  
ყაჩაღმა დანა ყელს მომაბჯინა  
და ერთი სტროფი ისე წამგლიჯა.  
მილიციელმა ერთი სტრიქონით დამაჯარიმა,  
ერთი მაგდენიც გადასახადის ამკრეფს მივეცი.  
მშვენიერი რითმები  
კარტის თამაშში წავაგე.  
ერთმა ჯიქურად ხელი სტაცა



სამ მამალ სიტყვას,  
და მეც დავუთმე,  
ნაზი სტროფები ქალბატონმა  
სანოლისაკენ წაანანავა.  
ერთი აბზაცი ბაზრის სასწორზე  
დავდე, რათა გადამერჩინა  
კილოგრამის ღირებულება.  
მეზობელმა კი მთელი გვერდი სესხად წაიღო.  
ეპითეტები ლამაზმანთან შემომეხარჯა.  
მაპატიეთ, ესლა დამრჩა,  
ლექსი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს  
და არც დასასრული.





## არეკუპატ აკაქიანი

პოეტი, მხატვარი. დაიბადა 1940 წ. სომხეთში, ქალაქ ამგარაკში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.


სახელგანთქმულ მხატვარს ბევრი გამოუენა ჰქონდა ერევნის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის მწერალთა ცენტრალურ სახლში, საავტორო სადამოები და გამოუენები კიევში, ვილნიუსში, კაუნასში, ბოსტონში, ლოს-ანჯელესში და სხვაგან.

ვახლავთ მრავალი წიგნისა და არაერთი პრემიის ლაურეატი.

ამჟამად სომხეთის კულტურის ფონდის თავმჯდომარეა.

### ყველაზე კარგი


ჩემი შემოქმედი,  
ვინც სიცოცხლე მომანიჭა,  
უდიდესი ღმერთია.  
მამაჩემი ყველა მამაზე  
კარგია, როგორც –  
მზე, მე რომ ვიხილე,  
უკეთესია ყველა ვარსკვლავზე,  
რომელმაც მე, მამაჩემს,  
პაპაჩემს, პაპისპაპას  
სინათლე მოგვცა.



ჩემი ცოლი  
 ჩემს ყველა სიყვარულზე  
 კარგი ყოფილა,  
 და კიდევ –  
 ყველა დედასავით კარგი.  
 მიწა, რომელმაც მკვება,  
 ცა, რომელსაც ჩემი ოცნებები  
 გულში აქვს ჩახვეული,  
 ჩემი შვილები, შვილიშვილები  
 მშობლები, მეგობრები,  
 ჩემი მტრებიც კი  
 სხვა პლანეტის,  
 სხვა ცის, სხვა მიწის,  
 სხვა ვარსკვლავის შვილებზე  
 საუკეთესონი ყოფილან.

## ბანახლებული მზერა


ადამიანი თვალებს ახელს  
 დედის დასანახად და  
 მამის შესაცნობლად,  
 დაფორთხავს მშობლების ირგვლივ,  
 რძესთან, ალერსთან და პურთან ერთად  
 აჭაშნიკებს მარილისა და  
 სიტყვის გემოს.  
 მის მიერ ნანახი ერთადერთი ცის  
 უდიდესი ვარსკვლავის ციმციმში  
 იკვებება, რომ იცოცხლოს,  
 და ცოცხლობს,  
 სიყვარულის ნაყოფს რომ შეექცევა.  
 დიდად არ წუხდება,  
 რათა შეიცნოს საკუთარი თავი  
 და აღიქვას  
 ცისა და მიწის არსი.  
 სიცოცხლის სიყვარული  
 ყვავილობს მასში,



და ზაფხულისპირა ბალახებივით,  
თესლს აბნევენ დღეები:  
ის ეძებს, რასაც  
ვერასოდეს იპოვის  
და პოულობს  
სარგებელს და დაკარგულს,  
რაც არასოდეს უძებნია.  
ადამიანი ხუჭავს თვალებს,  
რომ უსასრულობიდან  
ამოფეთქილი სიზმრები  
ქუთუთოების ქვეშ იხილოს,  
დაღლილი  
მისი მცირე ნახევარი კვდება.  
შეუმჩნევლად ნადგურდება  
დიდ მე-ში,  
რათა დილით  
გაიღვიძოს  
სალი გულით  
და განახლებული  
მზერით.

## ორშაბათი – დღე პირველი

დღე პირველი კეთილია,  
რადგან ღმერთმა შექმნა  
ცა და ხმელეთი ამ დღეს  
და უნეტარესი სინათლით  
ალავსო დღე პირველი.  
დილიდან საღამომდე,  
ჟამიდან ჟამამდე,  
ვით უფლის წყალობა,  
ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის.  
ის პირველი დღე მეორდება  
ყოველ კვირას,  
ყოველ თვეს,  
ყოველ წელს,



დღე ორშაბათი

სიკეთისა და იმედის მთესველი.

მაგ დღეს კარგია საქმის დანყება,  
საძირკველის ჩაყრა და გზად წასვლა.

მაგ დღეს დაკარგული გამოჩნდება,  
აყადმყოფი გამოჯანმრთელდება.

ამბობენ მაგ დღეს დაიწყოს

ნოემ კიდობნის აშენება.

მოსემ ერი ეგვიპტიდან გამოიყვანა,


სოლომონმა ეკლესიის საძირკველი ჩაყარა

და გაბრიელ მთავარანგელოზმა

ღვთისმშობელის მხსნელის დაბადება გვამცნო.

როგორც სინათლის ქვეყნად განფენა,

პირველი დღე კეთილია.



**ლევონ  
ნანიანი**

მწერალი, პუბლიცისტი. დაიბადა 1946 წ. სომხეთში, ნოემბერიანის რაიონის (ამჟამად გაუშის ოლქი) სოფელ კოლბში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. თითქმის 25 წელი მუშაობდა ჟურნალ „გარუნში“ მთავარ რედაქტორად.



2001 წლიდან დღემდე სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. პარალელურად ლექციებს კითხულობს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ნოემბერიანის“ თავმჯდომარეა. აგრეთვე ჟურნალისგთა კავშირის წევრია.


თარგმნა და გამოსცა წიგნები ინგლისურიდან და რუსულიდან. დააფუძნა მთარგმნელობითი გამომცემლობა „ავოლონი“. მრავალი წიგნის ავტორია. მიენიჭა მრავალი ჯილდო. არის მრავალი პრემიის, მათ შორის ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი.

**სეპანის ნანილი ჰაერში მოქანავი**  
(დიალოგი დროში)

გზამ მშთანთქა მტვრიანმა,  
როგორც ზღაპრულმა გველეშაპმა.  
გულში ხანჯლად მესობა



ბებერი მთების ირონიული მზერა,  
მაინც ვინა ვარ  
სევანის ქვიშაზე?  
მოხეტიალე თუ მოცურავე?  
თავსზემთ, ნისლიან დღეების ტალღებში  
იშხანის გუნდმა გადაიცურა.  
სად არის წყალი?  
ცად ასულა, აორთქლებულა.  
ხორკლიანია მინის ენა,  
თეთრი და მშრალი  
შვიდთავა ვეშაპის ეშვივით მოელვარე,  
გამხდარა ჩვენი გულგრილობის სამიზნე.  
ფრანგი მეცნიერი ქალი  
სანაპიროზე ისტერიულად გაჰკივის:  
— გამიხვიეთ, სასწრაფოდ გამიხვიეთ  
ეს ტბა! ჩემი მეუღლის დისშვილისთვის  
მინდა საჩუქრად.  
დამშრალი ტბების კოლექცია  
მისი ჰობია.  
ევროკავშირის ნევრობა გსურთ?  
ნება იბოძეთ, შეკრიბეთ თქვენი საგანძური  
ევროპის გულში.  
ჩვენ ისე ძლიერ ვწუხვართ მსოფლიოს  
ეკოლოგიურ პრობლემებზე,  
ბუნების დასაცავად  
მზად ვართ, ერები საკუთარი მიწებიდანაც ავყაროთ!  
წამწამებს ვახამხამებ:  
ცრემლის მარილია თუ თვალში  
თევზის ფხა ჩამივარდა?  
ტკივილი გულამდე.  
სომხეთი ზღვიდან ზღვამდე  
ბოდვა თუ ფერადი წარმოსახვა?  
ისტორიას ჩავაბაროთ  
ეროვნულ დანაკარგთა ჩანაწერებში.  
ეს ტბა არ არის, ქალბატონო,  
ფირუზისფერი თვალია ობოლი,  
თქვენს ევროპულ საყელოს ავგაროზად მოუხდება.



\*\*\*

ახლა მე თევზი ვარ ხმელეთს შერჩენილი,  
სისველე მწყურია, ჰაერი არ მყოფნის.  
თევზი ვარ, ვიღრჩობი.

## დაუსწრებელი ვახუშაძე რევაზ მიშველაქესთან

მირონცხეხეული გაშლილი სუფრა,  
დღეს უნდა გითხრა გულით სათქმელი,  
ერთი გვაქვს, ძმაო, ბედის ვარსკვლავი,  
თუმც სომეხი ვარ, შენ კი ქართველი.  
უმდიდრესია ზღვა ჩემი ენის,  
როგორც ქართული ენა, მდიდარი.  
ენა მგოსნების, ღმერთების ენა,  
ზღვასავით უხვი და წყალმდინარი.  
ჩემს და შენს გულში გაღვივდა, ძმაო,  
ამ დალოცვილი პურის მარცვალი,  
დაგვბედებოდეს მზე და სინათლე,  
სიკეთე ყველა, ქვეყნად რაც არის.  
ქარს გავატანოთ ძველი ეჭვები,  
წმინდაა ჩვენი ძმობის სათავე,  
კვლავ სიყვარულის თალი შეიკრა  
დღეს ყაზბეგიდან არარატამდე.

## მამაჩემი

დილა მდელოს ესალმება,  
მკათათვეა ცხელი  
და მინდვრისკენ გზას მიჰყვება  
მამა, მხარზე ცელით.

თენდება და ზეცა ხუჭავს  
ვარსკვლავების თვალებს.  
მინდორი ცად გეჩვენება,  
და ცელი კი მთვარედ.



მზე გადაჰყენს ცის მინდვრებზე,  
სირმებიან დიბას.  
რას დააკლებს მზის ეკლები,  
მხარბეჭიან მთიბავს.

დღე ილევა, ცის კაბადონს  
ეპარება რული.  
ძნას ბალახი ემატება,  
მამას მინდვრის სუნი.

### **დროის წინაშე (შემოდგომის ფიქრები)**



სხვისმა ფეხებმა წაიყვანეს იქ,  
სადაც საერთოდ იწყება ყველაფერი,  
(დაცემა გრძელდება ცხრა თვე)  
და აი, ნაყოფიც სანატრელი.

სხვისმა ხელებმა შინ მოიყვანეს,  
პატარა კაცუნა იყო თუ დიდი თოჯინა...  
სიყვარული, დროის ბრუნვაში.

მხოლოდ შორს ისევ  
ომის საფრთხე იყო, -  
ნაზი სხეულები,  
ფრთხილად მოძრაობენ ფოთლიდან ფოთლამდე,  
თითქოს არ ყოფილა ადამიანის მოდგმა,  
- და პური სავსე იყო  
ჭექა-ქუხილის მწვანე მეხთა-ტეხით.


წლები გავიდა -  
ნადირობა დამთავრდა, და  
ტყვიისფერ ბორცვებზე  
ადამიანი დარჩა მარტო.  
უცხოველოდ,  
ღმერთების გარეშე,





სასწრაფო დახმარების გარეშე,  
მხოლოდ პოლიტიკურ მოხსენების ანაბარა,  
რომლისგან აღიმართება ნანგრევები.

მაგრამ ადამიანი ჯიუტი იყო,  
საკუთარი ფეხით ის წავიდა-მოვიდა,  
გაიარა-გამოიარა  
გათელილი და ახალი ბილიკები,  
სანამ ერთ ნისლიან დღეს  
სხვისმა ხელებმა იქ წაასვენეს,  
სადაც საერთოდ მთავრდება ყოველი.



## არა ართიანი



პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა 1951 წ. სომხეთში, შირაკის ოლქის ქალაქ გიუმრიში (ყოფილი ლენინაკანი), პედაგოგის ოჯახში.

1973 წ. დაამთავრა ლენინაკანის მ. ნალბანდიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მოღვაწეობა დაიწყო როგორც პედაგოგმა. 1992-2000 წ.წ. გელეკომპანიის „შირაკ“-ის კულტურის ვადაცემის რედაქტორი იყო, ხოლო 2004 წლამდე ერევნის ლიგერაგურულ-კულტურულ ჟურნალ „ალმანახ“-ის პასუხისმგებელი მდივანი.

2003 წ. გამოაქვეყნა ლექსების წიგნი „შვიდგუმბათიანი ქალაქი“, ხოლო 2007 წ. თბილისში, ორგანიზაცია „ჯამურჯის“ მხარდაჭერით დაიბეჭდა თბილისელი სომეხი პოეტი ქალის (რუსულენოვან) მარინა კირაკოსიანის ლექსების კრებული მისი თარგმანით. ხშირად იბეჭდება სომხეთისა და საზღვარგარეთის პრესაში.

თარგმნილია ქართულ, რუსულ, უკრაინულ ენებზე.

## ბალადა

მე არც წინასწარმეტყველი ვარ  
და არც ავაზაკი.  
ნახევარი ცხოვრების გზა გამივლია.  
არც წმინდანი ვარ და





არც უნმინდური.  
რა არ მინახავს,  
მაგრამ ნეტა რას მივალწიე?  
ცა ფრთოსნებით სავსეა,  
მე კი ის სიხარულის ფრინველი  
ვერ მოვიხელთე.  
მამალი მტრედით ჩემსკენ მიხმობდი,  
მინდოდა მინახე იმედი ჩამომეტანა.  
ვერ გავიხარე, ფრინველებმა მიმატოვეს,  
ქვენარმავლებთან დავთვერი.  
ბედის დაკარგულ ისარს დავემსგავსე.  
ფრთოსანი ცხენი მექცა ჯაგლაგად,  
ყველა სიტყვა თოვლივით გაქრა.  
სად არის ბარათი, მტრედის ნისკარტით მოტანილი?  
სად არის სიტყვები — ჩემო სიცოცხლეო?  
სად არის სიხარული?

## **თამაში ტკივილსა და სიყვარულთან (ხალხურ მოტივებზე)**

გაფრენილა ბედის ჩიტი,  
მარტოსული კაცი ვარ.  
ცრემლის წყაროს სიყვარულის  
ზღვისკენ გავუტაცვივარ.  
არ ილევა სევდის წყარო,  
არასოდეს თავდება.  
ქვის ქვეყანა ჩემი ჰანგით  
მწვანედ ათავთავდება.  
როგორც ერთხელ გაგონილი  
სიტყვა ბედნიერების,  
ხატპეპელას ფრთიდან როგორც  
დაფრქვეული ფერები.  
ისე გაქრა ეს ცხოვრება,  
ალარ დამიბრუნდება,



როგორც წყალი მშრალ ქვიშაზე  
მინის გულში ბრუნდება.  
გადის უამი ძილ-ღვიძილში  
გულს ღრღნის ეჭვი ფარული.  
ზარებს ენად გამოვები,  
ისმის ჩემი უღარუნი.  
საიდან ვარ? გიუმრიდან,  
ერთი ლექსის კაცი ვარ,  
სევდის წყაროს სიყვარულის  
ზღვისკენ გავეუტაცივარ.





## არტემ არუთინიანი

პოეტი, მთარგმნელი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. დაიბადა 1945 წ. ქალაქ სტეფანაკერგში (მთიანი ყარაბაღი). დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უცხოური ლიტერატურის ასპირანტურის ინგლისურენოვანი განყოფილება. ლექციებს კითხულობდა ერევნის, მოსკოვის, სორბონის, მონპელიეს, მარსელის, დარემის, ქლივლენდის, ჰარვარდის, ლოს-ანჯელესის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. 1995 წ. ფულბრაითის სტიპენდიით ლექციებს კითხულობდა ჰამილტონის ქოლგეითის უნივერსიტეტში. 1994-1995 წ.წ. იყო მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ელჩი ვაშინგტონში.

ამჟამად უცხოური ლიტერატურის ისტორიას კითხულობს ერევნის უნივერსიტეტში.

ავტორია მრავალი წიგნის. თარგმნილია მრავალ ენაზე. სხვადასხვა პრემიის ლაურეატია, მათ შორის სახელმწიფო პრემიის (2004 წ.).




**სატელევიზიო-საინტერნეტო დაუსჯელობისა  
და მისი წიაღის NON STOP  
(ხანგრძლივი) ცხოვრების შესახებ**

1.

სატელევიზიო –  
საინტერნეტო  
დაუსჯელობა  
კომპარი გახდა  
(ჩვეულებრივი თამაში),  
საფრთხის გაუაზრებლად,  
თამაში გრძელდება ათწლედის მანძილზე,  
დიდებული აღმოჩენა ეწინააღმდეგება თავისივე მიზანს,  
ყოველდღე ურჩხულები გეჭრებიან ოთახში,  
ქუჩაში გამოვარდნილი შემთხვევითი პიროვნება  
ცოტა ხანში ქვეყნის  
პრეზიდენტი ხდება ეკრანზე,  
მერე გვიხსნის ქვეყნიდან  
გაქცევის მიზეზს,  
დაჭყეტილი თვალებიდან ცრემლები მოგორავს,  
(მერე ზემოთ იხედება ცხედარივით)  
რომელიც ინტერნეტიდან შენს ოთახში წვეთავს,  
წარღვნასავით მოვარდნილი,  
უახლოვდება არარატს.

საინტერნეტო –  
სატელევიზიო  
დაუსჯელობა  
საერთო-ეროვნული ლატარეაა,  
შემოგთავაზებს-გატყუებს-გასულელებს,  
და გაღლეტილთა მთელი დასი  
მას მიჰყიდის ერთობ  
ოჯახური სადილის ქალაღის ნაკუნებს.  
საინტერნეტო  
დაუსჯელი ამბების ღვარი  
ნებას რთავს



მაფიოზურ ჯგუფებს  
სადარბაზოში  
(და ნებისმიერ შენს ტერიტორიაზე)  
დაცხრილოს ოცდაათზე მეტი  
ახალგაზრდა სომეხი მოღვაწე  
და შეაღწიოს დაწესებულებაში,  
თითქოს კაცი კი არა,  
უპატრონო კნუტი დაჭრესო,  
და სადარბაზოში მშვიერი კნუტის  
დამშეული კნავილია, მშვიერის სინდისს  
რომ აღვიძებს,  
ვისთვისაც არ სცხელა არც ერთ გარენარს...  
ინტერნეტის მხურვალე შხამი  
რყვნის შეყვარებულების საძინებელ ოთახს,  
ბილწავს სექსს დანატრებულ ადამიანის საცხოვრისს.



## 2.

ამგვარად,  
ინტერნეტის დაუსჯელობა  
სურათ-სურათ ავსებს  
საზოგადოების ყველა კუთხეს.  
უგლისავს გაოცებულ პირებს  
დაძენძილი ქარქაშიდან ამოღებულ ხალხს,  
რომ იჭინთებიან, ქანაობენ,  
როგორც მინიდან ამოზრდილი ნერგი  
მოინევეს ზევით.  
მე კი ინტერნეტის გიჟური შემოჭრის  
ანტიშხამად ვიყენებ  
მოჩვენებათა ჟანრის ექსტრაქტის  
გაახლებული ფლაკონის  
მკვეთრ ზიგზაგებს,  
საიდანაც ჩნდებიან უცნაური სტრიქონები.  
ვითომ „ჩემი ფეხები ჯერ კიდევ დასვრილია  
ოთხივე კონტინენტის სასტიკი ტალახით  
(წამში რომ მოვიცილდე  
ჩემი ფიქრის ინტერნეტის ჩართვით),



ცვარი დაეხეტება გულის  
ოთხივე პარკუჭში,  
და დილას დაეძებს  
მითიური ყვევილების დაჭყეტილ თვალეში.  
ჩემი ენა „სამი ბავშვის“ გვერდით მიმავალი  
ანკარა მდინარის კალმახივით წითელია, მოქნილი,  
თუმცა ირგვლივ ყველაფერი დახავსებულია  
უხილავი ტყუილის სქელი ფენით,  
რისგანაც ბლინებს აცხობენ ნაალაფარი დეპუტატები,  
შტერი ბრბოს ყურზე ჩამოსაკიდად.  
თვალთაგან მცვივა საწვიმარი  
ღრუბლის ოთხი სახეობა,  
ცქაფად რომ შედის ზეციური სალხინებლის  
ნაზსახიან პროკურორთან,  
შემოქმედისთვის ბოდიშის მოსახდელად,  
ისედაც ავადმყოფი სომეხი საზოგადოების თავზე  
უსასრულო წვიმის მოვლინების გამო...  
ასე, რომ ცხოვრების ფილმში  
(და ინტერნეტის უკანა ეზოებში)  
ყველა გარბის სხვის შესახვედრად,  
ასძახის სახელს სულის მოხსენიების წინ,  
აღნიშნვს პირადი ინტერნეტის ქონების ციფრებს  
და... იაღლიში...  
NON STOP.  
ცხოვრების მორევში...







## თათულ პოლორჩიანი

პოეტი. დაიბადა 1931 წელს საქართველოში, ახალქალაქის რაიონის სოფელ გუმბურდოში. 1957 წელს დაამთავრა ახალქალაქის პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1965 წელს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა გაზეთის „პაირენიქი ძაინ“-ის („სამშობლოს ხმა“) რედაქციაში და ერევნის აბოვიანის სახლ-მუზეუმში ლიგმუშაკად. ავტორია თხუთმეტი მეტი წიგნის. ცხოვრობს და მოღვაწეობს ერევანში. არაერთი პრემიის ლაურეატი.

### მეხსიერება

სად მიაქვს ამ წყალს ჩემი სიმდიდრე...  
მეხსიერება?  
მეხსიერებამ ზღვას მიაღწია...  
აქაფდა, ანაპირდა, აღელდა, დანყნარდა...  
თევზებმაც იგემეს ჩემი მეხსიერება.

სად მიაქვს ღრუბელს ჩემი სიმდიდრე...  
მეხსიერება?  
მან უკვე ზეცას მიაღწია,  
ღრუბელმა იგი ნისლად აქცია,  
ჩემი მეხსიერება ბურუსში გაიფანტა...



\*\*\*

სად მიაქვს ცის თაღს ჩემი სიმდიდრე...  
მეხსიერება?  
მან უკვე ვარსკვლავს მიაღწია,  
აკიაფდა, აციმციმდა,  
ამოხეთქილ ყვავილს დაემსგავსა,  
რომელიც, მერე ჭკნება...

სად მიაქვს ჩემ ძილს მეხსიერება,  
ამ ჩემ სიმდიდრეს საით მივყავარ,  
ან სად რჩება, ვისთან რჩება,  
სად გაიხარებს?  
ვიტირო თუ გამეცინოს, ვერ გამიგია...  
თუმც სულერთია, — ბოლოს ხომ მაინც  
ხავსად იქცევა ჩემი სიმდიდრე --  
მეხსიერება.


\*\*\*

ჩემს ხელში ყვავის ლოტოსი,  
ლოტოსებს შენტვის კრეფენ...  
არა მაქვს ტახტი მეფისა,  
შენა ხარ ჩემი მეფე.

ვარ სიყვარულის შეგირდი,  
მხოლოდ შენტვის ვძგერ მარად,  
მე გარეთა ვარ, შენ — შიგნით,  
ზიხარ და სივრცეს მპარავ!

\*\*\*

ნეტავ, სად ჩარჩა ჩემი ასაკი —  
უბის წიგნაკში? იქნებ სიზმარში?  
თუმცა, ნაპოვნიც და დაკარგულიც  
ჩემია იგი — წლებით, ტანჯვით მოპოვებული.  
ნეტავ, სად დამრჩა წლები და ტანჯვა —  
ჯიბეში? კალენდარში? უაზრობაში?



იქნებ სიბრძნეში?  
თუმც, სულერთია! — ჩემი გაჩენაც,  
სიცოცხლეც და იმქვეყნად წასვლაც  
ჩემია მხოლოდ!  
მანც, სად ჩარჩა ჩემი წლები,  
ჩემი ცხოვრება!

\*\*\*

სხივი სხივს შორდება,  
მთლიანად შორდება,  
უდაბნოს მკერდზე ეცემა და  
იძინებს...

სხივი სხივს შორდება,  
მერე კლდეს მისწვდება,  
მთებს დაიპყრობს და  
იძინებს...

სხივი ყველგან მიაღწევს,  
შემოდგომის წლებს სწვდება,  
წყალს და ხიდებს მოივლის,  
სულშიც შემოიჭრება ... და  
იძინებს.


\*\*\*

ყველაფერი ქრება და ყველაფერი ჩერდება...  
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს ბერდება!

წყალნი წავლენ-წამოვლენ, წყალნი ხავსებს ედება,  
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს ბერდება!

მთებით, მიეთ-მოეთით სიყვარულიც ნელდება...  
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს ბერდება!

ნაოჭები სხეულზე მოჩანს, როცა თენდება...  
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს ბერდება!



## ანაიდა ბოსტანჯიანი



ანაიდა ბოსტანჯიანი ცნობილი თბილისელი სომეხი პოეტი ქალია, ეურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. იგი თითქმის 35 წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს როგორც პოემების, ასევე მხატვრული თარგმანისა და ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების დარგში.


იბეჭდება საქართველოს, სომხეთისა და საზღვარგარეთის პრესაში.

ავტორია ოცამდე წიგნისა. თარგმნის ქართულიდან სომხურ ენაზე, ბოლო წლებში კი სომხურიდან ქართულ ენაზე.

პირველი პოეტური კრებული გამოიცა თბილისში 1986 წელს გამომცემლობა „მერანში“. წლების მანძილზე იყო გამომცემლობა „მერანის“ სომხურენოვანი გამოცემების უფროსი რედაქტორი და მის მიერ რედაქტირებულია 200-ზე მეტი სომხური წიგნი.

ცალკე წიგნად ერევანში გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, თამაზ ჭილაძის, ხუგა ბერულავას, მაყვალა გონაშვილის ნაწარმოებები. თარგმნილი აქვს 60-მდე კლასიკური და თანამედროვე ქართველი ავტორის ნაწარმოები.

თბილისში სომხურენოვან ვაზეთ „ვრასგან“-ის ვანყოფილების გამგეა, ასევე სომხეთის „ოქრო ოქროიანის“ ლიტფონდის თავმჯდომარის მოადგილეა საქართველოში და საქართველოს მწერალთა კავშირის სომხურენოვან აღმანახის „ხიდის“ მთავარი რედაქტორი.



ქართული ლიტერატურისა და კულტურის დიდი მოყვარული და შემფასებელია, გამოქვეყნებული აქვს წერილები: ი. ნონეშვილზე, რ. მარგიანზე, ჯ. ჩარკვიანზე, მ. ფოცხიშვილზე, სტ. მხარგრძელზე და სხვა.

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (2001 წ.), სომხეთის მწერალთა კავშირის პრემიით „ახალგაზრდა მთარგმნელისათვის“ (1982 წ.) და მედლით „ლიტერატურული ღვაწლისათვის“ (2006 წ.)

არის საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

2007 წელს თბილისში დააფუძნა და ხელმძღვანელობს ლიტერატურულ-კულტურულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას „კამურჯს“ („ხილი“).

2007 წელს თბილისში, გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ გამოსცა მისი ლექსების კრებული ქართულ ენაზე „გულის სალბუნი“.


## ღვთიური სიტყვა

ღვთიური სიტყვა, უნმინდესი  
ყოვლადძლიერი,  
შუქი ცხოველი, ზეციური,  
ნათლის იერით.

ციურ მანანად დაფრქვეული  
სერაფიმია,  
უფლის კვერთხია,  
შემოქმედის ნმინდა ცრემლია.

გულის ცეცხლია, ოქროს ბურჯი  
ძალა ღვთიური,  
სიყვარულია,  
ჭეშმარიტი, მარადიული.

ნათლის შუქურა  
და იმედის ნმინდა თესლია,  
ალამდარია,  
მაღალია, როგორც მესია.



მოდით, ერთმანეთს ვესაუბროთ  
ენით ღვთიურით,  
დე, მივაპუროთ მოძმის გულებს  
გზებით მზიურით.

უფლის შუქურით ერთურთისკენ  
მიგვიხაროდეს,  
რომ ამ სამყაროს მაჯისცემა  
შენყდეს აროდეს.



## ოდა დედას

წლების მანძილზე,  
დედაჩემი დღენიადაგ  
ჩემს გზას გაჰყურებს,  
და თუ გაბადრული სახით  
ფეხი შემოვდგი ზღურბლზე,  
თითქოს უქრება დარდი,  
ახალგაზრდავდება, იტყვის  
ერთი ხიდიც გადავიარეთო,  
დიდება შენდა, უფალო!  
ხოლო, როცა დაღლილი და უხასიათო  
ვბრუნდები შინ,  
წყენით თვალს თვალში გამიყრის,  
ამოიოხრებს, შემდეგ კი სევდიანი  
გვერდზე გადაგება.  
და ნაღვლიან სიმღერას ღიღინებს,  
ლამობს დამალოს  
ღანეზე ჩამომდინარე წმინდა ცრემლი.  
მერე მოვა და ნუგეშის ხელს თავზე გადამისვამს,  
მეგურგურება: — შვილო, სხვა რომ არაფერი,  
ჩემი თმა მაინც არ გეცოდებაო?  
ჩემი თმა მაინც არ გებრალებაო, შვილო!



## ვეუპირისპირები

მეუბნებიან  
ძალიან ხშირადაც..  
და ბევრნიც...  
ქალი ხარო,  
ქალმა ამდენი როგორ უნდა იჯიუტოს?..  
— ენა დააყენე! — ამდენს როგორ ბედავ?  
მაგრამ იძულებული ვხდები, ისევ  
დავეუპირისპირდე  
და უბრალო, გასაგები ენით  
ავუხსნა ხელახლა,  
თუ რად ან რატომ ვეურჩები...  
ნამდვილად ტყუილს ამბობენ,  
და არ რცხვენიათ,  
უფრო მეტიც,  
დროშად აქცევენ ამ მხსნელ ტყუილს  
და სიმართლის ნაცვლად  
მარცხნივ სწევენ მარჯვენას.  
არ დავეუპირისპირდე?  
დაღეჭილი სიტყვაა,  
მაგრამ ჯერ ისევ ლეჭავენ  
და არ ბეზრდებათ:  
გიმტკიცებენ, მანონი შავიაო  
და პირს გიკუპრავენ.  
რა, მეც ვემსხვერპლო ამ ტყუილს,  
რახან ქალი ვარ,  
დავდუმდე, არ დავეუპირისპირდე?  
მოდად ქცეული სხვა შემთხვევაც:  
პატრიოტიზმსა და სამშობლოზე  
და ღვთიურ სიყვარულზე  
სცენაზე ყოველდღე ქადაგებს  
გუშინდელი ცნობილი ერის  
მოღალატე და უღვთო!  
ტაში დავუკრა, არ დავეუპირისპირდე?  
სხვასაც კი  
„გამოუყენებია“ ცხოვრებაში





განაჩენის არნახული და გაუგონარი  
ყველა ვარიანტი,  
მაგრამ თავის თვალში  
ღირეს ვერ ხედავს,  
შენი თვალის ბენვზე მიგითითებს  
და უფრო მეტიც,  
ბოროტმოქმედს გინოდებს,  
თავის ინტრიგაში გხვევს...  
დაემუნჯდე,  
ვირობა გამოვიჩინო?  
დედამ შვილი წვითა და დაგვით  
მარტომ გაზარდა,  
მაგრამ მადლობის მაგიერ  
მის სილას იმსახურებს.  
განზე განვუდგე, შორიდან ვუყურო,  
არ გამოვექომაგო და არ დავიცვა?..  
და აი ასე, ათასი მიზეზით,  
ანტიპათიურად განვეწყობი,  
ნერვებზე ვიშლები,  
ფფიცხდები, წონასწორობას ვკარგავ,  
მაგრამ ვინ გისმენს, ვინაა განმკითხავი,  
ჯერ კიდევ როდის უთქვამთ  
ჩვენს ბრძენ წინაპრებს,  
გამგონს ერთი სიტყვაც ეყოფა,  
გაუგონარს ათასიც არაო.



## მიქლვანა თბილისს

თბილისში დავიბადე...  
აქ ვიხილე მზის სხივი,  
აქ შევესვი მტკვრის წყალი  
ემბაზი ჩემთვის,  
და უფლის ყოველ დღეს  
მე დღემდე ამ წყლით ვაგრილებ  
მხურვალე, მწყურვალე გულეებს...  
აქ ჩამინერგეს მე რწმენა წმინდა





ზარებმა ჩვენი წმინდა ტაძრების,  
მთანმინდა — ჩემი მზეთუნახავი,  
ნარიყალა — ისტორია მარადმხურვალე...  
აქ ცისარტყელას ფერთა  
ლივლივია ირგვლივ,  
და სიცოცხლეს მანიჭებენ  
ხეთა საღი ფესვები.  
ლოცვასავით აქ წარმოვთქვი  
მე პირველი ჩემი სიტყვა,  
აქ მძივივით ჩამოვმარცვლე  
ნატვრები და ოცნებები ჩემი...  
ო, საყვარელო ჩემო ქალაქო,  
ჩემო დილაჲ და დღეო ნათელო,  
შენზე სიმღერა ჩემს ბაგეებს  
ცისარტყელად ეფინება  
ყოველი დღე, ყოველ წამს.



## ვიოლეტ ბრიგორიანი



პოეტი. დაიბადა 1962 წ. თეირანში. 1976 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ერევანში. დაამთავრა ერევნის აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოსცა ოთხი პოეტური კრებული სომხურად და ფრანგულად.



ინტერნეტ-ჟურნალის ([www.bnagir.am](http://www.bnagir.am)) დამაარსებელი და თანარედაქტორი იყო. არაერთი პრემიის ლაურეატია, რომელთაგან აღსანიშნავია – მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია (1991 წ. პირველი წიგნისათვის) და სომხეთის პრემიენგის პრემია „ოქროს ლერწამი“ (2000 წ. წიგნისათვის „ქალაქი“).

ამჟამად ინტერნეტ-ჟურნალის „ავტოგრაფის“ რედაქტორია ([www.inknagir.am](http://www.inknagir.am)).

## სიყვარული

ა.

ეს სხეულია, სიყვარულს რომ მიჰბარებია,  
სისხლია, რომ დულს ძარღვებში და რომ მიჩხრიალებს,  
დღეს ნადიმს ვანყო, დღესასწაულს, — ვხარობ ამიტომ,  
ველი სიხარულს ხორცისას და  
ჯანის კვირადღეს.  
ჩემს სატრფოს სუფრა გაგიშალე  
და ამ საღამოს,



გთხოვ, მესტუმრო და ყველაფერი, რაც მაქვს, შეირგო.  
 დღეს მე გამასპინძლობ, გენაცვალე, — ხაჩიკის ქალი.



მომეალერსე, და როცა ხარ,  
 იმაზე მეტად

არასოდეს დაბერდები, დასნეულდები...  
 მომეალერსე და არც სიკვდილს მივახლები.  
 რადგან დათრგუნვა სიკვდილისა — სიყვარულია,  
 ტვირთთა ზიდვით თვალს აიხელს თვალეზდავისილი,  
 მუნჯი გულის ბაგეებით იმეტყველებს და  
 სხეულის კვალს გაჰყვება კოჭლი...  
 თბილი ამბორი მზეთუნახავს სიკვდილიდან გამოიყვანს და  
 რაკი ასეა,  
 თუ მაკოცებ...  
 არც მე მოვკვდები...

შეხე, ვით დაღრღნა მლილმა და ჩრჩილმა ჩემი ქონება,  
 ლამაზი კაბა, მძივი, ბეჭედი, ბრძნული წიგნები.  
 ქურდმა ანგრია კედელ-სალარო და საუნჯე გაიტაცა  
 ასე ულევო.

შენს ამბორს კი ვერ შეჭამს ჟანგი, ვერცა რამ მლილი.  
 შენს ამბორს კედლის, — თუნდ ჩინურის, —  
 განგრევა ძალუძს,  
 ძალუძს გაფანტვა კაეშნის ჯანლის...  
 ჩემი ტუჩ-პირით მოგეგებები,  
 გაგაპობ ბავით.  
 ჯაშუში ვარ და ენით გავჩხრეკ  
 შენი ტანის იდუმალებას.  
 დავძებნი, ვნახავ შენს თაფლის ფიჭას;

რა ტკბილი და საამოა ტუჩი სატრფოსი!  
 განაფულ ენით ვაჟღერებ კბილებს,  
 ვით ქათქათა კლავიატურას.  
 დედი, რა ვქნა, როგორ დავთრგუნო  
 სიყვარულის უბადლო ვნება, დაპირებები:  
 რაც მხურვალეებს, ავუფარო იმას ხელი და  
 ვიბუტბუტო, რომ მდაგავს ცეცხლი?!



მბრწყინავი ალი გადავმალო და  
 საიდუმლოდ ვუმასპინძლო სიყვარულის მალულ ბანაკში?!  
 მუქთად მივიღე და მუქთადვე გავცემ ჩემს სხეულს, —  
 გავაჩუქებ —  
 გავცემ იმას, რაც იოლად ჩავიგდებ ხელში  
 ამქვეყნად პირზე ბედისწერის ლოტოს თამაშით  
 (— აფცხი, — თხის კუდი!).

შუათითი მოკაკვე და ჩემი სიცოცხლის მოძრავ  
 ქონებას მოუკაკუნე.


გამაძრე სიტყვის მჭიდრო სამოსი,  
 ჩემს ყოფაში დედიშობილა გულით შემოდი,  
 ჩემს ზღვისებრ მკერდში ჩაუშვი ღუზა;  
 მე შენ მუცლის ნყლებში გაგავლებ;  
 მხურვალე საშოში მოგნათლავ და  
 მირონცხებულ-მირონმცხებელს აგირჩევ მოძღვრად.  
 მელიებს აქვთ სოროები,  
 ცის ფრინველებს კი ბუდეები.  
 შენი სორო და ბუდე კი მე ვარ,  
 მოდი, შემოდი, ბინა დაიდე ჩემში, ძვირფასო,  
 შენი უღელი ტკბილია და ტვირთი — მსუბუქი,  
 შემო ლოგინში,  
 დაეუფლე მარჯვედ სხეულს, მარცვლე, დამმარცვლე,  
 აბრუნე ტანი,  
 შექმენ სიტყვები,

სიტყვით — სხეული,  
 სიყვარულის და კირთვის სიტკბოს თქმულება მოჰყევ-  
 ითხოვდე და მოგეცემიან,  
 მოუკაკუნე და განიხვნინან!  
 კარი ინროა, წრიაპი კი — არვის აქვს ხელში.  
 გზა-ბილიკი გაგიმზადე,  
 გავწმინდე ყველა შარა და შუკა.  
 ქენი შენი საღვთო საქმე,  
 ბატონად მეყავ, დამეპატრონე.  
 კანის თხელ ნწულზე გადამანან მწველი მათრახი,  
 კვერთხი და ჯოხი ძლიერად დამკარ,  
 გეზი მომე მეკურტნე ქალს,

გავაზე მტყევილიჲე, დამდალე ნიშნით  
და დამაფარე ზედ დროშა შენი.  
მე მდინარე ვარ, მინდვრად მდინარე,  
მე სათუთი ქარი ვარ — სიო,  
ვარ მტყევიანი, ვენახს მოსხმული, დასაწურად გამზადებული.  
მო, ჩემი ჯანის კიდე-განში  
და დაიმალე,  
ჩამისუნთქე და ამომისუნთქე,  
ჩამისუნთქე და ამომისუნთქე,  
ღრმად ჩამისუნთქე-ამომისუნთქე,  
ოხ, ჩამისუნთქე-ამომისუნთქე...  
მსიამოვნებს შენი ჩასუნთქვა, ჩემი ტრფობის  
ვარჯიში ხარ, ჩემი ლომი — მეგობარი აღტკინებული.  
არა შობილა დედის მუცლიდან შენი ბადალი...  
ნეტარ არს საშო, შენი ყოფნით რომ აღიგზნა  
და ნეტარია ძუძუები, რომ აგურგურდნენ შენი ენის  
აღვით-ხურვებით,  
ნეტარ ვარ მე და მადლობელი, რომ მომემადლე,  
ქალთა დასში გამომარჩიე...

დედი, ნუ მინყენ,  
ნუ გაბრაზდები;  
ნახე, რარიგ გამიკაჲა  
სიყვარულის დიდმა ვარჯიშმა გვამი-სხეული.  
ნახე, რას ვხარობ, ვხელობ სიტყვებით.  
მთელი სხეულით ვიტვირთავ იმედს,  
რადგან ტანი, ცეცხლმოდებული,  
ბრწყინავს და იწვის.

ვისაც აქვს თვალი სახილველად,  
დაე იხილოს:  
რა მიმზიდველი სურათია —  
ერთად შეკრული წყვილი სხეული თეთრ სარეცელზე,  
ყვავილებისგან წნული გვირგვინი, შროშანები გადახვეული  
ჭოჭიალი, აინონა-დაინონა.  
იჭოჭიალე მაქო-ჭოჭილა, რჩეულ ფრთოსანო,  
გახელებულო მეკობრეო;




მაჭოჭიალე, სანამ შენით არ ავორთქლდები,  
 სანამ ჩემსავე თავს არ განველტვი, გავცდებ-მოვრჩები.  
 სანამ არ მივალ მე იქამდე,  
     არა-რამ-დე,  
     კიდით ბოლომდე.  
 ნეტარებამდე...

ნაბიჯ-ნაბიჯ, ასო-ასო და სიტყვა-სიტყვით,  
 ნანილ-ნანილ, სვენებ-სვენებით...  
 ჩემსავე ხორცთა ლაბირინთში გზა გამიკვალე.  
 და მკოცნე, მკოცნე, მარწი-მარწიე  
 კოცნა-კოცნობით, კოცონ-კოცნობით  
 სუნთქვა-სუნთქვობით, კოცონ-კოცნობით,  
 გამიყვანე ჩემი სხეულის კედლებს გადაღმა,  
 მიმიყვანე შენობაში სიხარულისა.  
 ერთი ნაბიჯიც, ჰჰჰ, ერთი ძვრა, ერთი რხევაც და...  
 ორი სტრიქონი სხეულისა, —  
 თეთრ ზენარზე,  
 ისე როგორც თეთრ ქალღმერთზე  
 დანერილი ორი სიტყვა, —  
 ხოდა, მორჩა,  
 “ახდა, დასრულდა!”

**ბ.**



ეს სხეულია, სიყვარულს რომ მიჰბარებია,  
 რომ იბლუკუნა და დადუმდა მერე მარადუამ.  
 რას გლოვობს სახლი, რას ხარობს გლოვა!  
 გული რარიგ გვეწურება!  
 ღანვს გვიწვავს ცრემლი,  
 ქორწილია ახლა და, ვაგლახ,  
     სიძე არ გვივის,  
     ჩვენს შორის არ ჩანს,  
 ქორწილია და სტუმრები აქ არ არიან,  
 რჩეულთა შორის არ დაუდევთ წილი რადგანაც.  
 ვიცინით, რადგან ვიცით, მარცვალი  
 სიკვდილით მრავლის მომსხმელი არის,  
 მოკვდა ერთით და აღდგა მრავალით.



აიკრა ჩვენი, მრავალთ, სნებანი, გვენაცვალა  
და წაილო ჭირი,

უთვალ-ულევი,  
ძემან კაცისამ სნეულნი გვიხსნა, მაგრამ... თუმცალა  
კაცთა ამბორით სიკვდილით იცრა.  
ოხ, ძეო ღვთისა, მარიამისა,  
თავს თელიდი კაცთა მესათხეველედ  
და, დახე, კაცმა  
სასიკვდინე სათხეველში  
რარიგ გაგხვია!  
ჰოი, დახე, როგორ გაგიბა მახე სიკვდილის.  
და შენ შენგანვე, შენით და ჩვენგან დაისხენ თავი,  
გათავისუფლდი, დაცხრი, დამშვიდდი,  
გა-თავის-უფლ-დი!  
შენგან და შენით —  
და აგრერიგად დაგვნყვიტე გული.

ვიცით, ვის უყვარს მამაზეციერი:  
ის დაა შენი, ძმაა შენი, დედაა შენი;  
ჩვენ კი ვტირით, როგორც დედები,  
როგორც დანი ვვალალებთ და  
როგორც ძმები ვდგავართ  
ქუდმოსხლეპილები, თავდახრილები.  
დედას, თვალდავისილს, არ ეხილე ნეტავ თავგდილი,  
და დას, დამწვარს, არ ენახე ტანჯვით მოწყლული;  
ძმა მოგკვდომოდა, არ ენახე გამასხრებული!  
ვვალალობთ ჩვენს თავს,  
დავტირით ჩვენს თავს,  
ჩვენს შთამომავალთ.  
ნეტარ არიან ბერნი დედები,  
ნეტარია საშო იგი,  
რომელმაც არ იტვირთა შვილი.  
ვაი თქვენდა, მუცლადღებულნო.  
ჰოი, თქვენ მთებო, მთებო მაღალნო,  
დაგვემხეთ თავზე!  
მწვანე ბორცვებო, წამის წამში გადაგვეფარეთ,  
რადგარ შენებრ ვერ დავიურვეთ ქარი და ტალღა,



ვერ გავვლეთ წყალზე, ბრმას ვერ ვუშველეთ  
და მკელობელი ზე ვერ აღვმართეთ,  
რადგან შენს სახედ ვერ შევიქმენით  
და ჩვენსავე სახეს ვატარებთ.

ვართ მხოლოდ კაცნი, სულის ნაცვლად  
გვაქვს სამშვინველი.

ვერ ვხარობთ გულით,  
ენავბრგვილობთ და

სასოებით არ ვართ აღვსილნი,  
რადგან ნაგვემი გვამით დავალთ სიკვდილის ველად  
და შენი ყოფნის არყოფნა ჩვენი ლხინება.

მკვდრებში არ გეძებთ შენ, მარად ცოცხალს,  
ვით არ ვიტიროთ და არ ვიგლოვოთ შენი სხეული,  
რითიც გიხილეთ, რითიც შეგიტკებთ და შეგიყვარეთ,  
ვით ვსასოებდეთ ჩვენ უშენობით?!

ვირტუალური ბაგით გვკოცნის მრავალი, გვლოშნის,  
გვანუგეშებენ და ეს არ არის

შენი ნუგეში ჭეშმარიტი,

ვირტუალურ ხელს თავზე გვისვამს უთვალავი,

გვეფათურება,

და ეს არ არის შენი ალერსი —

ჭეშმარიტი ნუგეში შენი.

ნეტავ, ერთხელ შეისხა ხორცი, კვლავ გვეწვიო

ვით სტუმარი

ან მეგობარი,

სასო და რწმენა შენი სხეულით მოგვმადლო

და მოგვბანო წყლულნი,

და გვეამბორო, რომ გაგვეცალოს ტკივილი, ჭირი!

მოდინ, ნუ ვიგლოვოთ დაცემულ სხეულს,

რადგან შენა ხარ, ყველაფერზე მაღლა მდგომი,

უდიდესი და უტკბილესი,

და ოჰ, ეგ თმები, რომლებზედაც ვარდის ზეთი გცხეთ,

გამხმარი სისხლით მიჰკვრიან ერთურთს.


ოხ, ეგ ხელები, პური და თევზი რომ გვინილადა

და ფეხი გვბანა, სამსჭვლით დავჭედეთ.

ხუნდით შევკარით, ჯაჭვი დავადეთ.

და ეგ თვალეები, ნუგეშინის მცემელი ჩვენი,





სულს რომ გვივსებდა იმედით და ათასი ნატვრით,  
 ამღვრეული და დაბინდული იმზირება არც-რომ-არსად-ა.  
 სიკვდილის ღვედით და ჯაჭვებით ჯვარზე აგლმართეთ,  
 გვამი ცივია — თუმცა რა, ცოტაც და შენ, ჰოი,  
 სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო,  
 აღსდგები მკვდრეთით,

დაიხსნი თავსაც.

ჩვენ კი, აქ მდგარნი, ხორცის ციხეში ვართ დამწყვდეულნი  
 ჩვენ ხორცში გველის აღსასრულიც.

მაშინ, როდესაც სიკვდილი ჩვენთვის

გასართობია და იაფი სანახაობა:

სუდარა — თუმნის, ხოლო თოკი — კაცის სიგრძე.

სიკვდილის შიშიც კი, იმისთვის, რომ არ

გაგვიფუჭდეს,

დავამწყვდიეთ საყინულეში.

ნება მოგვეცა

თავისუფალი არჩევანის,

სიკვდილ-სიცოცხლის,

მაგრამ სხეულში ჩვენი ჩამწყვდევა

არასოდეს არ დასრულდება.

გულგვამს ჭიები გვიჭამენ, ხოლო

გარედან ჩვენი სხეულის საბანს

დასევიან და ბერავენ თეთრი მატლები.

როცა ეს დრო გვიდგება, მაშინ

ვცახცახებთ, გვბურძღლავს, ვკავკავებთ და

ბაგაბუგით გვისკდება გული,

ფიქრი გვიღელავს, ტვინის ჭყლეტა გვენწყება და

პირში ენა შაშხდება შიშით.

შევრბივართ სახლში, სახლში, რომელიც ჩვენი გვგონია,

კარ-ფანჯრებს ვგმანავთ, ვიჭეჭყებით საკუთარ თავში...

შენ წინ კი ვდგავართ ტან-ფეხ-შიშველნი,

წელმონწყვეტილნი,



თავდადრეკილნი.

შენ კი გორგლად დაგვაგორგალებ,


გუნდად დაგვგუნდავ და გვისვრი იქით არც-რომ-არსად-ა

თუმც შენ ნახვედი ნაბიჯ-ნაბიჯ,

ბგერა-ბგერა, სიტყვა-სიტყვა, სადგურ-სადგურ



საკუთარი სიკვდილისკენ კრინტდაუცდენლად,  
გადაიარე პარმალი და  
საყვარელი მამის სახლში ფეხი შეადგი.  
რაღა იქნება უკეთესი!  
დედასავით გადაგვისვამ თავზე ხელს და  
დასავით გვასვამ იმედის თასს,  
ძმასავით გვერდით ამოგვიდგები  
და რხევა-რწევით, რონინ-რონინით  
და რხევა-რწევით, სუნთქვა-სუნთქვით,  
და რხევა-რწევით, ფრთხილი გოგმანით  
გაგვარონინებ, გაგვიყვან გარეთ არც-რომ-არსად-ან;  
გაგვიყვან, გვიხსნი სამარისაგან,  
მიგვიყვან ჩვენი მამა-პაპის დიდ პალატებში.  
ჰჰჰ, ნაბიჯი, მერე კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი ჭოჭინიც,  
ჰაერის ბოლო ყლუპიც ვილოთ ბაგეთა კიდით,  
მარადისობის ჯამი პირის ნაპრალით შევსვათ.




## ჰოვანეს ბრიზორიანი

ჰოეგი, მთარგმნელი. დაიბადა 1945 წ. ლენინაკანში (ამჟამად გიუმრი). დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ლინგვისტიკის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ლიტერატურულ პრესაში საქასუხისმგებლო თანამდებობებზე. იგი ცნობილია არა მარგო ჰოეტური მოღვაწეობით, არამედ ლიტერატურული და პუბლიცისტური სტატიებით, ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობას. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად, ესპანურად, სპარსულად, არაბულად, ქართულად. ავტორია ოცზე მეტი წიგნის. მიენიჭა ლიტერატურული პრემიები „ვაჰაგნ“ (2002), ავეტიქ ისააკიანის (1987), მედალი „მოვსეს ხორენაცი“ (1998).

ამჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეა.

### ბოლო სიტყვა

გგონიათ ადვილია სიცოცხლე?  
როცა ქალაქი, სადაც დაიბადე აღარ არის,  
შენ კი სიცოცხლეს მაინც განაგრძობ?  
გგონიათ, ადვილია წარსულის მოგონება?  
როცა დავინყება შენი მხსნელია და  
მაინც არ გასვენებს მტაჯველი ხსოვნა...  
გგონიათ, ადვილია ძილი?  
როცა ყურთასმენა სავსე გაქვს კვილით,




ძნელია ცრემლიან თვალების დახუჭვა.  
და როცა სიზმარში, მხოლოდ სიზმარში  
ხედავ ბედნიერ და უდარდელ სახეებს  
გგონიათ, ადვილია გაღვიძება?

## მე რა ვქნა, ღმერთო?

ერთხელ ინება მამაუფალმა  
რომ შენს მინაზე, ჩემო სამშობლოვ,  
ვით ბედისწერა, დაენერა „ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა“  
მაგრამ ეს სიტყვა გრძელი იყო  
და შენს გულ-მკერდზე არ დაეცია.  
მაშინ უფალმა მოინდომა დაენერა სიტყვა  
„მ შ ვ ი დ ო ბ ა“.  
მაგრამ ამაოდ, სიტყვა მშვიდობის  
ნახევარიც ვერ დაეცია  
შენს პანია მინაზე.  
და რა უნდა ექნა ღმერთს?  
შესაფერისი სიტყვა როგორ გამოენახა?  
პატარა მკერდზე დაგანერა  
მხოლოდ „ტკივილი“,  
მხოლოდ „გლოვა“,  
მხოლოდ „ტირილი“.  
შენი სიმცირის ბრალი არის,  
რა ექნა უფალს?

## სომხეთი

აი, ესაა ჩემი სამშობლო,  
ისე პატარა, რომ შემიძლია,  
სადაც ნავალ თან ნავეიყოლო,  
როგორც მშობელი, გაღეული წელთა სიმრავლით,  
როგორც ჩვილი ახალშობილი,  
შეხედეთ, რუკას ამჩნევია ობოლ ცრემლივით,  
აი, ესაა ჩემი სამშობლო,  
ისე პატარა, თავისუფლად ჩავეიტევ გულში,  
უცებ შემთხვევით არ დამეკარგოს.



## პოლიციის მოახვე

ყურადღება: კიდევ ერთი საინტერესო ცნობა:  
მეოცე საუკუნის მიწურულს, 16 საათსა და 15 წუთზე  
თავისი სამშობლოდან გამოვიდა სომეხი ერი  
და უკან აღარ დაბრუნებულა...

გარეგნული ნიშნები:

მრავალსაუკუნოვანი, მრავალტანჯული.

ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ამტანი.

თვალეში უდგას უსაზღვრო სევდა და  
გული აქვს გაბზარული რამდენიმე მხრიდან.

მნახველებს ვთხოვთ,

საჩქაროდ შეატყობინოთ პარლამენტს,

რომელსაც რამდენიმე დღით სჭირდება ხალხი

ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად.

## ამინდის პრობნოზი

ხეები გაზაფხულზე ჰყვავიან.

დრო, როცა ვირჩევთ პრეზიდენტს და იმედით ველით,  
ზაფხულისათვის რაღაც მაინც რომ შეიცვლება.

ზაფხული ხილის მოწვევის დროა.



ზაფხულში ვირჩევთ პარლამენტს და იმედით ველით,  
შემოდგომისთვის რაღაც მაინც რომ შეიცვლება.

წინილებს შემოდგომით ითვლიან.

ჩვენც ველით, „თანაც“ „ხანდაზმული“ ერთი იმედით  
ველით, ზამთრისთვის რაღაც მაინც რომ შეიცვლება.

ზამთარში თოვს და შემოგარენს ფარავს სუდარა...

ზამთარში ყველა, ყველაფერი კვდება... და აკი  
ჩვენც ვიხოცებით იმ „უკვდავი“ ერთი იმედით,  
სხვა ცხოვრებაში რაღაც მაინც რომ შეიცვლება.



## ბაბიკ დავითიანი



პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა 1947 წ. სომხეთში, კაპანის რაიონის (ამჟამად სიუნიქის ოლქი) სოფელ დავით ბეგში.

დაამთავრა ერევნის კ. მარქსის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა კაპანის რაიკომში საპასუხისმგებლო პოსტებზე. იყო გაზეთ „სომხეთის რესპუბლიკის“ კორესპონდენტი ზანგეზურში. დააფუძნა სიუნიქის საოლქო გაზეთი „სიუნიქი“, რომლის მთავარი რედაქტორიც წლების მანძილზე თავად იყო. მისი ლექსები თარგმნილია რუსულად, ქართულად, სლოვაკურად, უკრაინულად, ბელორუსულად და სხვა ენაზე. ავგორია 10-ზე მეტი წიგნისა.

ვ. მაიაკოვსკის და ივ. მაჩაბლის პრემიების ლაურეატია.

## ქველი მაიმუნს

მაშ, რასაკვირველია...


ოვანეს გრიგორიანი

მაშ, რასაკვირველია,  
შრომის იდეა

სწორედ მაიმუნის ტვინში უნდა ჩასახულიყო,  
თავის მაიმუნურ წარსულთან

სამუდამოდ რომ გაესწორებინა ანგარიში.

ხის ტოტიდან სამუდამოდ ჩამომხტარიყო ძირს,





ფეხზე შემდგარს, წელგამართულად ევლო,  
და ყური მიეგდო ვილაცის შთამაგონებელი ძახილისათვის.  
გამომშვიდობებოდა ლამაზ კუდს.  
სასირცხვოები დაეფარა მერმე,  
ფლოსტები ფეხზე წამოეცვა,  
მწვადის სუფრას მისჯდომოდა კობტად გამონკეპილი,  
წითელი ლვინით გული ეჯერა.  
მისებრთა საფლავზე  
გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მოთქმა-ზარი დაენყო,  
მაშ, ერთი სიტყვით, ადამიანი რომ გამხდარიყო,  
ადამიანი გონიერი...

დღევანდელი მაიმუნები კი?  
მაშ, სადაურნი არიან?  
ადამიანი მაიმუნს ხომ არ შობს?  
ასე ვთქვათ, როგორც  
ვირს არ შობს,  
ანდა ჩიტს,  
თუნდაც თაგვს,  
თევზს,  
მერე რა, დავუშვათ, ამბობენ  
ათასში ერთხელ,  
თაგვს შობსო,  
მაგრამ ეს მითია.  
მაშ, საიდან გაჩნდნენ  
დღევანდელი მაიმუნები?  
ადამიანი მაიმუნს ხომ არ შობს?

იქნებ, როგორც დღეს, ისე უხსოვარ დროში,  
უმუშევრობა იყო ქვეყნად,  
და დღევანდელი მაიმუნები  
იმ უმუშევარი მაიმუნების  
მუქთახორა მემკვიდრეები არიან,  
ადამიანებად ისედაც რომ ვერ იქცნენ...

ანდა, იმ შორეულ და ძველთაძველ დროში,  
მაიმუნები სამუშაოდ მიდიოდნენ,





დღედაღამ ოფლში ინურებოდნენ,  
 მონაგარი არ ჰყოფნიდათ,  
 საზრუნავი კი არ ელუოდათ,  
 მაშ, რასაკვირველია,  
 პურის,  
 შუქის,  
 ნაგვის,  
 ტელეფონის,  
 გაზეთის,  
 რომელი ერთი ჩამოვთვალო?  
 მერედა ხარკები და ბეგარები საოცარი,  
 ზედ რომ ემატებოდა ჯარიმები და საზღაურები  
 და კიდევ სავალდებულო სოციალური გადასახადები,  
 დასაქცევ პროცენტებს, პროცენტებზე დართულ  
 პროცენტებს,  
 პროცენტულ ფოკუსებს, ხრიკებს აღარ იკითხავთ?  
 ამას ხომ გაძლება უნდოდა?!

და სამუდამოდ,  
 პროცენტული ვალებისაგან თავი რომ დაეღწია,  
 ერთხელაც,  
 დიახ, მართლაც, საღამოს ექვს საათზე,  
 ერთსულოვნად და ერთობლივად თავი მოიყარეს,  
 აჯანყდნენ თავიანთი მენარმის წინააღმდეგ.  
 ხანგრძლივი და გაუგონარი გაფიცვა მოაწყვეს  
 (მანამდეც, რა თქმა უნდა,  
 ათასგვარი დემონსტრაციები იყო  
 შატალოები და შიმშილობები)  
 მაგრამ დაინახეს რა, რომ არად აგდებენ,  
 გადანყვიტეს, სამუშაოზე ხელი აეღოთ სამუდამოდ.  
 და თითი თითზე არ დაეკარებინათ,  
 უღმობელი მენარმისათვის ბოთე შუბლზე  
 მიეფურთხებინათ

და მასზე ხელი აიღეს და გაეცალნენ.  
 და სამუდამოდ ხელი აიღეს  
 თავიანთ უკუდო, ორფეხა მომავალზე,  
 ჯუნგლების კანონები არჩიეს  
 და გაჰყვნენ... კიდევც...







და ისევ ხეზე აცოცდნენ,  
 ტოტიდან ტოტზე ხტომით,  
 ზემოდან ჩვენს დანახვაზე, დღემდე  
 ენას გვიყოფენ,  
 ანდა უკანალს თუ სასირცხვოებს გვიჩვენებენ  
 ეგ უზრდელები, ადამიანებად  
 ისედაც რომ ვერ იქცნენ...

## უარმყავი!..

არ შეიძლება ასე გაგრძელდეს,  
 არ შეიძლება ასე ცხოვრება:

— არ მოხვიდე, გემუდარები,  
 დღეს არ მოხვიდე,  
 არ მინდა ზიზლით მოგიხურო სახლის კარები...



— არ მოხვიდე, მე თვითონ მოვალ,  
 მე მოვალ. ოღონდ შენ უარმყავი,  
 უარმყავი დღეს სამუდამოდ!..  
 უარმყავი, გემუდარები,  
 რადგანაც მინდა იმგვარი დავრჩე  
 და ისეთივე,  
 როგორიც შენ  
 ერთხელ მიხილე...  
 უარმყავი დღეს სამუდამოდ,  
 თუ გსურს, რომ შენთვის ვარსებობდე  
 და ვარსებობდე ისეთივე,  
 როგორიც შენ ერთხელ მიხილე...  
 არ მოხვიდე, გემუდარები,  
 დღეს არ მოხვიდე,  
 არ მოხვიდე, მე თვითონ მოვალ,  
 გამაგდე შენი სახლის ზღურბლიდან;  
 მე მინდა მუდამ  
 იმგვარი დარჩე,  
 როგორიც ჩემთვის გამოგძერწე.



ჩემთვის შეგქმენი,  
არ მსურს ციური საბურველი შემოგეძარცვოს...  
უარმყავი დღეს სამუდამოდ!  
გემუდარები, არ მოხვიდე!..

## დამივიწყე!



მზე დღეს თბილი და  
საოცარია  
და ილიმება სწორედ იმგვარად,  
როგორც მაშინ,  
როცა გითხარი:  
— მე შენ მიყვარხარ!..  
ხეები დღესაც დგანან ამაყად  
და მიუწვდომლად,  
ისინი დღესაც  
მოუსვენარ ქარს  
უკარგავენ  
ყოველგვარ იმედს.  
— იყავ ერთგული!  
ამ ხეებივით შეუმჩნეველი...  
წვიმა რომ იყოს,  
იქნებოდა სევდით ავსილი,  
როგორც წუხილით ავსებული ჩემი თვალები...  
თოვა რომ იყოს,  
ითოვებდა ისე უჩუმრად,  
როგორც მდუმარებს დღეს  
ჩემი სული...  
და მჯერა ახლა,  
ეს საღამოც იმგვარად მოდის,  
უხმაუროდ და უდრტივინველად,  
თითქოს და ჩვენთვის  
არ მოდიოდეს...  
დამივიწყე,  
დამივიწყე  
და ჩემს სიტყვებს ქარს ნუ გაატან,



და გჯეროდეს,  
 ვით გჯეროდა პირველი დღიდან...  
 და დაივინყე ყველაფერი  
 უკანასკელად, -  
 ჩვენი წარსული, რომელიც არ დაგვიბრუნდება,  
 მოგონებები გადაშალე ნისლის ტალღებით,  
 რომ ჩვენს ოცნებებს  
 ქარიშხლებმა გადაუარონ  
 და გახსენებაც,  
 უტკივილოდ, დაუნანებლად  
 დავინყების ბინდს გაატანე,  
 და კვლავ იყავი იმგვარივე,  
 როგორც იყავი  
 წმინდა,  
 უბინო  
 და მოზეიმე  
 და არ იდარდო უკვე ჩავლილზე,  
 რადგან დღეს მივხვდი,  
 როცა გითხარი:  
 — მე შენ მიყვარხარ!  
 თურმე მაშინ  
 შენ კი არა,  
 მე საკუთარ თავს... ვატყუებდი...


## ზანგეზური

მხარი მხარს მისცეს  
 და ხელთუქმნელ ციხე-სიმაგრედ  
 შემოკრბნენ მთები,  
 (რათა ამ ციხე-სიმაგრეში  
 მე ვშობილიყავ).  
 ციხე-სიმაგრის ბებერ კედლებზე,  
 საუკუნეთა ქარ-ცეცხლიდან გამოღწეული.  
 ნისლის მანტიით,  
 ხუსტუპის მთა დაბრძანებულა...



აქ გაისმა ჩემი პირველი შეძახილი,  
და გამახვიეს ნისლის მანტიის  
თეთრ საფენში მთებმა-ძიძებმა...  
იქ, შორიდან,  
გაზაფხულის ფოთლებს შორის  
გამონაჟონი  
მზის სხივებით  
შეკრეს მერე ჩემი აკვანი,  
და იმ სხივთა გამონაშუქი  
იყო პირველი სათამაშო  
და გასართობიც,  
რომელსაც ახლა ჩემი შვილი ეთამაშება...  
ამ მთათა ციდან  
და ღრუბელთა სამოსახლოდან  
ელვის ხელწერით  
და მეხის ენით  
ინერება კვლავ ლეგენდები...  
მე ეს ფერები შევაგროვე  
გარიჟრაჟთა  
და ღამეთა პალიტრებიდან,  
სად ოთხფრთიანი ვარსკვლავის მსგავსად,  
ამ ხეობათა  
და მთათა შორის,  
გაბრწყინებულა ჩემი ქალაქი,  
და იმნაირ სინათლეს აფრქვევს,  
რომ თვით ხუსტუპის  
ბებერ ძვლებსაც  
ავსებს სითბოთი...


(ეს მთების მხარე  
მე შემთხვევით როდი გადმომცეს,  
მე ის მივიღე,  
როგორც შუქი,  
როგორც სინდისი –  
როგორც წმინდა მემკვიდრეობა,  
როგორც სისხლი



წინაპართაგან  
ჩემს ძარღვებში ჩასახლებული)..  
(ეს ლეგენდები მე შევაგროვე  
და თვითულის თესლი,  
მარცვალი  
გადავინახე ერთგულებით  
და რუდუნებით)...  
აქ ყველა ბუჩქი  
თავისივე სურნელს გამოსცემს,  
და ეს სურნელი მეტი არის  
დაისის ფერზე.  
ხუსტუპის თავზე,  
იქ, ღრუბელთა საბრძანებელში,  
დედის რძესავით წმინდა არის  
დილის რიჟრაჟი,  
ხოლო ღამეებს  
ჩვილის ძილით  
ჩასძინებიათ..  
ეს სურნელება,  
ეს სინმინდე  
და ეს სიმშვიდე  
ცოცხლობენ ჩვენში,  
ცხოვრობენ ჩვენთან,  
როგორც ამ მთების მარადი მკვიდრნი.

## **ჯადოქრები – ანგელოზები**


ამ შავბნელ სივრცეს,  
რომელიც ჩვენ  
ეჭვებით გვაკვებს,  
ჯადოქრები დაუფლებიან.  
და კუდების ნელი ქიცინით  
შემოგვცქერიან  
ვით წმინდანები...



გრძნეული სიტყვით გვხიბლავენ და  
გვაჯადოებენ,  
თავბრუს გვახვევენ  
ორაზროვან ტკბილი საუბრით.

ჩვენ ერთად ვთვრებით,  
ერთ ჯამიდან  
მივირთმევთ საჭმელს.

შავი თათებით,  
თბილ ხელებზე  
ჩაგვჭიდებიან  
და ათრთოლებულ ჩვენს მკერდებზე  
უდევთ თავები.  
ჩაეძინებათ,  
უშფოთველი ძილი მოიცავთ.  
ჩვენ კი წამითაც  
ვერ ვახერხებთ  
თვალის მოხუჭვას  
და უძილობით გათანგულნი  
გარიჟრაჟს ველით.  
როს კვლავ მოგვივლენს სასნაულით  
ღმერთი განთიადს,  
და წითელ ფუნჯით  
ამ ბნელ სივრცეს  
გააფერადებს,  
მაშინ ამოხეთქს საიდანღაც  
რწმენის ვულკანი  
და დასაფლეთად  
ეკვეთება  
ეჭვის უკუნეთს.  
ცოტა კიდევ და  
ჯადოქრებსაც გაელვიძებათ  
ფრთამოფარფატე და  
უმნიკვლო ანგელოზებად...





## რაზმიკ დავოიანი

პოეტი. დაიბადა 1940 წ. სომხეთში, სპიგაკის რაიონის სოფელ მეწ პარნიში. 1949 წ. ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა გიუმრიში. 1964 წ. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლის პარალელურად მუშაობდა განყოფილების გამგედ ჟურნალში „მეცნიერება და ტექნიკა“, და კორექტორად „გრაკან თერთში“ („ლიტ. გაზეთ“-ში), ხოლო 1965-დან პოეზიისა და პროზის განყოფილების გამგედ იმავე გაზეთში. 1975-1990 წლებში იყო სომხეთის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, 1995 წლიდან სომხეთის უზენაესი სამჭოს სტიქიის ზონის კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „აღორძინების“ თანათავმჯდომარე, 1994-96 წ.წ. სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. ხოლო 1999-2004 წ.წ. სომხეთის პრეზიდენტის მრჩეველი.

მრავალი წიგნისა და პრემიის ლაურეატი, მათ შორის 2002 წელს – სომხეთის პრეზიდენტის პრემიის.

\* \* \*

როცა ამქვეყნად აღარ ვიქნებით,  
გვგონია, სიცოცხლეს შეწყდება,  
გვგონია ყოველივე აირ-დაირევა,





იქ, სადაც ჩვენ არ ვართ.  
მდინარეები წალმა დაინყებენ დინებას  
და მზეს ღრუბელი გადაფარავს.  
გვგონია ჩვენი სიტყვების გარეშე  
ცხოვრებას სიბრძნე დააკლდება  
ჩვენ თუ არ ვიქებით,  
ქვეყანას მოწყენილობა შეჭამს.  
ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს.  
სურვილი ზოგჯერ სიკვდილსაც ერევა.  
სიკვდილი ზოგჯერ სიცოცხლეზე ზრუნავს.

\* \* \*

ჩვენ ჭეშმარიტების ყმები ვართ და  
კანონმორჩილი ტყვეები  
ხომ არ შეიძლება  
ყველა ბრმად იშვას  
და ხელის ცეცებით  
კედელ-კედელ მიჰყვეს ცხოვრებას.  
თუ თევზივით  
პირში წყალი უნდა დავიგუბოთ,  
წყალი მაინც იყოს სუფთა.







## ლუღვიბ დურიანი

პოეტი. დაიბადა 1933 წ. რუსეთში, როსტოვის ოლქის მიასნიკიანის რაიონის სოფელ ჩალთრში.

1935 წელს ოჯახით გადასახლდა სომხეთში. დაამთავრა ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები. მუშაობდა პრესაში, გამომცემლობა „ნაირიში“ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ავტორია 30 პოეტური კრებულისა, თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მის გეჟსტებზე დაიწერა მრავალი სიმღერა. ოვანეს თუმანიანის პრემიის ლაურეატია.

\* \* \*



მინახავს მეთქი, წვეთი სისხლის  
და წვეთი ცრემლის როგორ ირევა.  
და არ არსებობს სამყაროში  
უმჯობესი ამ ფერზე ფერი.  
ფერი, რომელიც ამ არევით მიღებულია.  
მშვენიერია მასისის მთა, როცა  
ამ ფერით იფარება მის ქედზე თოვლი.  
მხოლოდ მაგ ფერით შთაგონდება  
და დედობის მოლოდინის  
დიდ განცდაშია, ჯერ უმანკო ქალისა მკერდი.



სწორედ მაგ ფერით მზე აკურთხებს  
ყოველდღე მინას.  
და მე მინახავს ვით ირევა  
ეს ორი წვეთი.

\* \* \*


მე უცნაური სიზმარი ვნახე,  
ჩემ გარეშემო მწვანე ყანა  
ღელავდა ლალად.  
თითქოს ეს ღელვა მიინევდა ჰორიზონტამდე.  
ცაში კი თეთრი მტრედი ფრენდა  
თავისთვის მარტოდ.  
მეუბნებოდა – იცოდეთ, გარდაცვლილი  
ღედა ვარ შენი.  
და მე ვეძახდი – ღედა, მოდი!..  
დროზე ჩამოდი!..  
მინდა რომ ისევ ჩამიკონო  
ბავშვივით გულში.  
სურნელოვან მაგ შენ  
მკლავებით.  
და ჩემს ხილვაში მასთან ერთად  
ჩაკონებული,  
ტრიალ მინდორში მე გავრბოდი აღელვებული.  
და ამ დროს უცებ დაიშხუვლა  
და ჩემ წინ აღდგა გველი,  
შხამგესლა გამყინავი თავისი სუნთქვით.  
— არ მოგეხვევა ღედაშენი შენ არასოდეს –  
სთქვა ამ მხოხავმა საზარელმა თავისი გესლით,  
მე დავინახე ღედაჩემი – იგივე მტრედი.  
სულ რალაც წამში როგორ იქცა  
ძლიერ არწივად –  
ელვად დაეშვა და  
ზარი დასცა  
გველს შავს შხამიანს





შემდეგ კი მითხრა: — ვაიმე, შვილო!  
ეგებ რამე დაგიშავდა.  
სთქვა დედაჩემმა და კვლავ მტრედად  
გადიქცა იგი.

\* \* \*

რაც რამ მებადა, სულ რომ ჩემი ყოფილიყო,  
მე არ ვიქნებოდი,  
მე არ ვიქნებოდი ყაყაჩოს სინითლე  
და იის ნამიანი სილურჯე.  
მე არ ვიქნებოდი დამძიმებული თავთავების  
მოკრძალებული სიბრძნე,  
ან მზის მეხოტბე,  
ან ელვარება დილის ვარსკვლავის სხივისა...  
მე არ ვიქნებოდი, გაზაფხულის ძლიერი განცდა,  
განცდა მიწისა,  
წვიმის მოსვლის  
ძლიერი სურვილით შთამაგონებელი,  
რაიც ყველაფერს გადააქცევს  
სიცოცხლის ძალად,  
მე არ ვიქნებოდი ყველა  
ველური სისასტიკის მოძულე,  
და კეთილი ნიჭის შთამაგონებელი.  
მე არ ვიქნებოდი ცისარტყელები —  
ჩანჩქერების ნატვრა.  
და ჩალიანებში ამაღელვებელი შრიალი  
წეროების ლამაზი გუნდისა...  
და რაც რამ მებადა, სულ რომ  
ჩემი ყოფილიყო,  
მე არ ვიქნებოდი...  
მე არ ვიქნებოდი სევდა —  
ყლორტების ამოყრის შემდეგ რომ  
მზიან ნათელში ვერ მდგარი ხის  
ფოთლებისას რომ იწყებს ჭკნობას.  
მე არ ვიქნებოდი —



შეცივნულ სულთა მეკავშირე.  
მე არ ვიქნებოდი ზაფხულის გამარჯვება და  
ზამთრის დამარცხება.  
მე არ ვიქნებოდი მოთმინება,  
რაიც დაკარგეს კვლავ მოპოვებით,  
მე არ ვიქნებოდი ჯიუტი და თავისნათქვამა,  
ტყუილის სიმართლიდან დამაცალკევებელი,  
მე არ ვიქნებოდი ის გზა,  
რომელიც იწყება და იმავდროულად ახლდება  
და მუდამ იძირება  
მზის ელვარე სხივებში.  
რომ გვიზომავენ ზეცის  
ვრცელ სივრცეს.  
რაც რამ მებადა, სულ რომ ჩემი ყოფილიყო  
მე არ ვიქნებოდი...



**ჰენრიკ  
ელლიანო**

ცნობილი სომეხი პოეტი. დაიბადა 1940 წ. ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის ფაკულტეტი და მოსკოვის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1990 წ. მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. მრავალი წიგნის ავტორი და არაერთი პრემიის ლაურეატი.

ამჟამად ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია და საზღვარგარეთის ლიტერატურის თეორიის კათედრის გამგე. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

**ვინა ლოცულობს?**

ვინა ლოცულობს?

ჩვილი დედის საშოში?

ქარი ხეთა ყლორტებთან?

ვინა ლოცულობს?



ბალახი ცელის ხმის გაგონებაზე?

ფრინველის ჩრდილი ქვაზე?

ბოლო ტრამვაი შუალამისას?

ვინა ლოცულობს?

ხელები, რომლებიც უფლის კვართს ფლეთენ თუ სიტყვები, რომლებიც ინევენ საგნებისკენ




და მიზნამდე ვერ მიულწევიათ?  
 ვინა ლოცულობს?  
 ვინც ჯერ არ დაბადებულა თუ  
 თუ ის, ვინც ჯერ ისევ ცოცხალია?  
 ვინა ლოცულობს? ვინ გვიახლოვდება?  
 თუმცა საბურველში სახე არ მოუჩანს  
 გვერდით რომ ჩაგივლის, ნაცნობი გგონია.

\* \* \*


აჰა, გავლიე უკვე წლები,  
 წლებმა გამლია.  
 ჩემი ფეხის ხმაც კი ვერ აღწევს  
 ყურთასმენამდე.  
 რომელი დღეა წარსულიდან  
 ჩემად რომ იქცა?  
 ათასწლეულმა ჩამიქროლა გვერდით  
 მაგრამ რა?  
 ჩემი ცხოვრების ხეს  
 ფოთოლიც ვერ შეურხია.  
 დაბერებულა პოეზია და უჩინარი  
 ხელი ამაოდ ცდილობს ძველი ფარდის დაშვებას.  
 იყო და არც რა იყო სიტყვა,  
 არც რა შეხვედრა...  
 ქუჩის ფანრები თითო-თითოდ ქრება,  
 ბინდდება.  
 წყვდიადში ერთი ფანარილა ებრძვის სიბნელეს.  
 უკანასკნელი, ეგ მბჟუტავი შუქი ჩემია.

## ტაძრის მხენებლობა

ქალაქის ცენტრში აღიმართება ტაძარი,  
 უზარმაზარი ბეტონის გაუმტარი ჯავშნებით –  
 საიერიშოდ გამოსული ტანკი,  
 რომელიც მოუთმენლად ელოდება,





როდის გაუხსნის ცეცხლს  
ხეებს, ბალახებს, სახლებს, ჭალებს,  
გამელელებს.  
ნელა მოემართება ნანგრევებიდან,  
ასეული წლებიდან, ანონიმური თაობებიდან,  
შედრწუნებული სულებიდან,  
ირგვლივ მიმოფანტული დაშლის კარზე მდგარი  
მშენებლობებიდან, ცარიელი კაფეებიდან,  
შეშინებული მალაზიებიდან,  
თვითკმაყოფილი სახეებიდან, გამხდარი მხრებიდან.  
ნამოიმართება რკინის შეკრული ღვედებით,  
მავთულების გამოშვერილი წვერებით,  
ფიცრის ნაჭრებით  
(ლაზარეს აღდგინებას რომ გვაგონებს).  
ეს ის ტაძარია,  
რომლის აგებასაც გვპირდებოდა მაცხოვარი  
იერუსალიმში, სამ დღეში?  
აქ, სომხეთში (ანდა ლონდონში,  
როგორც წერს თ. ს. ელიოტი),  
თვალსაჩინო ტაძარი,  
რომელსაც შეიძლება მიუახლოვდე,  
ხელი დააკარო,  
შეეხო კედლებს და არა არსს, არა სულს,  
რომელშიც არცერთი მშენებელი  
ქვას ქვაზე არ დებს.  
ქალაქის ცენტრში მშენებარე ტაძარი  
და შინაგან სამყაროში  
დანგრევის პირას მდგარი ტაძარი  
ერთი და იგივე არაა.  
ხორცშეუსხამი სიტყვა უკვე სიტყვა  
აღარ არის დასაბამიდან.  
ხილული და უხილავი ერთი და იგივე არ არის.  
იგივე არ არის შედეგი და ჩანაფიქრი.  
ქალაქის ცენტრში მშენებარე ტაძრის  
ჩრდილი არ ფარავს სხეულს,  
რომელიც შიშვლდება და  
მწვავე მზის ქვეშ დარჩენილი მისი ნაწილი,



ოფლიანდება და ხელდება  
ახლო რესტორნის აულებელ ვიტრაჟებში.  
ტაძრის აგება, ქვის ქვაზე დადება,  
არსის უბნელესი კუნჭულების განათება,  
გზის განმენდა  
ერთადერთი ნაღდი ხუროთმოძღვრისთვის,  
რომლის ფარგალი მისივე სიკვდილ-სიცოცხლეა,  
მისივე ხელით ნახაზი გეგმა  
მისი აღდგომაა – ნელინადის  
ცვალებადი დროების,  
დღის საათების და  
მსოფლიოს ყველა ადგილას ერთდროულად.





## სონა 356

სონა ვან ამერიკაში მცხოვრები სომეხი პოეტი ქალია.

დაიბადა ერევანში. დაამთავრა ერევნის სამედიცინო ინსტიტუტი. შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში და თითქმის 30 წელია ლოს-ანჯელესის მკვიდრია.


არის ფსიქოლოგიის მაგისტრი. სამი პოეტური კრებულის ავტორი. თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, უკრაინულ, ფრანგულ ენებზე.

წერს აგრეთვე პროზაულ ნაწარმოებებს. თავის მეუღლეს, ექიმ ნუბარ ჯანოიანთან ერთად დააფუძნა ლიტერატურულ-კულტურული ჟურნალი „ნარცისი“, რომელიც გამოდის ერევანში 2003 წლიდან. 2007 წელს თბილისში, გამოქვეყნდნობამ „ეროვნულმა მწერლობამ“ გამოსცა მისი ლექსების კრებული ქართულ ენაზე „მე სახელი არა მაქვს“ (მთარგმნელი ანაიდა ბოსგანჯანი).

\*\*\*

ბაბუაჩემი...  
მღვდელი იყო

მას  
ღმერთი



სწამდა  
დილის ცხრა საათიდან  
სალამოს  
ექვს საათამდე

ექვსის მერე კი  
ისვენებდა



მამაჩემი...  
ფიზიკოსი იყო

ის  
ცხრიდან ექვსამდე უარყოფდა  
ლმერთს  
ხოლო ექვსის მერე  
ფარულად  
სწამდა

მამიდა ჩემი  
ყველა  
თავის სასიყვარულო  
წერილს  
ინახავდა  
გაცვეთილ სახარებაში

გამოცხადებათა  
თანამიმდევრობით

ის  
კითხულობდა  
ლეთის სიტყვასა  
და წერილებს  
სახის  
იგივე  
გამომეტყველებით  
და ორივე





სწამდა  
მხოლოდ... ნახევრად  
დანდობილი  
მის  
იდუმალ  
ლიმილს  
(გასაღების ღრიჭოდან)  
ძნელი იყო თქმა  
თუ მამიდაჩემი  
ვის აირჩევედა  
იმ დღეს  
თავის მხსნელად...

დედაჩემს  
(კინალამ დამავიწყდა)  
დრო არ ჰქონდა  
რომ ეწამა  
ან  
არ ეწამა

ის სულ დაკავებულიყო  
არარაისგან  
რალაცის  
შექმნით  
დედაჩემი სულ ჩუმად იყო

მე...  
მემკვიდრეობით გადმომცა  
ბაბუაჩემის  
დღისითა რწმენა  
მამაჩემის სალამოთა რწმენა  
მამიდაჩემის ღიმილი  
და დედაჩემის ხელები



## დედაჩემი DOWN-TOWN-ში

დედაჩემი გაიზარდა  
ბავშვად იქცა

მე  
მას ხშირად  
ზღაპარს ვუყვები  
ძილის წინ


თუ კარგად იქცევა  
მე  
მას  
ქალაქში ვასეირნებ

იქ  
ის  
ზოგჯერ  
ხელს მიშვებს  
და მაჩვენებს  
სანთლიდან დამზადებულ  
ანგელოზებს  
ვიტრინაზე

— სამოთხეა  
შვილო...

მე  
დედაჩემის  
სანთლიდან სამოთხის  
როგორმე  
შენარჩუნებისთვის

ზურგით  
ვფარავ





ერთ მათხოვარს  
და ვეუბნები  
— შეხედე დედი  
ეს ლიფტია  
ცისტოლა შენობის  
მაგით ერთ დღეს  
უფალი უნდა მოვიდეს...

Down-Town-ის  
ქუჩებში  
დედაჩემი დადის  
და ლოცულობს  
ლარიბთა ღმერთს

დედაჩემი დაპატარავდა  
ერთ მუჭად იქცა  
და მე  
ხანდისხან  
ვკარგავ მას

ვეძახი... დედი... დედი...

და როცა უიმედოდ  
ნამით ვდუმვარ  
ქალაქის სქელ  
ბინდ-ბუნდში  
ვხედავ  
შვიდი ნომრის  
ფეხის ნაკვალევს  
ცაში ამაღლებულს...  
დედაჩემი დაპატარავდა  
ღმერთად იქცა



\*\*\*


აკვარიუმის  
ბრტყელი თევზივით  
ამ ახალ ქალაქში  
მე არა მაქვს სახლი  
და მე თითოთ მიხმობს  
ყველა

მე უსინათლო ვარ კიდევაც

თვალეები ჩემი?..  
ჩემი ძველი თოჯინას  
თვალეებივით  
ირეკლავენ  
უბრალოდ  
სინათლეს

ცარიელ ქუჩებში  
ელექტრონული  
პროგრამით ანთებულ  
ნითელი შუქივით  
ჩემი მაჯისცემა  
მეხსიერებაა  
და უაზრო... რითმი

ნითელპარიკიანი  
მასხარასავით  
ამ ახალ ქალაქში  
მე არა მაქვს სახელი  
და თითოთ მიხმობს  
ყველა



## აღსარება მაქსს მიცემული

კვირაში ერთხელ  
მე  
ვალეზ კარადას  
გუნდრუკს ვაკმევ  
პირჯვარს ვისახავ  
ვლოცულობ  
და  
ვფურცლავ  
ტანსაცმელს  
თანამიმდევრული  
ცოდვებით

ცოტა ხნის მერე  
მე  
ხელით ვწევ  
ჩემს მინი კალთას  
რომელიც  
რალაც მოკლე  
რეკლამასავით  
გაკვეხებულია  
ორ  
გრძელ კაბას შორის

ჩემს წითელ კაბას  
მე  
ვფურცლავ ფრთხილად  
რომ ხელისგულების  
ჟრუანტელის მომგვრელი  
განცდა მოედოს  
ჩემს მკერდზე




აბრეშუმის  
 პერანგზე  
 შეხების წინ  
 მე  
 საერთოდ  
 ორჯერ  
 პირჯვარს ვისახავ

ხანდახან  
 სირცხვილით  
 ვიყურები დაბლა  
 და  
 ყუთებიდან  
 მიყურებენ თვალებში  
 ჩემი დაღლილი  
 ფეხსაცმელები  
 წმინდა  
 მამებივით  
 რომლებმაც იციან  
 მისამართები  
 ჩემი ცოდვების  
 მაგრამ  
 დუმან...

## **მე მომბეზრდა**

მე...  
 მომბეზრდა  
 უვნებელ  
 ნაზ  
 გოგონად ყოფნა  
 და  
 გადავწყვიტე  
 ჩემს შემდეგ ცხოვრებაში





ეკლად დაეიბადო

შენც...

ზ ე ც ი უ რ ო

შემდეგ მოსვლისას

დაიბადე

ერთი ცოდვილი

მზეთუნახავისგან

მშვენიერ სასახლეში

და

მოდით ჩემთან

მე...

გადავწყვიტე

ჩემს შემდეგ ცხოვრებაში

ეკლად ვიარსებო

გვირგვინზე

შემდეგი

მხსნელის

დიდი ხანია

ძალიან დიდი ხანია

მე

მომბეზრდა

გოგონად ყოფნა


საკვირველია

შენ

არ მოგბეზრდა

ამდენ ხანს

ღ მ ე რ თ ა დ ყოფნა?..



## სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არის ორი და

წვიმამდე  
ქვის ხელშეუხებელი  
უმშვენიერესი ქალწულია  
სომხეთი


ძუძუები  
ლურჯ  
სივრცეში

ქართული მინა კი  
ქალია  
კეკლუცი  
ხანის სავარძელს  
ოდნავ მიყრდნობილი...

ქვის კერტებიანი  
ქალწულია სომხეთი  
ტუფის ფეხსაცმელი  
მდორე ადგილას

საქართველო  
თბილი ქალია  
აბრეშუმია  
მწვანედ  
დაქარგულია



მაგრამ წვიმის ქვეშ  
შიშველნი არიან ორივენი  
დებივით ერთად მცურავი  
ერთი შემართებით



მდგარი წვიმის ქვეშ  
მეორე კი აუზში  
კიდებე მჯდარი  
ვით მათისის  
მცურავი ლამაზმანი

ცოტა ხნის მერე კი  
როცა სდუმს წვიმა  
ცაში სილურჯეა  
და სიყვარული

და ქვის ქალწული  
უგდებს ცისარტყელას  
თავის დას ტანსავეს  
და უმშვენნიერეს.



## არტაკ ჰოსკანიანი



პოეტი, მთარგმნელი, ფიზიკოსი. დაიბადა 1938 წელს, საქართველოში, წალკის რაიონის სოფელ კიბილქილისაში. დაამთავრა სოფელ ლუშჩის საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება მიიღო ერევანში, ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკოსის სპეციალობით. დაამთავრა ფიზიკის უაკულტეტის ასპირანტურა და მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიგ. ინსტიტუტის უმაღლესი კურსები. წლების მანძილზე მთავარ რედაქტორად მუშაობდა ქურნალში „მეცნიერება და ტექნიკა“, „მათემატიკა და ფიზიკა სკოლაში“, იყო სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ასწავლიდა ფიზიკას ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები და თარგმანები, გამოსცა ცალკე წიგნად ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების კრებული „რწმენის კედელი“. თარგმნა აგრეთვე ნ. ლუმბაძის, ხ. ბერულავას, მარიჯანის და სხვა ქართველი პოეტების საბავშვო ლექსები და 2007 წ. ცალკე წიგნით გამოსცა – „თავუნია და ლამპარი“.

ამჟამად გამომცემლობების „ანაჰიგის“ და „ოქრო ოქროიან“-ის ღირუქტორია და ოქრო ოქროიანის სახელობის ფონდის „ღმერთი სიყვარულია“ თავმჯდომარე.



\* \* \*

### ციკლიდან “მონოლოგი“

ო, ღმერთო ჩემო, როგორ მეზიზღება,  
ბნელი, უგუნური “ნინასწარმეტყველი“,  
შემინყალე, უფალო, და შორს გადამმალე  
მისი უფერო, ბილნი თვალებიდან.


შორს წამიყვანე, სხვა სანაპიროს,  
სადაც არ მომწვედება მისი ხმა ბილნი,  
თათებში მომწყვედულ ნადავლს რომ დაჰყმუის,  
ძალღივით, წკმუტუნებს, დაფორთხავს მინაზე.

მაჩვენე სხვა მხარე, მაჩვენე სხვა კიდე,  
უფალო, გამიძიებ სხვა მისადგომისკენ,  
სადაც არ არის ლურჯი ეკრანი და  
ამდენი სიცრუე, ამდენი სიბილნე.

იქ, სადაც ლომობენ მაძლარი ლომები,  
და თაგვი არ მეფობს ჯერ კიდევ ვეფხვზე.  
მაჩვენე ის გზა, ის მისადგომები...  
იქ მინდა, უფალო, აქ უკვე ვერ ვძლებ.

ერთხმად რომ ვუნოდებთ ყველანი სამყაროს,  
სხლტება ყველაფერი იმ კარვის გულში,  
სადაც ვარსკვლავები გადარჩნენ უბინოდ,  
და მხოლოდ ვარსკვლავებს შემორჩა შუქი.

მეც მოციქულად წარმგზავნე მათკენ,  
რომ ჩემი სულიც ჩაინვას ალში.



\* \* \*

იქ, ზევით, ცაში, ვარსკვლავთა მიღმა,  
სადაც ვერ აღწევს კაცის აზრიც კი,  
ყოველ წამს ჟღერენ ციური ხმები,  
პოეტის გულის გამოძახილი.

თანამგზავრები არტყამენ წრეებს  
დედა-ორბიტას, ლიქით და ფარსით,  
ქვეყნის ამბები მოაქვთ და მიაქვთ  
და არ იციან ზღვარი და ფასი...


ყრუ არ არიან, და არც გულგრილნი  
ამ ხმათა მიმართ ასტრონომები,  
მაგრამ ამბობენ, რომ ხომლის მიღმა  
არის ეთერი, ვარსკვლავთა მტვერი.

იმათ არ ესმით და ვერც იჭერენ  
გამოძახილებს პოეტის გულის,  
რაკი ამქვეყნად არცერთ ასტრონომს  
ჩაულწევია პოეტის გულში.


იქ, ზევით, ცაში, ვარსკვლავთა მიღმა,  
სადაც ვერ აღწევს კაცის აზრიც კი,  
ყოველ წამს ჟღერენ ციური ხმები,  
პოეტის გულის გამოძახილი.

## ჩემს თავს

კმარა, ტვინი ნუ წაიღე შენი სინმინდით,  
იმით, რომ თეთრი თეთრია და  
შავი – შავია,  
სიავეს ყალყზე უდგები  
და გულს მინყალებ  
შენეული გამბედაობით,  
დიდებული სიამაყით



გამოჩენის მძაფრი სურვილით.  
გაუპატიურებულ ბრბოში  
შენი შესაშურად  
თვალშისაცემი ბატონკაცობით.  
ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში  
ვინ შეგინწყალებს...  
ასე სხვანაირი, ასე მაღალი  
მუხაა მხოლოდ,  
არავის რომ ხელს არ უშლის.  
არც არავის ესაუბრება,  
მაგრამ ჭრიან და  
უმონყალოდ ძირს ანარცხებენ.  
წვავენ, კარგავენ უგზოუკვლოდ.  
რას გარგებს სიბრძნე,  
ანდა სინმინდე რაში გჭირდება,  
როდესაც ბრიყვი  
თვითონაა სიბრძნის მწონავი,  
და აშმორებულ ჭაობიდან  
გამოშვერილი,  
კეთროვანი, მრუდე ხელი  
გწვდება ბრძენ ყურში,  
და მიგათრევს, გექაჩება.  
სდექ, რამდენჯერ უნდა გითხრა,  
ტვინს ნუ მიჭამ შენი სინმინდით,  
არც ერთმა მუხამ ჯერ არ იცის,  
თუ რატომ ჭრიან,  
რომ იცოდეს, ხომ მაშინვე  
ბურქად იქცევა და გადახმება...  
კმარა. ტვინი ნუ წაიღე  
შენი სინმინდით.



\* \* \*

ორპირისა და უკეთურის  
გავხდით მსახური  
და გავაჩაღეთ ჩვენ ღრეობა  
ჯერარნახული.


მიმზერს მოყვარე მტრადქცეული,  
მკითხავს: - ვინა ხარ?  
მზე ასე ცივი, ასე შავი  
ჯერ არ მინახავს.

რად მიკანკალებს ცისკენ  
ლოცვად განვდილი ხელი?  
გზაა უვალი,  
საიქიოს გზასავით ბნელი.

შეხედეთ, ბრიყვი, უსწავლელი  
მოძღვრავს ჭკვიანებს  
და როგორც ქოხი კარშეხსნილი  
ისე ჭრიალებს.

ამდენ ცოდვისგან მამაუფალს  
ცრემლი ჩამოსდის  
ვაი სომხეთო,  
შენ დამზრალო  
ბალო სამოთხის,  
შენს სიდიადეს რად შორდები?  
ნეტა რა მოგდის?







## შოკა

დღე დასრულდა, გაილია,  
და ბინდ-ბუნდი ებრძვის ნათელს,  
ლამე ანთებს ცის მინდორზე  
ვარსკვლავების ქორაკანდელს.

მარწევს ქარი, სურს ვიძინო,  
ვამბობ ქარის ქნარო, კმარა!  
ისმის რაღაც უცხო ხმები  
ფხაჭნის ნაძვი ცის კამარას.

და ეშვება ოქროს თოკი  
წვერზე აკვანგამობმული.  
ცაზე დათვის ვარსკვლავედი  
მოლოდინით განაბული.

დღის და ღამის გასაყართან  
თუ ვიხილავთ, ვისაც ველით?  
ლოცვა აღებს ზეცის თაღებს  
და იღვრება ცით ნათელი.



## ჰრაჩია თამრაზიანი


პოეტი, მთარგმნელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა 1953 წ. ერევანში.

დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა მაშტოცის სახელობის მაგენადარანში. 1994 წ. დანიშნეს სომხეთის საგამომცემლო სამმართველოს უფროსად, 1995-1997 წ.წ. იყო სომხეთის ინფორმაციის მინისტრი. 1991-2008 წ.წ. გამომცემლობა „ნაირის“ დირექტორი, ხოლო 2008-იდან პარალელურად მაგენადარანის დირექტორია. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურად, ფრანგულად.

ავეგორია 20-ზე მეტი წიგნის. ავეგიქ ისააკიანის სახელობის, ლევონ მკრტჩიანის სახელობის და სხვადასხვა პრემიის ლაურეატია.

### კითხვა უპასუხოდ

ჩემს ერთ მეგობარს იარალი ჰქონდა  
გაზეთში საგულდაგულოდ შეხვეული  
ბნელ, საიდუმლო ადგილას გადანახული.  
თვითონაც არ იცოდა ვისთვის ან რატომ.  
კეთილი კაცი იყო, სმა უყვარდა და  
გულდია სიცილი, თუმცა სევდაც ხშირად ეძალებოდა.  
ფეხბურთზე გიჟდებოდა,




ყველა გატანილი ბურთი,  
თითქმის მის გულს ხვდებოდა.  
ომიც ნახა და დაუნდობლობაც,  
იარალი კი ერთხელაც არ გახსენებია.  
ჟამი გავიდა და ერთ შაბათ დღეს  
სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.  
იარალი დღესაც ალბათ იმ საიდუმლო  
ნანგრევებშია,  
მე კი ყურებში კვლავ მინივის  
კითხვები უპასუხო  
ვისთვის, რატომ?

## ორი ძალღი – ღამით და ღლისით

ღამღამობით მურა ძალღი  
ხორცს ლეჭავს და თავს მკერდზე მადებს,  
ჭკვიანი თვალებით დაეძებს ჩემს სულს,  
რომელიც ძლივს ვიხსენი თანამედროვე ეშმაკებისგან  
ეს ერთადერთი ქონებაა, რაც მაბადია.

და აი, თენდება დილა  
მიზნის სიჯიუტით და  
ყოყმანის ბზუილით სავსე,  
ფეხები თვითონ პოულობენ  
ერთადერთ ბილიკს  
ჩემი ქალაქის აჩქარებულ ქუჩებში,  
და ჩემი ძალღის  
პანია ლეკვები  
ერთგულებით სავსე თვალებით  
დაღამებამდე თან დამყვებიან.





## ჰამლეტ პარჭიკიანი



პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი. დაიბადა 1936 წ. ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა პერიოდულ პრესასა და გამომცემლობებში („ლუის“, „საბჭოთა მწერალი“, „ნაირი“, „აიასგან“), პოლიგრაფიისა და საგამომცემლო მმართველობაში. მისი ლექსები და თარგმანები პერიოდულად იბეჭდება პრესაში. ავტორია 30-მდე წიგნის. ავეჯიქ ისაჰაკიანის პრემიის ლაურეატი. აქვს სიგელები და მედელები.

### მარტიროს სარიანს



ორი მზეა ქვეყანაზე  
ერთი ათასწლოვანი ალით  
ბრწყინავს ცაში,  
მეორე კი სარიანის  
ნახატზე ელვარებს.  
ორი მზეა ქვეყანაზე.  
ორი ქვეყანაა დედამინაზე.  
ერთი სამშობლოა,  
დიდებული და აღორძინებული,  
მეორე კი სულის სალბუნად  
სარიანის ფერ-ტილოზე გადაშლილი.



ორი გაზაფხულია ქვეყანაზე,  
ერთი სულს გიფორიაქებს,  
მეორე კი ნახატიდან  
ფიქრით გავსებს.  
რა უფრო მომხიბვლელია?  
სარიანის ჯადო-ფერები  
თუ ბუნების მრავალფეროვნება?  
ორი გაზაფხულია ქვეყანაზე.

## საკუთარი თავის შესახებ

თუ თავი ვერ დავიცავი,  
სხვა ვინა მყავს დამცველი?  
გაილევა იმედები,  
როგორც ნყალი საცერში.  
ემშაკეულ დროში ვცხოვრობ  
ყველა მეთამაშება.  
ყველაფერი თუ დავკარგე,  
მარტო ცრემლი დამრჩება.  
დღეს სიმართლეს ლაფში სვრიან,  
მიჭირს ამის ატანა.  
და კუდს ხალხთან ისევ მალავს  
მომღიმარი სატანა.  
თუკი მე ვერ დავიცავი  
ჩემი ქვეყნის ღირსება,  
მაშინ დიდი ისტორიაც  
ნაცარ-ტუტად იქცევა.




## სამხელ კოსიანი

პოეტი, დრამატურგი. დაიბადა 1947 წელს, ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა პერიოდულ პრესაში, იყო პასუხისმგებელი მდივანი „გრაკან თერთში“ („ლიტ. ვაზეთი“), ამჟამად მთავარი რედაქტორია. ავტორია 10-ზე მეტი წიგნის, მათ შორის საყმაწვილოსიც. მისი პიესები დადგეს ერევნის თუმანიანის სახელობის თოჯინების და სახელმწიფო თეატრებში. მისი სცენარების მიხედვით შექმნილია ანიმაციური ფილმები. თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენაზე. ირანის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიენიჭა გრან-პრი. სტეფან ბორიანის ლიგერატურული პრემიის ლაურეატია.

### შ ე ნ


მე და შენ ერთი სხეული ვართ,  
ერთი გვაქვს ჩრდილიც.  
მე შენ ყვავილებს ვერ გაჩუქებ,  
რადგან არავინ საკუთარ თავს  
ყვავილს არ უძღვნის.  
ვერ გეტყვი, კარგო,  
თუ რაოდენ უყვარხარ ამ გულს.  
საკუთარ თავს საუცხოო სიტყვებით



ვინ ერურჩულება?  
შენს თავზე წისქვილის ქვაც კი  
დატრიალებულა  
და მაინც გაუტეხელი ხარ.  
შენ შვილებისთვის ლამპარი ხარ,  
სიახლის დედა, წარსულის დარაჯი.  
შენს სხეულს სამამულო ომის იარები ეტყობა  
და მაინც მშვიდობა გქვია.  
შენ იცი საიდუმლო მარადიული ახალგაზრდობის  
და არ იცვლები  
არც უდაბნოს ყვითელ სილაზე  
და არც ტაიგას ყინულეთში.  
მინდა, ჩაგიკრა გულში, მაგრამ  
არ შემიძლია.  
რადგან არავის ძალუძს მოეხვიოს საკუთარ თავს.

## სრბოლა

ადამის მოდგმა –  
საყვარელი,  
საძულველი,  
მონყენილი,  
დაღონებული,  
გათითოკაცებული,  
დაღლილი.  
ადამის მოდგმა.  
ყვავილები ახალშობილისთვის,  
ყვავილები შეყვარებულისთვის,  
ყვავილები მიცვალებულისთვის.  
ყვავილები,  
ყვავილები  
ფერად-ფერადი,  
წითელი და ლურჯი,  
თეთრი და ყვითელი.  
ადამის მოდგმა,  
არ იციან რა სურთ,





არ იციან ვინ სურთ,  
არ იციან რატომ  
ადამის მოდგმა,  
საბრალო,  
უმნეო,  
ძლიერი,  
საყვარელი,  
მუხლმოყრილი  
მონაპოვართ სურვილდაცლილი.  
მოქანავე წარსულიდან  
მომავლისკენ.  
ცეცხლის წრეს  
მიჩერებული,  
დაჩოქილი,  
ცრემლებში ნაბანი.  
და საკუთარ თავში  
გზააბნეული.

## აღიარება

ჩემო სამშობლოვ,  
რაც გიძღვენი, ყველა სიმღერა,  
ამ შორეთიდან ცრემლია და  
სევდის სენაკი.  
კარზე არავინ მიკაკუნებს  
ლტოლვილს და უცხოს.  
მე საკუთარი თავის ტყვე ვარ,  
თავის სტუმარი.  
შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და  
ყოველ ცისმარე,  
მინდა რომ წვეთ-წვეთ დაგიბრუნო,  
რაც მადევს ვალად.  
არც მიცხოვრია, რაც უშენოდ  
გავლიე წლები.





## ლილითი



პოეტი. დაიბადა ერევანში. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მისი პირველი წიგნი „სიყვარულის მანანა“ გამოვიდა 1992 წელს, გამოცემლობა „ნაირი“-ში. რისთვისაც მას მიენიჭა მწერალთა კავშირის ყოველწლიური ავეჯიქ ისააკიანის პრემია. აქვს ღიპლომები და საპატიო სიგელები. წერს აგრეთვე საბავშვო მოთხრობებს. ავტორია სამი პოეტური კრებულისა. მოღვაწეობს ლიგერატურული თარგმანის სფეროში. იბეჭდება როგორც სომხეთში, ასევე საზღვარგარეთ.

## სკამი

მინა ითხოვდა ჩემგან  
თაყვანს და მორჩილებას,  
მინა დაღლილი კაცთა მოდგმის  
უგუნურებით.

— მე, რატომ, მინავ,  
რად უნდა ვაგო მე პასუხი  
ყველას მაგიერ?

— იმიტომ რომ შენ იცი  
ფრენის საიდუმლო: - მიპასუხა.  
სკამმა მიბრძანა:  
გეყოფა ფრენა!



მოდის, ჩამოჯექ ჩემს მუხლებზე  
მომიალერსე, თაყვანი მეცი,  
დღენიადაგ იზრუნე ჩემზე.  
მე თუ მყარად ვიდგები, მაშინ  
შენც იქნები გამარჯვებული,  
უანგბადზე მეტად მე ვჭირდები  
ადამთა მოდგმას.

უკუნმა ღამემ დამიძახა:

„მეცი თაყვანი

მდიდრული არის ჩემი სუფრა და იღუმალი“.

ვდგევარ უსიტყვოდ,

ვფიქრობ, რა ვქნა?

ვის ვცე თაყვანი?

როდესაც სკამი ბატონობს და

მე, არც ვარსებობ.

## ნუთუ ვერ ხედავ

ჭერმის ხესავით ავყვავდი და

მუხლამდე კაბას

ქარი, ავქარი მიფრიალებს,

მეთამაშება.

ქათინაურებს ჩამჩურჩულებს,

თმაში მიბნევს ციციანათელებს.

წვიმა მიმღერის,

მთვარე დედამზეს

ჩემს ხელსა სთხოვს.

მართობს გამვლელთა ირიბი მზერა,

შენც ჩემსკენ აპარებ თვალს,

გინდა ჩემი ჩრდილის დაბადება ნახო.



ნუთუ ვერ ხედავ,

მე ის ჯადოსნური ყვავილი ვარ,

ერთ დღეს გოგონად რომ იქცევა.

მოდის, მომწყვითე.

გაგრძნობინო მე ჭერმის გემო.



## ახალი წელი

ისევ მარტო ვარ...  
სრულიად მარტო  
და მარტოობას გულის ხმას ვანდობ,  
მე ამ სიყვარულს დავეყრდნობი  
როგორც ყავარჯენს  
სიბერის უამი ფეხს რომ დამაბჯენს.  
ჩიტებმა ჩემი საგულდაგულოდ დაკემსილი  
შემოდგომის ცა  
სულ მისხალ-მისხალ ამოკენკეს, დაანაკუნეს,  
ამიტომაც თოვამ იმატა.  
ოქროებივით ვითვლი ტკივილებს  
და მდიდარი ვარ ჩემს სატკივართან.  
მქონდა ზღაპარი, მაგრამ ქვეყნის ორომტრიალში  
სამუდამოდ დაეკარგე იგი.  
ახლა შენს დარტყმებს თანაბრად ვითვლი,  
გახსენ კარი და არხეინად შემოდი შიგნით!  
წელო ახალო!..



## მეტაქსა





პოეტი, პროზაიკოსი. მთარგმნელი, პუბლიცისტი.

დაიბადა სომხეთში, შირაკის ოლქის სოფელ არეშაგში. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები. 20-ზე მეტი წიგნის ავტორია. წერს აგრეთვე ბავშვებისათვის. ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. პოეზიის საერთაშორისო მრავალი ფესტივალის მონაწილეა. 2007 წ. გამოვიდა მისი ლექსები რუსულ ენაზე. აქვს მემუარების წიგნებიც ოვანეს შირაზზე და პარუირ სევაკზე. ხომალდ „ლიპეცკ“-ში მეგაქსე მუშაობდა მეზღვაურად.

მუშაობდა აგრეთვე დედათა რესპუბლიკური ფონდის თავმჯდომარის მოადგილედ (1988 წ.) მიწისძვრის მონაში – გიუმრიში, ვანაძორში, სპიგარში მცხოვრებთ დიდი მაგერიალური დახმარება გაუწია.


პაგრიოტულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა 1992 წ. თებერვალში შექმნა „ყარაბახის ჯარისკაცების დახმარების კომისია“.

მეგაქსემ თარგმნა ბელა ახმადულინას, სლოვაკელი პოეტის მიროსლავ ვალეკის, რუმინელი თედორ არბეგისის, მაკედონელი სლავკა მანკას ლექსები. მეგაქსეს სახელობისაა მისი მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 46 წელი მწერალთა კავშირში მუშაობს მრჩეველად.





## ექსპროზტი

მე ვცოცხლობ, ვხარობ  
სიყვარულით ჩემი მამულის,  
ვით თოთო ბალლი,  
რუდუნებით მყავს გულს ჩაკრული,  
რათა ყოველ ნუთს ვიგრძნო მისი  
უმანკო სუნთქვა  
სახეზე, ხელზე... რომ მესმოდეს,  
რაც ოდეს უთქვამს.  
დაბადებამდე, გაჩენის უამს,  
მერე და მერე...  
მე ვეფერები მის ლაყვარდებს,  
გაფანტულ ბგერებს...  
გულში ვიხუტებ,  
ფრთხილად ვუსმენ მის გულისცემას,  
დაუნანებლად გავცემ,  
ძალმიძს რაის გაცემაც,  
ვლებულობ იმდენს,  
ვერ აწონის ამქვეყნად ვერც რა,  
არ იყიდება იგი ოქროდ,  
არც ფირუზ-ვერცხლად.  
გულში მყავს მარად –  
გავექცევი ტყვეობას ვერსად,  
ზამთარში მზეობს,  
გაზაფხულზე ჭიკჭიკებს მერცხლად...  
ჩემია იგი!  
მკერდს მიმშვენებს, ვით ყელსაბამი  
უძვირფასესი,  
სურნელებით იასამანის...  
ვეალერსები თითქოს  
სატრფოს ლოყას აკრული...  
და მყავს სამშობლო,  
მარად ასე, გულში ჩაკრული.



## თვითმყოფადობა

თუნდაც ულამაზო ვიყო,  
გონჯი,  
შეუხედავი,  
ერთი ციდა,  
ჩამიარო და წამითაც  
არ მომაპყრო მზერა,  
მაინც მინდა,  
ჩემს თავს ვგავდე,  
ისეთი ვიყო, პირველქმნილი,  
როგორიც უფალმა  
მარადი ნლების წინ  
სინათლის რძეში თიხისგან მომზილა.  
მე სამოთხის თავწყაროდან მოვედინები,  
ძველიძველი ლეგენდებიდან,  
წარმართული კერპების  
აფორიქებული სულიდან...  
ქრისტეს წმინდა ნაფეხურებამდე.  
ასე იდინა ჩემმა გენმა გიუმრიშამდე,  
სადაც ჩემმა სპარსელმა მამამ  
დედაჩემზე შეყვარებულმა  
წინაპართა მემკვიდრედ შემქმნა.  
ამბობენ, რომ ჩემი დაბადების დღეს  
იოთბერგის ნათლითმოსილ ეკლესიაში  
იყო გალობა,  
მღვდელს, რომელმაც მე მომნათლა,  
მამტოცის სახე ჰქონდა  
და კომიტასის ლოცვით სავსე ხმა.  
თუნდაც ულამაზო ვიყო,  
ერთი ციდა, უეშხო  
ჩამირო და წამითაც  
არ მომაპყრო მზერა.  
მაინც ჩემს თავს მინდა ვგავდე,  
როგორც ჩემი ანბანი  
არ ჰგავს ქვეყანაზე  
სხვა არცერთ დამწერლობას,



როგორ ჩემი ამაყი მთების ქვეყანა  
სხვა ქვეყანას.  
ფესვებითა ვარ წინაპართა  
ძვლებიან დაბმული.  
ჩემს სულში მინის სურნელია.  
თვალეშიც ქვის ფერი მაქვს  
და ტკივილიანი ბედიტაც  
სამშობლოს ვგავარ,  
სამშობლოს,  
რომელმაც მდიდარი წარსულ  
და დიადი მომავალი მიანდერძა.  
და ამიტომაც, მაქვს უფლება,  
რომ ჩემს თავს ვგავდე,  
საკუთარი ხმით ვგალობდე  
და წუთისოფლის გაშლილ სუფრასთან  
საკუთარი გვირგვინით დავჯდე.  
კვლავ ატრიალებს ჟამის ბორბალს  
ხელი უჩინარი და მე  
მარადისობის პატარძალს  
ყველა თითზე მზის ნათელი  
მიბრწყინავს ბეჭდად.



## ედვარდ მილიტონიანი



დაიბადა 1952 წელს, ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. ავტორია ოცდაათი პოეტური და პროზაული კრებულისა. არის გორკის, სტეფან ზორიანის და სხვა პრემიების ლაურეატი. აგრეთვე სახელგანთქმული მხატვარია. გამოუყენებია პქონდა ერევანში, ლოს-ანჯელესში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ამჟამად სომხეთის საგამომცემლო სააგენტოს უფროსია და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

\* \* \*

სიყვარულის ზღვა ისე ღრმაა, ისე უძირო,  
რომ შეიძლება შეცურო და დაიღრჩო თავი.  
უდაბნოს ცხელი ქვიშა არის მზით ნაფერები,  
ცაა მეშვიდე, ჰაერია, ქარი სამუმის.  
ისე შორსაა სიყვარული, ისე შორსაა,  
რომ მხოლოდ სიზმრის ფრთებით ვენევით.

### მომვიდა ის ღრო

ჰა, დადგა უამი!  
ქალი დედალ ფურ ირემს ეძებს.







მამაკაცები ქორწინდებიან მამაკაცებზე.  
და გაიხსენა ღმერთმა ერთი უმადური საქმე,  
ხელახლა მოზილა თიხა  
და გამოძერწა სახედ თვისად, ადამიანი.

## სიამის კატა

ისმის ყიყინი. ბავშვების გუნდი  
ქვებს უშენს ბებერ სიამის კატას.  
ვყვირი შეჩერდით. წადით აქედან  
მაგ ლურჯთვალემა კატას მე ვიცნობ  
ჩვენს ეზო-ყურეს ბევრჯერ სწვევია.  
და სინანულით ვფიქრობ  
როცა ვიყავ პატარა  
მეგონა დიდები იყვნენ დაუნდობელნი,  
ახლა დიდი ვარ და მეჩვენება,  
რომ ბავშვები შეუბრალებელნი არიან.

## პოეზია


კედელთან ზის პოეზია  
მანანწალა ძაღლის სტატუსით,  
შუამდგომლობის გარეშე  
არ იღებენ არც ერთ პარტიაში,  
არც ერთ ფრაქციაში.  
ფოტოსაც სთხოვენ სამი-ოთხზე.  
არ იცის სანყალმა, რა ქნას,  
წყალში ჩახედვისაც კი რცხვენია,  
კისერმოდრეცილი როგორღა გაიღიმებს.  
აღრე იბეჭდებოდა,  
და ხალხი პირზეხელაფარებული ვიშვიშებდა,  
ნარეკაცი იტყოდა – გულისნასვლამდე,  
და შირაზისგან ითხოვდა მასისის დაბრუნებას.



მავანი თვითმარქვია პოეტის წინაშეც კი  
გადაშლიდა მრავალსაუკუნოვანი სომხური  
ლიტერატურის ოქროს ფონდს  
და საქალაქო პანთეონის საფლავის ორმოს.  
შორს ჩვენგან ქუფრი ფიქრები,  
რამეთუ პოეზია მუდამ ბრწყინავდა  
ანდამატის სიმტკიცით,  
ახლა მზადაა, ეშვი ჩაანოს  
პურისა და ბენზინის (ასე გასიებულ)  
მაფიების ფერდში,  
ნაალაფარი დეპუტატის წინასაარჩევნო  
პროგრამის ცხიმში,  
ცრუ მოციქულის 30-ვერცხლიან წკრიალა ქისაში  
და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ:  
პოეზიას მობეზრდა და პოეტებისგან  
დამოუკიდებელი გახდა,  
საკუთარი თვითმმართველობის სფეროში,  
პოეტებმაც, კაცმა რომ თქვას,  
თავიანთი შესაფერისი  
სხვა საქმე მონახეს –  
საბაზრო და სქესობრივ ურთიერთობებს შორის.  
(აი, როგორ შეიქმნებოდა სამეურნეო-პორნოგრაფიული  
წაწარმოები).


ოღონდ ჯერ არ ჩამოყალიბებულა შეზღუდული  
პასუხისმგებლობის საზოგადოებად  
მცირე საწარმო, სახელწოდებით “ბოზი”.  
— იქნება, — ყვირის რაისაბჭოს განყოფილების გამგე,  
— იქნება...

ასე, იმედი სულ ბოლოს კვდება.  
პოეზია უბინოა და გულუბრყვილო.  
თუთის გადაჭრილ ტოტზე  
ამ რწმენით ჟღურტულებს  
ერთი საბავშვო ლექსი,  
რომელსაც ბავშვები შურდულს ესვრიან,  
ის კი, ბუმბულგაცლილი და ენაგადმოგდებული  
მაინც დაფრინავს.





შეშფოთებული მოხელე პირში მოგახლის:  
 — სად წავიდა დიდებული პოეზია, რითაც სავსე იყო  
 დამოუკიდებელი რესპუბლიკა?  
 მას ვერ შეუგნია, რომ ასევე არსებობს  
 დიდებული გოდების პოეზია,  
 რითაც ამაყობდა შუასაუკუნოვანი  
 სომხური სამღვდელოება,  
 არ არსებობს იგავი, და ეს უმსგავსობა  
 არავის აღელვებს,  
 არ არსებობს ანდაზა, არსებობს მხოლოდ  
 აღებ-მიცემობა,  
 არ არსებობს ასევე ენის გასატეხი, გამოცანა,  
 ჩვენს სულს რომ ავსებდა ჩაროზის სიტყბოთი.  
 ნუ ვითამაშებთ, არა გვაქვს, არა გვაქვსო,  
 პოეზიას მუდამ უყვარს "გვაქვსო",  
 და, პათეტიკურად რომ ვთქვათ, იბრძვის,

მსხვერპლად ეწირება, მკვდრეთით აღდგება, -  
 ცოცხლობს ჩვენს ყველა სანგარში,  
 თავისი მოჩვენებითი არყოფნით ავსებს  
 დაპყრობილ ტერიტორიებს უხსოვარი თესლით:  
 სძინავს მტერთან ერთად,  
 რომ ოდნავ ჩვენნაირი გახადოს,  
 სძინავს ჩვენთან ერთად, რომ მტერს დაგვამსგავსოს.  
 ის არ ლაპარაკობს გაეროს, ეუთოს,  
 მესამე მხარის პოზიციიდან,  
 იგი შუაშია, თვითონაა მსხვერპლი და მაცხოვარი,  
 (რაც უკვე ითქვა). ზოგადი პოეზიის ერთი სტრიქონია,  
 პოეზიაზე კანონის შემოღებას რომ მოითხოვს.  
 ქვორუმი არ არის (მამა უცხონდა)...  
 არ იყეფება მანანნალა ძალის სტატუსით,  
 არ იკბინება, არ მოითხოვს გადადგომას,  
 არ აცხადებს ძვალზე შიმშილობას,  
 ყველასგან შველას,  
 მას ანდამატის მტკიცე ბრწყინვალეებით უყვარს  
 და მთელი მსოფლიოს გასაგონად ქადაგებს



ლექსის სოლიდარობას მგოსნებსა და სიტყვებს შორის.  
სიტყვებსა და დიპლომატებს შორის,  
დიპლომატებსა და სახელმწიფოებს შორის,  
სახელმწიფოებსა და კოსმოსს შორის.  
უნესიერესი ძაღლის სტატუსით ჩამომჯდარა კედელთან.  
ბოლო დროს მერიამ მანანწალა ძაღლებისთვის  
სროლის განკარგულება გასცა,  
ბრმა ტყვიით დაიჭრება პოეზია,  
მაგრამ ნუ ელოდებით მდიდრულ ქელეხს.  
პოეზია, ჩემო კარგებო, უკვდავია,  
როგორც ლიტერატურის მასწავლებელმა გვასწავლა.  
ასე რომ, ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავთ ტყვიას,  
რომელიც, იქნებ, ბოლოცაა.  
ბოლო კი ყოველთვის უნდა დავზოგოთ...



## სურენ მურადიანი

პოეტი, საბავშვო მწერალი. დაიბადა 1930 წელს, სომხეთში, ლორის ოლქის სოფელ აკნერში. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მოსკოვის ჟურნალისტიკის უმაღლესი კურსები. წლების მანძილზე მოღვაწეობდა პრესის ორგანოებში – „პიონერ კანჭში“ („პიონერის ძახილი“), „ავანგარდში“, იუმორისტულ გაზეთში „ვოზნიში“ („ზღარბი“), ჟურნალში „საბჭოთა სომხეთი“, გამოცემლობა „არევიკ“-ში (მზიური). ამჟამად ლექტორია, საბავშვო და სომხურ ლიტერატურის ისტორიას კითხულობს ერევნის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ავტორია 80 წიგნის, თარგმნილია რუსულ, ბელორუსულ, ქართულ, ლიტვურ, უკრაინულ, არაბულ, სპარსულ ენებზე... მის ლექსებზე შექმნილია ორასზე მეტი საბავშვო და საესტრადო სიმღერა. მრავალი პრემიის ლაურეატია.



### ოდა მტკვარს

ბრუნავს დრო-ჟამი, მტკვარი მაინც თავისგზით მიდის,  
ეალერსება უბერებელ დედა-ბუნებას.

ხან სევდიანი, მდუმარე და ფერნაცვალია,

ხან თავის დობილს, არაქსს ტკბილად ედუდუნება.

არეკლილია მტკვრის ტალღებში გიქორას ცრემლიც,




ყარაჩოლელთა მუხამბაზიც – ხმა სევდიანი,  
მტკვერის ერთ ნაპირას პეპო გაშლის ბადეს გულივით,  
მეორე მხარეს ელგუჯაა, ენანყლიანი.  
მზე ფერმკრთალდება და ეშვება ბინდის ფარდები.  
მიდის მდინარე, ზღვასთან მიაქვს ქვეყნის დარდები.

## ქართველი ქალები

საქართველოვ, მე გინოდებ  
სილამაზის დედას.  
პოეტი ვარ და ჩემს ტრფობას  
ლექსად მიტომ ვბედავ.  
მარმარილოს ქანდაკია  
თუ ქართველი ქალი?  
ისევ მღერის საიათნოვა  
სიყვარულით მთვრალი.  
მეც ვიქეცი ქალის მონად  
დავალ ძილგამკრთალი.



## მზესუმზირები

როგორც ორი მზესუმზირა  
ორი ოქროს წრე,  
ისე ძლიერ ვგავართ ერთურთს  
მე და შენ.  
შე თუ მზეობ, მეც მზისაკენ  
გამექცევა თვალი,  
თუ ჩრდილი ხარ, ჩემი გზებიც  
ჩრდილნაფენი არის.  
ჩვენ ერთი გვაქვს ნატურის მდელი,  
ერთი ბედისწერა,  
ამიტომაც მხოლოდ შენი  
სიყვარულის მჯერა.



\*\*\*

დაწინდული ვართ ერთმანეთთან  
ჩვენ საუკუნოდ,  
როგორც ხორბალი  
და წისქვილის ქვა.  
როგორც უდაბნო  
და აქლემი,  
როგორც თოვლი  
და არარატი,  
როგორც პეპელა  
და ველის ყვავილი,  
როგორც განთიადი  
და მზის ათინათი.  
ჩვენ ერთი სუნთქვა ვართ,  
„მე და შენ“  
მარადისობის ფირფიტაზე  
ამოკვეთილი,  
რომლის გათიშვა  
ქვეყნად არვის არ შეუძლია.



## ანაკიტ პარსამიანი




პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. დაიბადა ერევანში. ავგორია მრავალი წიგნის, მათ შორის საბავშვო კრებულის. მისი ლექსები თარგმნილია და გამოცემული უკრაინულ, ლიტვურ, ესგონურ, ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ ენაზე. მის კალამს ეკუთვნის ინდური ეპოსის „მაჰა ბჰარაგას“ სომხური თარგმანი (2001), აგრეთვე მარინა ცვეტაევის ლექსები.

წლების მანძილზე მუშაობდა ვაზეთების რედაქციებში: „პაირენიქი ძაინში“ („სამშობლოს ხმა“) და „გრაკან თერთში“ (ლიტ. ვაზეთში). 1993 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. პარალელურად რედაქტორია მწერალთა კავშირის გამომცემლობაში. მრავალი პრემიის ლაურეატი.

\* \* \*

ყველა, ვინც მოვიდა,  
გაბრუნდა, შორს დარჩა...  
დავრჩით მე და ჩემი ცხენი,  
სუნთქვაშეკრულები, უდრეკები, დაქანცულები,  
ჩვენლა შევრჩით ერთმანეთს,  
ორივე მეოცნებე და დაღუპული.  
ტაიჭო ჩემო, სანატრელო ჩემო, ღმერთო ჩემო,





ცოტალა დარჩა გასაძლები.  
არ მინდა, ნავალ სუფთა,  
ნისლიან და ცისფერ, ნათელ სახლში.  
დე, ჩემმა დღეებმა იქ ინკრიალონ,  
მკერდში ვარკსელავთა ნემსებით.  
არ მინდა, დე, ხავსი ვიყო,  
თბილი, მწვანე, რბილი და კეთილი.  
ღმერთი კი, ჩემი სიყვარული რომ ვერ დაინახა,  
ჩემს მძიმე ცრემლს ელოლიავოს.


\* \* \*

დუმილში უთქმელი სიტყვებია,  
მორჩილი სიყვარულები, მოციმციმე სინათლეები,  
დუმილში სიყვარული წამებაა,  
და ტანჯვა – ამაო ბედისწერა...

მართალია, არ გვძარცვავენ,  
ვმდიდრდებით დანაკარგის ტვირთით.  
მიაქვთ ნივთი, მიაქვთ ყალბი სიყვარული,  
ჩვენ კი ვარსებობთ სულის განძით.

მცირედი სიცოცხლეც ბევრია, დიდება შემოქმედს,  
დიდება მახარობელ გულუხვ მზეს,  
ჩვენ მუდამ არ ვიქნებით, მიწას შევერწყებით,  
მზე მიწიდან კვლავ გამოგვიხმობს,

ამოგვიყვანს, როგორც ლურჯ კესანეს,  
ანდა ხორბლის პრიალა ოქროს თავთავს,  
გავეხვევით მის სხივებში,  
და გავთბებით და გავთბებით.



## გამიგეთ

გაუგეთ ფრთოსნებს — როცა გრძნობს ყველა  
მინის იდუმალ ნუხილს თუ სუნთქვას,  
გაუგეთ თევზებს — ცაში სურთ ფრენა  
და მეც, როგორმე, გამიგოთ უნდა;  
მინდა ცოტათი, — თქვენ ალბათ გესმით, —  
ვიყო ფრინველიც და ვიყო თევზიც.

\*\*\*



მოვა თოვლი და დაფარავს  
მყუდრო, მონყენილ გზას,  
გადაათეთრებს მთა და ბარს,  
სხვას რას მოიტანს, რას?

რატომ გავუხსენ გული და  
რატომ გავენდე მას?  
მოვა თოვლი და დაფარავს  
ამ სიყვარულის გზას...

\*\*\*

ვინ უწყის ვინ ვარ, საიდან მოველ  
ან საით წავალ — ნეგეშუცემი...  
თქვენ მომიკითხავთ, როცა ვერ მპოვებთ,  
და, საოცრება — ციალებს ცრემლი!

თქვენ მომიკითხავთ, იქნება კვნესა,  
მოგენატრებათ ჩემი სახელი, —  
როცა ვარსკვლავად ან ვარდის თესლად,  
ანდა ნუშის ხედ გარდვისახები.



\*\*\*

შენ არ მირეკავ, მეც ვარჩევ დუმილს,  
ამ მდუმარებით მეღევა გული.  
ერთ დროს, ერთხელაც მიხვდები, ვიცი,  
რომ შენ ადვილად გატეხე ფიცი.

ფიცი, რა ფიცი? — იტყვი სიცილით,  
შენ ხომ არ გიყვარს ფიცი, ფიცილი...  
ის ღამე იყო ფიცზედაც დიდი,  
როცა ჩემს კართან იდექი რიდით.

უცხო ქალაქში... წვიმაში, ქარში,  
ვით ბედისწერა, მოხვედი მაშინ,  
ისე მოხვედი, გიხმობდი თითქოს,  
უცხო ქალაქში მომნახე თვითონ!



ახლა დუმილი დგას მტკივნეული,  
გაქრა ის ღამე, როგორც გრძნეული,  
შენც დაივიწყე, ვით მინდვრის ნისლი...  
იმ გახსენების არა ხარ ღირსი!

\*\*\*

მზის მიწურვამდე დარჩა რალაც ციდა მტკაველი,  
ბევრი რამ გაქრა, წარიხოცა, წავიდა, არ ჩანს...  
ოცნებებიდან — მწუხარება განუქარველი,  
სიყვარულიდან — ტკივილი და წუხილი დარჩა.

\*\*\*

მაშვრალო მგზავრო, შენ მწყურვალე იქნები, ვიცი,  
დალიე ჩემი მზერით სავსე, ლიცლიცა ჭიქა,



რომელშიც ჩემთა ცრემლთა ალი ბრწყინავს და ინვის,  
დალიე ჩემი თბილი ჟრჟოლა, — აქაც და იქაც...

გრძელ შარაგზაზე მოარული როს დაისვენებ,  
ერთხელ, ოდესმე მეც გამიხსენე.

\*\*\*



ჩემი ოთახი მშვიდი და თბილი,  
ციხეს ჰგავს იგი... მე მასთან ვრჩები,  
მაგრამ აქ კვდება ნელი სიკვდილით  
ის — ფარშავანი — ყისმათი ჩემი.

ჩემი ოთახი ბუდეა სელის,  
იქ ვხარობ, ვტირი და იქ ვარ მხნედა;  
სიბნელის ფრთებქვეშ ვიძინებ ჩუმი  
და ფერად სიზმრებს უღევად ვხედავ.

ის ჩემთან ერთად იქცევა დარდად,  
ის ჩემთან ერთად ტკივილებს ართავს...  
ჩემი ოთახი ერთხელაც, ალბათ,  
საბედნიეროს მაუნყებს ამბავს.

\*\*\*

ლამდება. დღეა მოხუცებული,  
მან განასრულა საქმე თავისი...  
მე სად წავიდე, გულით ვნებული,  
ჩუმი, უშვილო, შესაბრალისი?  
იქნებ ჯობია (ფიქრს ვერ ვამთავრებ!),  
რომ დავუბრუნდე სანყის-სათავეს?




\*\*\*

ისევ გათენდა,  
ისევ დადგა დღე უცნაური,  
მომღერალ ყელზე  
დამაჭირა მუხლი ციური,  
ერთხანს გაჩუმდა სიმღერა თუ  
ფიქრთა ხმაური  
და გაფერმკრთალდა  
ჩემი ნატვრა ამქვეყნიური.

დღემ ჩაიარა,  
გადიხაფრა, საით? — რა ვიცი,  
კვლავ თუ შევხვდები?  
კვლავ თუ ვნახავ? იქნებ აროდეს!  
შენ, ჩემო დღეო, საოცნებოვ,  
ისევ განგიცდი,  
დღეო, უშენოდ რა მათბობდეს,  
რა მიხაროდეს?

მწამს, ისევ გნახავ,  
მალე მოვალ, შეგიერთდები,  
ჩემს შებლზე ისევ ითამაშებს  
შენი ნათელი;  
თუმცა აქ უბედო,  
იქ ვარსკვლავად ამოვენტები,  
გამოვიხედავ ცის უბიდან,  
ლამენათევი...



## მარინა პეტროსიანი



დაიბადა 1960 წელს, ერევანში. მისი ლექსები იბეჭდება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ორი წიგნის ავტორია („ლექსები“ – 1993, ერევანი და „კანონიკური ისტორიები“, 1998, ერევანი), რომლებიც ითარგმნა ფრანგულად და 1995-2003 წლებში გამოიცა საფრანგეთში. სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე: ბელგიაში, მაკედონიაში, საფრანგეთში, წარმოადგენდა სომხურ პოეზიას, ხოლო 2005 წ. პეტროსიანი გახდა იუნესკოს კულტურის ყოველწლიური პროგრამის გამარჯვებული და როგორც რეზიდენტ-არტისტი. მონაწილეობდა „ჯერასის“ პროექტში იუნესკოს ეგიდით (2005 წ., სან-ფრანცისკო).

## გ ა ს ა ლ ე ბ ი

პურის საყიდლად გავეშურე,  
კარზე ეწერა:

„გამყიდველი წავიდა ტყეში“.

მის მოსაყვანად მსურდა წასვლა,

მაგრამ ამაოდ, ტყე არსად იყო.

ჰო, სასაცილო წარწერაა, მაგრამ რომ მშია,

თუთა მომინდა, გამახსენდა შემოდგომაა.



მშვიერმა ჯიბე მოვიჩხრიკე



სად არის ნეტავ გასაღები, იქნებ დავკარგე  
ან ალბათ კარი დავტოვე ღია.  
ეს ბოლო ფიქრი სწორი არის  
მაგრამ რას მარტებს?

## უცხოელი

საიდან ხართ?  
მკითხა ჩემმა თანამოსაუბრემ  
პატარა ქალაქის  
მყუდრო სასტუმროში.  
ჩემი ქვეყანა აღარ არის,  
ვუთხარი.  
მე უცხოელი ვარ.  
ჩემიანები ჯერ კიდევ იბადებიან  
ამ ქვეყნის ცის ქვეშ,  
მაგრამ ისედაც ცოტანი ვართ,  
და რაც დრო გადის,  
უფრო და უფრო ვმცირდებით და,  
გვერევა სევდა.  
ისინი კი ვინც ბევრია.  
ვინც იცის რომ ბევრია,  
მე არ მიყვარს და  
უცხო ვარ მათთვის.  
სად იყო თქვენი ქვეყანა?  
მკითხა უცნობმა  
პატარა ქალაქის  
ერთ მშვიდ სასტუმროში.  
აქ! ვუთხარი.  
ჩემი ქვეყანა აი აქ იყო,  
სადაც ახლა მე უცხოელი ვარ.



## ჩემი თევზი


პურის გამყიდველს გადაუხადა  
ფული, რათა  
ჩემი წილი პური მოეცა,  
დაედო დახლზე.

მან კი თევზი,  
ჯერაც ცოცხალი  
სალამოს გაზეთში გამიხვია  
და მომანოდა.

ახლა ვდგავარ  
შუა ქუჩაში  
და ვფიქრობ,  
რა ვქნა, საით წავიდე,

იმიტომ რომ  
არა მაქვს პური,  
თანაც თევზი  
ჯერ ცოცხალია.





## ლიპარიტ სარგისიანი

პოეტი, პუბლიცისტი. დაიბადა 1938 წ. სომხეთში, ლორის ოლქის სოფელ ვაჰაგნში. 1962 წ. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.



მუშაობდა გაზეთ „პიონერ კანჩში“, ჟურნალებში „პიონერი“, „წიწერნაკი“, გამომცემლობებში „საბჭოთა მწერალი“ და „არევიკ“. ხ. ბორიანის პრემიის ლაურეატია. მისი ნაწარმოებები ითარგმნა რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, ყაზახურად, ყირგიზულად, ლიგვურად, სერბულად. მისი ტექსტებით სომეხმა კომპოზიტორებმა მრავალი სიმღერა დაწერეს.

\*\*\*

ყველამ თავისი გზებით იაროს,  
ყველამ თავისი მინდვრები მოხნას,  
დალიოს წყალი თავის ფიალით,  
უფალს თავისი შეჰბედოს ოხვრა.

\*\*\*

სახლს, რომელიც ინგრევა, დედაბოძი ვერ იხსნის,  
ისე როგორც მკვლელისთვის, უძღურია მუდარა,  
უმანკო სულს უფალი არასოდეს შერისხავს,  
ურნმუნოს კი, არც ჯვარი და არც არა უნდა რა...



\*\*\*

ო, ტახტრევანთან მლიქვნელთა ჯარი ჭარბობს  
უნდათ გამოგრჩნენ რაც შეიძლება მეტი...  
თუ კი დაეცი და არ იქნები სარგო,  
შეგესევიან ცულებითა და კეტიო.

\*\*\*

მე არ მშურს შენი თვალ-მარგალიტი,  
ანდა ფერადი აბრეშუმები,  
რადგან არ იცი თუ რა განძია,  
ადამიანთა თბილი გულები...

\*\*\*



ყველა დასაწყისს დასასრული აქვს ვიცი,  
ყველა სულიერს ერთი ტკივილი, დარდი,  
და ყველა ერი ღვთისთვის მიცემულ ფიცით,  
ვით არარატი, ღრუბლების ზემოთ დადის.

\*\*\*

მთებიც ბერდება,  
თვით საუკუნეც,  
ხელნაწერები  
ერთვის უკუნეთს...

\*\*\*

საშინელია უსიყვარულო გული,  
ობოლი ჩიტი ველარ იქნება ლალი,  
და ქვეყანაზე მარტოდ შთენილი სული,  
საცოდავია ვით უპატრონო ძალლი.




\*\*\*

სად არის ნეტა სულის საყდარი?  
მამა-აბრამის საფლავის ნიში?  
სამოთხის ბალის საზღვრის ნანგრევი  
ან ჩვენი სული, თუ თიხად ვიშვით...

\*\*\*

ნეტა რა იყო ჩვენამდე ქვეყნად?  
როგორი იყო ეს ცა და მიწა?  
ჰოი, უფალო, ღვთიური ზენნით,  
სულელებში ქრისტე მხსნელად ჩაიწნა.



## რომიკ სარდარიანი





პოეტი. დაიბადა 1945 წლის სომხეთში, სიუნიქის ოლქის ქალაქ კაგანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა რესპუბლიკურ პრესაში, გელემუწეებლობაში, გაზეთში „სომეხი ჯარისკაცი“. მისი ლექსები, სტატიები და თარგმანები იბეჭდება პერიოდულ პრესაში. ჟურნალისტთა კავშირის წევრია. ავტორია ექვსი წიგნისა. პარუირ სევაკის პრემიის ლაურეატი.

### ჩემი მეგობრები (მარში)

ეძღვნება ბერდაძორის ანდრანიკს

კვლავ ერთი დიდი ნაბიჯი,  
კვლავ ერთი დიდი ჭრილობა,  
და უკვე აღარ ვიქნებით,  
ბიჭებო, გაძღვეთ პირობას!

ჩვენ სომხები ვართ, ამიტომ  
არ გვიკვირს ტანჯვა-ნამება,  
სომხეთის ცის ქვეშ მოგველის  
სიცოცხლის დასამარებაც!



ჩვენ ვართ მარადუამს ძველები...  
 ახალიც მარად ძველია...  
 ღვინით ვართ ნადღეგრძელებნი,  
 ჩვენთვის სიკვდილიც ძღვენია!

კვლავ ერთი დიდი ნაბიჯით  
 ჩვენთვის სამოთხე იწყება,  
 ბიჭებო, მარად გვფარავდეს  
 ხსოვნა და არ დავიწყება!

## დაისი ბერძნულ წყლებზე


ნავები ფერად-ფერად გუნდებად,  
 კუნძულებიდან და ხმელეთიდან  
 ბარგს ეზიდებიან წყებად, გუნდებად,  
 გაიყი ხელმწიფის სევდა-გუნებად.

ტალღები მღერიან მდორედ და წყნარად –  
 ზღვის ტკივილების უცოდინარად...  
 ქვიშას სრესენ და იაგუნდებად  
 აქცევენ შიშველ ქალის სხეულებს –  
 აღქმულს კუნძულად მარმალილოთა...

მაგრამ... შოლტების ატყლაშუნება  
 წყნარ დარდანელზე აელვარდება,  
 შეძრწუნებული, ოხვრით, ტივტივით  
 ძველი წარწერაც გამზეურდება...

დროაო! – ახლა ხელით მიგვანიშნებს  
 შორიდან ბერძენთა მეფე, ღმერთივით...  
 წყლების ქუფრიდან მწვანედ ააშხეფებს  
 ზღვას და ჩამოვა ცაც, ჩამოღვენთილი...

ჟამი ქრება და ისმის მეზღვაურის –  
 ვით იმედიანი წარმართის ძახილი...  
 ქვეყანა სიზმრის და ქვეყანა წარსულის  
 მარადუამს გვაფხიზლებს ბერძნული მახვილით.



\* \* \*



ბრონეულის მზის მარცვლები  
განა მართლა მარცვლებია!  
ამ სანთლების მზის ალები  
განა მართლა ალებია!  
არა! – რასაც ხედავ ახლა,  
ჩემს უმწეო მზერას ამხელს,  
ამ სენაკის ძველ კედელზე  
იკვეთება ჩემი სახე.

\*

ნამის სხივი, შენ რომ ამჩნევ,  
განა სხივის თამაშია!  
სიბნელეში გაელვება  
განა კვიცი, ან რაშია!  
ყველაფერი, რასაც ხედავ,  
ამბოხია ჩემი სულის,  
ბავშვობიდან რომ მანვალებს  
მთიდან ბარში ჩამოსული.

\*

იატაკზე ბრონეულის  
მარცვლებია დაბნეული,  
გამოხედვა თვალთა ჩემთა  
არის ისე დაბნეული...  
დაიხოცნენ, განა სძინავთ  
თვალდახუჭულ თევზებს ტბაში!  
ჩემი სულიც იქვე გდია  
თავდაყირა ფსკერზე – ცაში.



## სიმღერა ერევანზე


მე შენ მიყვარდი ჯერაც მანამდე, დაემხოვოდა  
ვიდრემდე ანი,  
ეს სისხლი ჯერ არ ედინებოდა  
აიგესტანიდან ვიდრე ვანამდე!  
ჰოი, რამდენი ბარბაროსული საუკუნე და  
წამების წამი  
გავწვლე, ვიდრემდე შემოვალწევდი  
სათაყვანებელ ერევანამდე!

\* \* \*

დედაქალაქო, გამოგაბრწყინა დედამ თორმეტჯერ  
თორმეტი ხატიო,  
სომეხმა მამამ გასწავლა რწმენა  
და ხალხისადმი ზღვა სამსახური...  
ისინი ძგერენ შენს გულში ახლა, შენს სისხლში ჩქეფენ  
და არის ცხადი,  
რომ სასოებით მომალწევინეს შენამდე წლებით,  
მარად მარხულით.

\* \* \*



მე ის ენა ვარ, მსმენელს მუდმივად  
რომ ასმენინებს ქვეყნად სიმართლეს,  
ჩემს დახავსებულ ნექნებზე ჰყვავის ათასი სიტყვა,  
სიტყვა-სინათლე...  
მე პატივსა გცემ და ვარ მორჩილი  
შენი დიადი ძალის წინაშე,  
და ბედნიერი ვარ და ვიქნები,  
რომ წარმოვიშვი ანის წიაღში!



\* \* \*

თუ ჩემს სიტყვებში შენ ვერ გარჩევ ავ-კარგს...  
ვერ იცნობ მშობლიურ სახელს,  
ეს ჩემი წრფელი შეგონებანი ქარში გაფანტე,  
დაუგე მახე,  
დაიმახსოვრე, მაშინ, ბიჭუნავ, მაგ თავხედობით  
გაჩანაგდები,  
მე მძიმე ქვა ვარ, მე არა მიჭირს, შენ, თორემ...  
მე – ქვა ქვადვე დავრჩები!







## ჰრაჩია სარუსანი


დაიბადა 1947 წ. სომხეთში, ლორის ოლქის სოფელ ამ-  
ზაჩიძანში. 1970 წელს დაამთავრა ერევნის ფანოს თერლე-  
მეზიანის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ კი  
ქალაქ კიროვაკანის (ამჟამად ვანაძორი) პედაგოგიური ინ-  
სტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. აგრეთვე დაამთავრა  
მ. გორკის სახელობის ლიგერატურის უმაღლესი კურსები  
მოსკოვში. არის სხვადასხვა ლიგერატურული პრემიების  
ლაურეატი, მრავალი წიგნის ავტორი. ეწევა მთარგმნე-  
ლობით მოღვაწეობასაც. ცხოვრობს ქალაქ ვანაძორში.

### ბოლო კაცი (სევდიანი ზღაპარი)

რანდავდა ფიცრებს  
კაცი ერთი –  
მარტოსული და მარტოხელა;  
თავისი ზომის რამდენიმე  
უკვე მზად ჰქონდა.  
შემდეგ ჯიბიდან ამოიღო ჟანგმოდებული  
სამსჭვალეები და  
სადღაც იქვე ქვაც კი მონახა  
და ფიცრების ინყო ტყდება.  
და როცა მიხვდა,



ნახელავი მისი რომ კუბოს  
ასლს ჰგავდა,  
თანაც ზუსტად მისი ზომის რომ იყო,  
გაიძრო პალტო  
და ჰალსტუხიც უმაღ შეიხსნა,  
სუნთქვაშეკრული ფრთხილად შეძვრა კუბოში კაცი  
და მერეღა თუ გაიხსენა, რამოდენიმე  
ფიცრის ნაჭერი და ლურსმნები კიდევ რომ ჰქონდა  
და როგორც შეძვრა, ისე ფრთხილად  
გამოძვრა უკან.  
ჩაიცვა პალტო,  
გაიკეთა იგივე ჰალსტუხი  
და მარტოსულმა, მარტოხელა  
ამ ერთმა კაცმა,  
ბოლო ნაჭერიც რომ გარანდა დარჩენილ ფიცრის,  
ჟანგმოდებული კვლავ მონახა სამსჭვალეები და  
დაიწყო მათი დაჭედება.  
და როცა მიხვდა,  
რომ ნახელავი მისი – კუბოს სახურავია,  
როცა დარწმუნდა,  
კუბოს ზომის რომ არის ისიც,  
გაიძრო პალტო  
და ჰალსტუხიც შეიხსნა ისევ  
და ისევ ისე ფრთხილად შეძვრა კუბოში იგი, -  
სუნთქვაშეკრული იწვა ასე ექვსი დღე-ღამე,  
მხოლოდ მეშვიდე დღეს იაზრა,  
რომ ჯიბეებში  
უნდა ჰქონოდა რამდენიმე სამსჭვალე კიდევ,  
და რაკი ესეც გაიხსენა,  
კუბოდან ისევ  
გამოძვრა ფრთხილად,  
ისევ ისე ჩაიცვა პალტო,  
ჰალსტუხიც ისევ გაიკეთა (ახსოვდა კარგად!..),  
მერე ჯიბიდან ამოიღო  
ბოლო ლურსმნები,  
აიღო ქვა და



დაჭედება დაიწყო ხუფის.  
 და როცა მიხვდა –  
 კუბო უკვე დაჭედლია, -  
 როცა იაზრა,  
 ჭურჭელი რომ ცარიელია, -  
 მწარე, ხმამალალ ტირილს მოჰყვა,  
 რამეთუ ფიცრის  
 ერთი პატარა ნაჭერიც კი აღარ გააჩნდა,  
 რამეთუ არსად სამსჭვალე არ ეგულებოდა,  
 რამეთუ ბოლო  
 კაცი იყო ამ დედამინის...

\* \* \*

ვერ გაგაცილებ, ახლა უკვე ვერ შევძლებ იმდენს, -  
 ხეთა სველ, დაშლილ ბუდეების მტანჯავს იარა...  
 რა ბედენაა, დროის ეტლში უაზროდ იჯდე  
 და ყვითელ ფოთოლთ აგონიის იქცე ზიარად.

კატის სულს ძალის დიდი შიში აძრწუნებს ახლაც,  
 თუმც, რახანია, ძალე ამას აგდებს არაფრად...  
 კვლავინდებურად მწუხარება ედება, ვაგლახ,  
 ფოთლებზე უფრო გაყვითლებულ სულებს მრავალთა...

უაზრობაა, რომ მეგზურად ვექცე შენს ცრემლებს  
 და სიბრალულის სიტყვებად რომ ვიქცე ერთიან.  
 ჩემი ტუჩების მონატრებას შენ თუკი ევნი,  
 მე კაცურ ტკივილს ვატარებდი, მონმე ღმერთია...

ახლა დრო არ მაქვს, ვერ გაგყვები, ვერ შევძლებ იმდენს, -  
 ხეთა სველ, დაშლილ ბუდეების მტანჯავს იარა...  
 რა ბედენაა, დროის ეტლში უაზროდ იჯდე  
 და ყვითელ ფოთოლთ აგონიის იქცე ზიარად.



## ფუნჯი და კალამი

მომიტევეთ, წმინდანებო, ჭეშმარიტად დიდნო,  
რომ შეგბედეთ და ცრემლებით ვწმინდე თქვენი მტკვერი...  
მე მას სულში შევიწინაბავ, დაე, ნაზად იდოს  
თქვენთა ფეხთა, თქვენთა ხელთა სანუკვარი ფერით.

ლეონარდო მხიბლავს მარად, - ვნათესაობ სულით,  
ვიცრემლები და ვმძიმდები, შენი შვილი ერთი...  
რას დააკლებს მათ სახელებს ჟამი გარდასული!  
დანტე, ლორკა და ჩარენცი – დიდნი, როგორც ღმერთი!



ო, მომნათლეთ, უკვდავებო, თქვენი წმინდა სითხით,  
მეც მარგუნეთ აღმაფრენის უუტკბესი წამი...  
რასაც ფუნჯი გამოსახავს და ფერებით იტყვის,  
მეც შემეძლოს გამოვხატო სისხლში ნაწრთობ კალმით!

## უკველესი სიძლერა

ერთი თიხისგან გამოგვეძერწეს, უტკბესო დაო,  
ნუ, ნუ მიყურებ ასე ფრთხილად და ჩასაფრებით,  
დაე, სურვილმა თმის სურნელით გაინავარდოს,  
და ჰპოვოს ვნების ჟრუანტელით აღმა საფრენი!

დავადნოთ გზები – ჩაკეტილი დიდთოვლობისას,  
მობეზრებული წვიმებისგან მზის ვნებამ გვიხსნას,  
მო, ძილქუშისგან, გამოვფხიზლდეთ, ქალწულობისა,  
უსიყვარულოდ ჩავლილ წლებზე ამბოხის ნიშნად!

ისევ თრთის ტოტზე ძარღვიანი ლელვის ფოთოლი,  
ვაშლის ხის წვერზე სიყვარულის აფრა აღმართოთ!  
გადავაქციოთ კვლავ სამოთხედ ძველი სამოთხე  
დღეს ჯოჯოხეთად ქცეული და უმისამართო!




## არამიას საკვაკიანი

პოეტი. დაიბადა 1936 წელს სომხეთში, კრასნოსელკის რაიონის (ამჟამად გელარქუნიქის ოლქი) სოფელ არწვაშენში.

დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მოსკოვის მ. ვორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები. მუშაობდა პრესაში, ტელერადიოკომიტეტში. ოცდახუთ წელზე მეტი, იუმორისტული გაზეთის „ვოზნის“ მთავარი რედაქტორია, საჯარო ტელევიზიით უძღვებოდა გადაცემას „სიცოცხლის სახლი“. ორმოცამდე წიგნის და მრავალი სიმღერის ტექსტის ავტორია. თარგმნილია მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ენაზე. ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. არაერთი პრემიის ლაურეატია.

### დედა



უშენოდ რაა ზეცა?  
ფერი უცვლია მნათობს,  
ჩემო ჩასულო მზეო  
რა სევდიანად მათბობ.  
წლებმა კი არა, ვიცი,  
ჯაფამ გაგლია დედი,  
არ ჩავიმუხლავს წამით,



არ მოგიხრია ქედი,  
სიცელქით მოლლილ ბავშვებს  
შეგვისნორებდი საბანს...  
და ჭრაქის მბჟუტავ შუქზე  
ჩუმად კემსავდი კაბას.  
ახლა შორსა ხარ ჩვენგან,  
როგორ შორსა ხარ ჩვენგან,  
ვერძნობ მაინც, როგორ მიმზერ  
იმ შორეთიდან, დედა.  
კვლავ ჩვენზე ფიქრი გაკრთობს,  
დგახარ სიზმრების კართან,  
გსურს აგვაცილო ავი,  
გადაგვაფარო კალთა.  
და უცახცახებს ღამეს  
მთვარიით ნაკანრი ფერდი.  
გეყო სულ ჩვენზე ზრუნვა,  
შენც დაისვენე, დედი!

## მონანიება

იქ, სადაც მწვანე მდელთა და  
ბუჩქები ხარობს,  
მახსოვს, სიყრმისას  
მე სიბი ქვა ვესროლე წყაროს.  
ვიხსენებ წარსულს,  
არ მასვენებს ეჭვების მახრა,  
წყაროს კი არა,  
ის ქვა ჩემს გულს ამძიმებს ახლა.





## იური საჰაკიანი

პოეტი. დაიბადა 1937 წ. მთიანი ყარაბაღის მარგაკერ-  
გის რაიონის სოფელ ჩაილუში.

დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფი-  
ლოლოგიური ფაკულტეტი. 1973 წ. დაამთავრა მოსკოვის მ.  
გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის უმაღლესი  
კურსები. რედაქტორად მუშაობდა ერევნის ტელევიზიის  
სტუდიის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში,  
აგრეთვე გაზეთში „სამშობლოს ხმა“, გამომცემლობებში  
„საბჭოთა მწერალი“ და „არევიკ“ (მზიური). მის ლექსებზე  
შეიქმნა მრავალი სიმღერა. თარგმნა რუსი და სხვა უცხო-  
ელი საბავშვო მწერლების ნაწარმოებები. „ოქროს კალა-  
მის“, სგ. ზორიანის, და სხვა ლიტერატურული პრემიების  
ლაურეატი. ავტორია ოცდაათამდე წიგნის.

## ო მ ი

ომში ვინც არ უნდა გაიმარჯვოს,  
დამარცხებული მუდამ რჩება კაცობრიობა.  
კედელზე შენირულთა სურათები – არა ხატები.  
ნისლში გზები – არსად მგზავრები.  
ფრინველთა გაშლილი ფრთები – არსად ცა.  
აკვანზე დახრილი დედები – ცარიელი აკვნები.



\* \* \*

რამ გამოაცა, რამ დამაფეთა?  
შენი თვალებით ხემ შემომხედა.  
გული საგულიდან ამომვარდნია  
ფოთლებს დაუფარავს, ესეც მადლია.

მეც ხედ ვიქეცი, გავხევედი კაცი,  
გადამავინწყდა, ვიცოდი რაც კი.  
და მითრთის რტოები, მკლავები კი არა,  
ფოთლებით მომიშუშე შეხსნილი იარა.

## **არა გრცხვენია ფრინველის?**

საზღვრებს არა სცნობს ფრინველი,  
აფრენის არ ეშინია,  
ტკივილისაგან თუ კვნესის,  
ვერ შეაჩერებ უინიანს.


სიყვარულისგან თუ ჭყვივის,  
რომც უღალატონ, ლალია...  
იმედს არ კარგავს, შესცინის  
ღრუბელსაც, ნისლის თალიანს.

ფრთებიც რომ მოტყდეს, ცის ზენარს  
ლაუვარდში ფრთებად ინამებს...  
არა გრცხვენია ფრინველის?  
რამდენ გესლს აფრქვევ მინაზე!

## **ბალახი**

მანუხებს და მოსვენებას არ მაძლევს  
ერთი კითხვა, გულს რომ მძიმედ აზის...  
როცა ფრთხილად წამოვნევი ბალახზე,  
მსურს ვიცოდე იმ ბალახის აზრი.





ბალახების უკვდავ ფესვებს რად ასდით  
ეს სურნელი... რას მალავენ, ნეტავ?  
გზის ნაპირზე ამოსული ბალახი  
სასაფლავს ამწვანებას ბედავს.

ჩვენ შესახებ რას ფიქრობს და რა მოსდის,  
ჩვენ ნაკვალევს რად მიყვება მარად?  
უსულგულო ქალაქებშიც შემოდის,  
თითქოს ამ ჩვენს უგულობას ფარავს.

ვნევარ, მისი საიდუმლო მაშინებს  
და სხეულიც შეპყრობილა შიშით...  
ალბად ასე ბალახივით მშვიდეები  
ჩვენც ვიყავით, როცა ქვეყნად ვიშვით.


## მამაკაცები

ერთადერთ ქალზე ვოცნებობთ მხოლოდ,  
იმ ერთადერთთან თუ ვართ, მაშინაც!  
ოცნებას ჩვენსას არ უჩანს ბოლო,  
განშორებებმაც ვერ დაგვაშინა!

და თუ ველირსეთ კვლავ საოცნებოს,  
ოცნება მაინც თავისას იზამს...  
ქალს ვეფერებით მართლაც საფერებს,  
მაინც სხვას დავდევთ ცხადში თუ სიზმრად!

## თბილი კეთხე

ყოველი ქალის გამოხედვაში  
მე ერთ თბილ კუთხეს მუდამ ვპოულობ,  
შევდივარ მასში დაუკითხავად  
და ვრჩები ფრთხილად და საიდუმლოდ.





ვრჩები იმდენხანს, ვიდრე მწყურია,  
ან ვიდრე ვინმეს შევებრალები,  
თუ გამაძევებს იმ კუნჭულიდან,  
სითბოს გაყინავს ცივი თვალებით.

\*\*\*

ჩემში ცოცხლობს ერთი ვიღაც,  
რომელიც ჩემზე მეტად შეგეფერება...  
ვიცი, ის მღერის იმ სიმღერებს,  
მე ასე უნიჭოდ რომ ვმღერი...  
რა ვქნა, მირჩიე, ჩემო საყვარელო,  
როგორ მოვიქცე, რა გზას დავადგე,  
რომ მე, უღირსი, ჩამოგშორდე და  
ის, ღირსეული, შენთან დარჩეს?

\*\*\*

თვალით დამახსოვრებული  
ჩვენ ბაგეებს ახსოვს...  
ბაგით დამახსოვრებული  
ჩვენ თბილ ხელებს ახსოვს...  
ხელით დამახსოვრებული  
ცხელ სისხლს მარად ახსოვს...  
სისხლით დამახსოვრებული  
უთქმელ სიტყვას ახსოვს...  
სიტყვით დამახსოვრებული  
საუკუნეს ახსოვს...  
ჰქრიან საუკუნეები  
აქვე, შორიახლოს...  
უცვლელია სიყვარული —  
გულში ხსოვნით სახლობს.




**ლუკას  
სირუნიანი**

პოეტი. დაიბადა 1949 წ. სომხეთში, აშგარაკის რაიონის (ამჟამად არაგაწოგნის ოლქი) სოფელ უჯანში. დაამთავრა ერევნის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა ლიტერატურულ პრესაში, ეკურნალ „გარუნში“ („გამაფხული“) პოემიის განყოფილების გამგედ. ამჟამად მუშაობს სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესისა და პროპაგანდის სამმართველოში მთავარ რედაქტორად.

15 წიგნის ავტორია. არის მწერალთა კავშირის პრემიის „წლის საუკეთესო წიგნი“-ს ლაურეატი.


## **ბედისწერა**

ხის ქვეშ ცარიელი ბოთლი ეგდო,  
გარშემო ბალახი ყელყელაობდა  
და ბოთლს უცხო თვალისგან იფარავდა.  
ბოთლს ერთადერთი ღირსება ჰქონდა,  
ცარიელი იყო და შეიძლება  
ვინმეს რაიმეში დასჭირვებოდა.  
მაგრამ ბალახი საგულდაგულოდ მალავდა მას  
ამა ქვეყნისგან.



## ზოგიერთ რამეზე

ზოგიერთ რამეზე,  
მაგალითად  
მლიქვნელობასა და  
ფარისევლობაზე  
ვისურვებდი  
წვიმის ფუნჯით  
ქარაშოტის ფურცლებზე  
დამეწერა,  
რათა აღგვილიყო  
პირისაგან მინისა.  
ზოგიერთ რამეზე,  
დიახ,  
მლიქვნელობასა და  
ფარისევლობაზე,  
ქარის ფურცლებზე  
ნაგვირისტებს  
წვიმის ფუნჯით  
გადავშლიდი,  
სხვა გალაქტიკამდე  
რომ არ მიეღწიათ.




**ჟორა  
სნხჩიანი**

პოეტი, პუბლიცისტი, ლიგერაგურულ-საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა 1950 წ. საქართველოში, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ჯიგრაშენში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება და ბაქოს პარტიული უმაღლესი სკოლა. წლების მანძილზე მუშაობდა მშობლიური რაიონის პარტიულ ორგანოებში, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995), საქართველოს პრეზიდენტის აპარატის ეროვნებათაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს სომეხთა კავშირის გამგეობის წევრი.

საქართველოში სომხური ლიგერაგურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. 1998 წ. დააფუძნა და ამჟამადაც ხელმძღვანელობს სომეხი მწერლების კავშირს „ვერნაგუნს“. აღმანახ „ვერნაგუნის“ მთავარი რედაქტორია. ცნობილი ლიგერაგურული მოღვაწეა სომხეთშიც და საზღვარგარეთ. მან პირადი ინიციატივით აღადგინა პოეზიის ალაიანის დღე პოეტის მამულში – ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნის-ხაჩენში.

ორი პოეტური კრებულის ავტორია. წერს აგრეთვე პროზაულ ნაწარმოებებს, ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ნინოწმინდაში და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსია. მიღებული აქვს ღირსების ორდენი.



## ესპიზი

დაისი, ჯერ კიდევ შეუმშრალი სურათის მსგავსი,  
 ადგილ-ადგილ ფერმკრთალი, ადგილ-ადგილ ჩამუქებული,  
 ზაფხული სულის მლაფავი და ჯერ უღონოა,  
 მონყენილი შემოდგომა,  
 ქარი, ძალაგამოცლილი, და მიხვეულ-მოხვეული მალღობი,  
 ჰორიზონტს მიღმა უპატრონო ცხენის ხეიხინი,  
 ბალახზე-ჩაფერფლილი კოცონი, მიმოფანტული  
 რბილი ნაცარი.


შეისვენე, სულ ცოტა ხანს შედექი მაინც,  
 იქნებ ერთი სხივი მაინც გამობრწყინდეს.  
 პატარა, თბილი, იმედიან ცის ნაპერწკალი.

\* \* \*

ამსხვრევენ, ანანევრებენ, ანანილებენ,  
 ამტვრევენ, ანგრევენ, სწვავენ,  
 ამ პატარა, მოქანცულ ქვეყანას.  
 ჯოჯოხეთის ზარ-ზეიმი ირგვლივ,  
 გონსნასული ურჩხული ბობოქრობს,  
 იბრძვიან სიკვდილი და ჯვარი.  
 მოხუცთა და ქვრივთა ტირილი, ობლები,  
 ძაძებით შემოსილი ცა და დედამინა  
 ბუნების შემკრთალი თვალი.  
 და ირგვლივ გვამების სუნი შესაზარი  
 და თითქმის კართან მრისხანება უფლის მოსული.  
 და უცქერს ამას საუკუნე სმენადახშული...

## მე და შენ


ჩემო ბობოქარო სულო,  
 ამ არარაობად ქცეულ ქვეყანაში,  
 ხრიკების ქვეყანაში,  
 მარტონი შემოვრჩით ერთმანეთს პირისპირ



ისევ მე და შენ.  
მოვარდნენ და მოგვატყუეს,  
დაგვკოდეს და წავიდნენ,  
დაჭრილი და ცრემლით ნასეტყვარი,  
შევრჩით მე და შენ.  
არავინ გვიფარავდა,  
დაგვიხურეს კარები,  
ბედისგან დასჯილნი  
ვეყარნეთ გათოშილნი.  
ნუ წახვალ,  
ჩემი სხეულიც ხომ  
ის შენი სახლია,  
ვცხოვრობ თუნდ ულონოდ  
მე შენი სიცოცხლით.  
ჩემო ბობოქარო სულო,  
ათასჯერ ნაგვემო ჩემი გულისთვის,  
მანოვარ დედად იქეც,  
რომ ვიცოცხლოთ ერთად  
მე და შენ.

\* \* \*


ჩემს ფანჯრებს იქით,  
ზაფხულია ღონემიხდილი,  
თანდათანობით გამკრთალებულ  
ფერებთან ერთად,  
ბალის კიდესთან განშორების  
ისმის სიმღერა,  
შემოდგომა კი  
მოდის ფრთხილად და საიდუმლოდ.  
ისე ვით სხეულს  
გამჭოლავი დამივლის ჟრჟოლვა.  
ჩემს მშფოთვარ ზაფხულს  
ფხიზლად მდგარო ალვისა ხეო,  
ვიცი, მარტოდ ხარ,  
შენთვის მარტოდ და უხმოდ ნაღვლობ.



## ამ დილას

აღდგომის სუნთქვაა დღევანდელი დილა,  
გადაღლილ ღამის მოჩვენებათ შემცვლელი.  
განმნმენდი, მოზიარე და თან განმკურნავი.  
სიცოცხლეს რომ აფხიზლებს ისეთი დილა  
ძე კაცის ქვეყნად მოვლინების მაუნყებელი  
უმანკო სახით იცქირება დღევანდელი დილა,  
ჩვილის ვარდფურცელა ბაგეზე მიკრული  
ლიმილის სხივია დღევანდელი დილა,  
იმგვარად ღმობიერი და იმგვარად მომხიბლავი,  
იმედიანი და ნათელ სხივკაშკაშა,  
სულის მალამოდ ანთებული ვით კელაპტარი.  
სიყვარულის ბოძება და სიყვარულის ყვამი.  
ჩემი სულის განახლების აფოთლილი ნაჭვრა,  
აი, ჩემი ცხოვრების განახლების გულსათნო დილა.







## არმენ შეკოიანი

ქოეგი, პროზაიკოსი. დაიბადა 1953 წელს, ერევანში. 1974 წელს დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, ხოლო 1985 წელს – მოსკოვის ვ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები. წლების მანძილზე მუშაობდა რესპუბლიკურ პერიოდულ პრესასა და გამოცემლობებში. მიენიჭა ლენინური კომკაეშირის (1985), ავეგიქ ისააკიანის (1992, 2003), მაიაკოვსკის (1981, ქუთაისი) და სხვა პრემიები. არის მრავალი კრებულის ავტორი.

### ღალატი

ღალატობენ ერთმანეთს ნათლია და ნათლული,  
ღალატობენ ერთმანეთს კალატოზიც, მღესავიც,  
ღალატობენ ერთმანეთს ძმა და სიძე, რადგანაც  
სასარგებლოც, საჭიროც, საქმე, მხოლოდ ეს არის!

სამუშაო არა გაქვთ? ნუ ხართ თავაზიანი,  
თქვენ ღალატით მიაგნებთ ადგილს შემოსავლიანს!  
ღალატობენ ერთმანეთს კოჭლიც და კუზიანიც,  
ღალატობენ ერთმანეთს პავლეა თუ სავლეა!



ღალატობენ ერთმანეთს ღარიბი თუ მდიდარი,  
ღამაზმანი, მახინჯი, იმ სახით თუ ამ სახით,  
ღალატობენ ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში,  
ღალატობენ ბალებით, ქარვასლით და სასახლით!

ღალატობენ ერთმანეთს კაცები და ქალები,  
მეც ვღალატობ ვილაცას, მღალატობენ რადგანაც,  
ჩვენ ერთმანეთს ვღალატობთ ღალატის ბრწყინვალეობით,  
აბა, რას მოგვაშავებს ერთმანეთის გატანა!

არ ჩანს ერთგულებისთვის საბაბი, ან მიზეზი,  
ქვეყნად მხოლოდ ღალატით ხარ მადღარიც, საჩინოც...  
ვუღალატე ყველაფერს, არც ჯავრი მკლავს ვინმესი,  
ახლა ვის ვუღალატო, რომ ოჯახი ვარჩინო?

## აღსარება

მე დღის მანძილზე საკუთარი სოცოცხლით ვცხოვრობ,  
სალამოობით — ვლაპარაკობ პოლიტიკაზე.


მე დღის მანძილზე ვზრუნავ მხოლოდ საკუთარ თავზე,  
სალამოობით — ვლაპარაკობ პატრიოტიზმზე.

მე დღის მანძილზე საკუთარ წილს არავის ვუთმობ,  
სალამოობით — ვლაპარაკობ სათნოებაზე.

მე დღის მანძილზე სერიალებს ვთარგმნი და ვთარგმნი,  
სალამოობით ვმსჯელობ იმათ მავნებლობაზე.

## ამდენი რამ...

არა ვყოფილვარ მეურნე, ან მედროშე,  
არც მედროვე, არც ქილერი,  
არც სიტყვების შემქმნელი, არც ბრიყვი,  
არც კომუნისტი, არც პაციფისტი,  
არცერთ გუნდში არ მიმღერია,  
არც სიტყვით მიმიმართავს არხადაშ ალისთვის,  
ან ბუტროს გალისთვის...



არა ვყოფილვარ დეპუტატი,  
 არც განამანიაში ვყოფილვარ,  
 არა ვყოფილვარ მალთაში,  
 და არც ჰაითში...  
 არც დღერში ვყოფილვარ,  
 ან ისეთ ადგილებში,  
 სადაც შევჭამდი ბაყაყის ხორცს,  
 ან ერთ ყლუპ კუმისს დავლევედი...  
 არც ჩინელი საყვარელი მყოლია,  
 არც ებრაელი და მდიდარი...  
 იქნებ მე გზას ავცდი და სხვაგან ვარ?  
 მაშ როგორ დავამტკიცო, რომ ვარსებობ,  
 როცა ამდენი რამ არ მიგემია,  
 როცა ამდენი რამ არ მინახავს,  
 როცა არავინ დამიტყვევებია,  
 არც გამარჯვება მიზეიმია,  
 არც ლტოლვილად ვქცეულვარ,  
 არ ვყოფილვარ სოფლელი,  
 ვერც ქალაქელად ვიქეცი,  
 არც ხეები მომირწყავს,  
 არც დიდი მწერალი ვყოფილვარ,  
 არც რაიმე თამაშში არაფერი მომიგია?  
 იქნებ კარგად არ ვიკვებებოდი?  
 იქნებ ჯერ არ დავბადებულვარ?  
 იქნებ ჯერ არც ერევანში ვარ?  
 იქნებ არც მეზობელი ვყოფილვარ,  
 არც ახლობელი, არც მეგობარი?  
 როგორ უნდა ვცე პატივი საკუთარ თავს,  
 როცა ამდენი ვინმე არ ვყოფილვარ,  
 როცა ამდენი რამ უნდა მოვიპოვო!

## ბომჟი

ის პოეტია, ადამიანი,  
 სომეხი მოქა-ლაქე.  
 ის მამრობით სქესს განეკუთვნება,  
 ღმერთს თავის სახელს არქმევს.



ის პოეტია, ადამიანი,  
 ამიტომ გულით გვლოცავს,  
 ტროტუარზე შლის ლოგინს და მღერის,  
 არავინ მღერის როცა.

ის პოეტია, ღამეებს ათევს,  
 უყვარს თავისთვის გდება,  
 დროშების მსგავსად სიმღერებს ანთებს  
 და გმირის მსგავსად კვდება.


## ომი და მშვიდობა

მარად ვეძებდი მშვიდობას ჩემში,  
 ჩემ სახლში, თქვენში,  
 ჩემ ქალაქში, ჩემ ქვეყანაში,  
 ჩემ პლანეტაზე...  
 მაგრამ მუდმივად ომს ვაწყდებოდი  
 ჩემში,  
 ჩემ სახლში,  
 ჩემ ქვეყანაში,  
 თქვენში... ანუ  
 მთელ პლანეტაზე.

## თქვენსაკით

არც ურწმუნო ვარ, არც ბარბაროსი,  
 არც მზარეული, არც ქიმიკოსი...  
 თუმც ნივთიერში გამოხვეული  
 თქვენსაკით ტყვეა ჩემი სხეული.  
 არც დაშნაკი ვარ, არც რევანშისტი,  
 არც დემოკრატი, არცა ფაშისტი.  
 მაგრამ თქვენსაკით მალეღვებს ეს სვლა  
 და ერთმანეთის მუდმივი გესლვა.

მსურს დავრჩე ისევ ადამიანად  
 ჩემი ქვეყნიან და ხალხიანად!  
 სოცოცხლეს ვცდილობ ადამიანურს,  
 ხანაც გიჟურს და ხანაც, ჭკვიანურს...




მაგრამ გამეფდა ირგვლივ ქაოსი,  
 ურნმუნოდ მზერა სასაფლაოსი...  
 ბრიყვიც ბრძენია, — ნოსტრადამუსი!  
 მართლაც, არ შეგვრჩა, ნეტავ, ნამუსი?

## პროფესია

მე რომ ვყოფილიყავი ადვოკატი,  
 პირველს მთელი არსებით დავიცავდი,  
 მეორეს — თანამდებობის მიხედვით დავიცავდი,  
 მესამეს — სიბრალულის გამო დავიცავდი,  
 მეოთხეს — მკერდით დავიცავდი,  
 მეხუთეს, მაიძულებდნენ, რომ დამეცვა.  
 მშვენიერია ფულის შოვნა და  
 ტანსაცმლის ყიდვა,  
 ბაზარში წასვლა,  
 ჭამა-სმა და ოჯახის რჩენა,  
 ყველა სურვილის ასრულება  
 ადამიანთა მხურვალე დაცვით!

## ჰაეროვნება

ამ ჰაერშია ჩვენი წარსული და ჩვენი ანმყო,  
 ჩვენი სიყვარული და ჩვენი სიძულვილი,  
 მომხსენებელის გრძელი და ბუნდოვანი სიტყვა,  
 ჩვენი მთებიც და ჩვენი ნუხილიც...  
 ამ ჰაერშია ნალველიც და ნიჭიერებაც,  
 აღტაცებაც და აღმფოთებაც...  
 ამ ჰაერში ვესვრით ერთმანეთს  
 შხამსა და ქვებს,  
 ამ ჰაერში ვისვრებით და  
 ვსუფთავდებით ჩვენ.




## უბედურება

ვარ უტყვი. ვცდილობ, დანარცხებული  
 კვლავ ფეხზე ვიდგე...  
 ვერც ჩემ ხუმრობას, ვერც გოდებას  
 თქვენ ვერ გაიგებთ!  
 ვნვალობ, სხეული ბინძურ იატაკს  
 რომ მოვაცილო,  
 მაგრამ მცდელობა ჩემი არის  
 კვლავ სასაცილო...  
 წყევლით გაჩენილს წყევლა მესმის,  
 ვით დავალწიო  
 თავი ამ ბნელეთს... ნუთუ ისევ  
 ამაოდ ვცდილობ!

## მე და შენ

მე კვლავ ვსაუბრობ ჩემზე, თქვენზე  
 და ჩვენს შესახებ...  
 ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, და გავცდებით  
 ბოლო შესახვევს...  
 თქვენ საყვედური არასოდეს  
 არ დაგცდენიათ,  
 იძირებოდით რადგან ჩემი  
 აკერსის ტბაში...  
 მე თქვენ მიყვარდით ისე ძლიერ!  
 თქვენ კი – ნაკლებად...  
 ძველი ზანდუკის კვლავ მომიწევს  
 ეჭვით აკლება —  
 მისი სიღრმიდან მესმის თქვენი  
 ულონო ტაში.



## **გვცორა საკრტურ**



პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა 1940 წელს, აზერბაიჯანში, ქალაქ კიროვაბადში.

დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკისა და მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობით ინჟინერ-ჰიდრომექანიკოსია. მრავალი წელი თანამშრომლობდა გაზეთში „საბჭოთა სკოლა“ და გელერადიოკომიტეტში. მრავალი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულად, უკრაინულად, ბულგარულად, გერმანულად, არაბულად, თურქულად. ეწევა აგრეთვე მთარგმნელობით მოღვაწეობას.

## **ღონ-ჟუანის ჩივილი**



ერთადერთი რაც მებადა  
სიყვარული იყო მხოლოდ.  
და ისიც თვალხარბმა  
ქალებმა მომტაცეს.  
მომბეზრდა მათი ეშმაკური  
დაკითხვები:  
სად მიდიხარ,

სად იყავი?  
სად? სად?



მომბეზრდა მათი  
მაცდური ღიმილი,  
სათნო ღიმილი,  
გამომწვევი ღიმილი.  
ქებამაც დამლალა და  
ძაგებამაც,  
ალერსმაც დამლალა და  
გულცივობამაც.  
ასაკისთვის შესაფერისმა  
სიბრძნემაც  
და შეუფერებელმა  
თავდავინწყებამაც,  
18 წლის გოგონასაც  
რომ არ შეშვენის.  
ო, ჩემო ბანოვანებო,  
ჩემო ალამივით  
გარდამავალო სიყვარულებო,  
მერე რა, რომ მე ვიცი  
სიყვარულის საიდუმლო  
და ჯადო – სიტყვა?  
ბევრი მიეთ-მოეთისგან  
ჯადოც ძალას კარგავს.  
მე კი უკვე მსხვერპლი ვარ და  
არა მონადირე!





## პარღან ჰაკობიანი

პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.


დაიბადა 1948 წ. მთიანი კარაბაღის შადრუთის რაიონის სოფელ არფაგეგუკში.

დაამთავრა ბაქოს ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა გაზეთ „საბჭოთა კარაბაღის“ რედაქციაში და არცახის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად. დააფუძნა რიგი პერიოდული გამოცემები („არცახ“, „პლ-პული“, „ელიცი ლუს“, „ნარეკ“, „არუთიუნ“, გამომცემლობა „არცახ“...), არცახის (ყარაბაღის) მოძრაობის ერთ-ერთი ხელძღვანელია. იყო კომიტეტის „კრუნკ“-ის (წერო) თავმჯდომარის მოადგილე. არჩეულია არცახის სომხურ ეროვნულ საეკლესიო საკრებულოს დეპუტატად.

სომხეთისა და არცახის თეატრებში დადგმულია ჰაკობიანის პიესები. ამჟამად მთიან კარაბაღის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა და თავის მიერ დაფუძნებული სტეფანაკერტის უნივერსიტეტის „გრიგორ ნარეკაციის“ რექტორი.

ავტორია იცდაათზე მეტი პოეტური, პროზაული, ლიტერატურულ-პუბლიცისტური წიგნის.

მრავალი პრემიის ლაურეატია.



## ბატონ მორის ფოცხოვნილს

ტკივილს, გულში გადამალულს  
ძმობა ჰქვია სახელად,  
კვლავ ღიმილით ვხვდები ყველას,  
არ მსურს დარდის გამხელა.  
მაინც რატომ მომეჯარა,  
არ მასვენებს ფიქრები,  
ვით ხეკეთილს ქარნავანი  
ვარდფურცელა ფიფქები.  
შენ ხომ იცი ჩემო მორის,  
ამ ჩემს გულში რა ხდება?  
რატომ არ მსურს დედისათვის  
ჩემი დარდის გამხელა.  
მაგრამ დედა მისანია,  
გულით იცის ყოველი,  
ამიტომაც მუდამ შვებას  
დედასაგან მოველით.  
— მითხრა, შვილო, ნუ ეცდები  
ჩემთან დარდის დამალვას.  
— დედი, მორისს გული სტკივა,  
ვერ ჩამოვა ყარაბაღს.  
გული სტკივა? დედამ გულთან  
ხელი წამით დაიდო.  
მივხვდი ლოცვის მადლით ცდილობს  
ტკივილი აგარიდოს.  
დედის ლოცვა ჭრილობისთვის  
მალამოა გრძნეული,  
დედის ლოცვით გვიშუშდება  
სულიცა და სხეულიც.  
დედის ლოცვა ზეცას სწვდება,  
შავ ვარდს ააფერადებს,  
დედაჩემის ლოცვამ, მორის,  
მოაღწია შენამდეც.  
ჩაიარა ერთმა კვირამ  
ფორიაქა ღამეთა,  
და შევიტყვე, შენი გული




წყაროსავით ამღერდა.  
 გულით დამაქვს შენი ძმობა,  
 შენთანა ვარ ოცნებით  
 დე, გვფარავდეს, ჩემო მორის,  
 დედაჩემის ლოცვებიც.

## სუფთა ხელები

ქვასთან საუბრისას,  
 ვცდილობ აღვიქვა ზღვარდაუდები,  
 სინაზე მისი.  
 წყალთან ერთად მდინარებისას  
 ვცოცხლობ ფესვის  
 ტკბილი შეგრძნებით.  
 ყვავილთან ერთად გაფურჩქვნისას  
 ვიჭერ სინათლეს ხელისგულებით  
 მზესთან ერთად ამოსვლისას  
 მარცვალთან ერთად  
 ჩემს გულსაც ვდებ  
 ნახნავში ფრთხილად.  
 გარედან მოჩერებულ  
 მაყურებელს ჰგონია,  
 ლექსებს ვწერ თითქოს,  
 რატომ უნდა,  
 „დავისვარო ხელები ლექსით“,  
 ის არა კმარა ცოდვით სავსე  
 რომ დამაქვს სული...

## მე და შენ


მე და შენ ვსხედვართ ხის ქვეშ.  
 — ხე გაზაფხულით ცოცხლობს.  
 მე და შენ ვსხედვართ ხის ქვეშ  
 — ხე ზაფხულით ცოცხლობს.  
 მე და შენ ვსხედვართ ხის ქვეშ



- ხე შემოდგომით ცოცხლობს.  
მე და შენ ვსხედვართ ხის ქვეშ.
- ხე ზამთრით ცოცხლობს.  
მე და შენ დამარხულები ვართ  
ხის ქვეშ.
- ნეტავ ხე რით ცოცხლობს.

## ყვავილთგოდება

მესაფლავე, ფრთხილად,  
ეს ბარის პირს მოხვედრილი  
ყვავილის გოდებაა.  
იმის მილეული, უსუსტესი ხმა  
ტკივილს შეაგრძნობინებს ადამიანს,  
არათუ ცოცხალს,  
მიცვალებულთაც.




**ჰოვიკ  
ჰოვეიანი**


ჰოეგი. დაიბადა 1956 წელს, ერევანში. 1978 წელს, დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა გელერადიომაუწყებლობის სისტემაში, იყო მთავარი რედაქტორი, კულტურის პროგრამების უფროსი, 2001-2004 წ.წ. იყო სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2004-2006 წ.წ. სომხეთის კულტურის მინისტრი. ამავე დროს ერევნის უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორია. მისი ლექსები გამოიცა რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, სერბიაში, იტალიაში, აშშ-ში, სირიაში. ათამდე ჰოეგური კრებულის, მრავალი სტატიის, რადიო-საგელევიზიო გადაცემის ავტორია. მის სტენარებზე გადაღებულია ლოკუმენტური ფილმები. მის გექსტებზე დაიწერა მრავალი სიმღერა. ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

**პრელუდია მატარებლის შესახებ**

ერევნის ვაგზალზე ქუნჯუთის მარცვლებივით  
 გაფანტულ ბავშვებს არ აშინებთ  
 ელმავლის გაბზარულ სარკმელზე  
 ჩასუქებული კაკბის  
 ფრთების გატყლაშუნებით შემორჩენილი




პიკასოს სტილის ანაბეჭდი.  
ჩვენ, რომლებიც ამას შევესწარით  
და თითქოს არც შევსწრებივართ,  
ასე ვართ ნაჩხაპნილი  
ჩვენი დედასამშობლოს ხელნაწერის მინდორზე.  
ჩვენი მატარებელი, უკვე თექვსმეტი წელია,  
როგორც შინგამოკეტილი, შავოსანი დედაბერი,  
მიდუღებულია ამ ზარმაც, ირიბ რკინიგზას.  
ბორბლებში შეჭრილი ჟანგი კი  
ჩვენი დროა, ცივი ვაგონის  
გაბზარულ სარკმელზე  
ალბეჭდილ ფრინველს  
ხორბლად რომ ეჩვენება.  
ხოლო მოსაზღვრე  
ფეხმორთხმულ ქვეყანას  
თავისი არყოფნის  
უმზეო უფსკრულიდან  
ჩვენი ყოფის ყოველი განავარდება  
სძულს სიყვარულით,  
და ჩვენი სახის ნაკვეთებს  
ანტიკური სევდიანი სამყაროს  
ბროლის გუგაში ჩხაპნის.  
და იგივე ქუნჯუთის მარცვლებივით  
ვიკრიბებით,  
აჰა, მთელი გვარიშვილობა  
და დედაბუდიანად  
ვანვებით,  
ვანვებით ელმავლის  
დამყოლ ვაგონებს –  
ჩვენი ისტორიის ლიტონ ლეგენდებს,  
მთელი თავისი სიგრძე-სიგანით...  
და ჩვენი დაკარგული დრო,  
ჩაელილი,  
გახსნილი გულივით,  
მარადიულად  
ფეთქავს  
მამალმერთის ნატიფ



საფეთქელზე  
და მამაზეციერის გამჭვირვალე საფეთქლიდან  
ბრონეულის სისხლის  
მბრწყინავი მარცვლებივით,  
უხმოდ ცვივა  
ჩვენი ანბანის  
მძევლად დარჩენილი ფენიქსი ასოები.  
აიბ,  
ბენ,  
გიმ...  
აიბ,  
ბენ,  
გიმ...  
და ჩვენი მატარებელი, რომელსაც უხმობს  
ალზევანისა და ართვინის მხარე,  
ნაზად მიიწევს...

\* \* \*

და აი, გამჭვირვალე ხარი,  
რომლის მოცახცახე მუცელი  
სავსეა მოუნელებელი ყვავილებით და ღამეებით  
და აი, ყვავილები, რომლებიც სინამდვილეში  
ფენჯაბის რაიონში, მეჩვიდმეტე საუკუნის  
მეორე ნახევარში  
შავთვლწარბა თავმოკვეთილი ბოშები არიან.  
და აი, ღამეები, რომელთა ნაოჭებიდან  
ჩვენი ხელოვნების შუა საუკუნეთა  
ისტორია წვეთავს  
და მხრებს გვისველებს.  
აი, თვით ქალაქიც  
ხარი გამჭვირვალე,  
რომლის ბედისწერა გახვეულია  
ათასნაირ, ჯერ ამოუცნობ  
უბედობითა და მინისძვრებით.  
აი...  
აი...





\* \* \*

გზა დაკარგულა მთის კალთაზე  
და ბილიკად ქცეულა.  
მწვერალის სილურჯე დაგორებულია და  
თვალში ჩამეარდნია  
სილურჯის სანნახელია  
ჩემი თვალები...  
სილურჯე მახსოვს  
ყველაზე მეტად,  
მახსოვს სილურჯე  
დედაჩემის ნეკნის  
სამოთხე – ტბაში.  
დედაჩემი დაბადებულია  
მთის კალთებზე  
და საყდრად ქცეულა.

\* \* \*

ემასპინძლობ შემოდგომას,  
ვარ სავსე სიყვითლით,  
როგორც ზეცა  
ღვთის თვალებიდან გაფრენილი  
ფრთოსნებით.  
მომაკვდავი ფრინველი  
ღვთის ამოოხვრაა...






## დავით ჰოვანესი

პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. დაიბადა 1945 წ. ერევანში. ცნობილი სომეხი პოეტის, საქართველოს დიდი მეგობრის, პრაჩია ჰოვანესიანის ვაჟია. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა სომხეთის პერიოდულ პრესაში, კინოსტუდიაში, ლექციებს კითხულობდა (ანგიკური და უცხოური ლიტერატურა) სომხეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. სომხეთის ტელევიზიაში ათი წელი იყო ყოველთვიური ლიტერატურული გადაცემის „ნორჟ“-ის წამყვანი. ავტორია ოცდახუთზე მეტი წიგნის, პუბლიცისტური, კრიტიკული სტატიის, ესესა და რადიოპიესის (რუსულად). თარგმნა რუსული, უკრაინული, ამერიკული პოეზია. მოსკოვსა და ერევანში გამოსცა სამი წიგნი რუსულად და ინგლისურად. 1979 წლიდან საგამომცემლო სფეროში მუშაობს. იყო სომხეთის პარლამენტის დეპუტატი (1999-2003 წ.წ.). არის მრავალი პრემიის ლაურეატი, მათ შორის სახელმწიფო პრემიისა (2008 წ.). ამჟამად გამოცემლობა „არევიკ“-ის დირექტორია.

## მე ძვა ვარ


კარგად მიპატრონე, მე ძველთა ძველი ვარ,  
მემატიანე ვარ, სული და ნებისყოფა.  
მომავლის მაცნე ვარ, წინასწარმეტყველი,



შენი წარსული ვარ და შენი ანმყო ვარ.  
არ მინდა შემკობა სიტყვით და სამოსით,  
ვიყავი, ვარ დღესაც, სულ ასე ვიქნები,  
და ყველა სულდგმულზე უკეთ ეს მე ვიცი  
ადამიანებთან უსიტყვოდ ბაასი.  
მე საუბარი ვარ, და ვინც მე მომისმენს,  
პატივს ვცემ, ის მუდამ თაყვანის ღირსია,  
რადგანაც ჩემს ბებერ, ხავსიან ნეკნებზე  
ათასი სიტყვაა, ათასი სახელი,  
თუ ჩემს დარიგებას ყურსაც არ ათხოვებ,  
გაქრი, გამეცალე მსუბუქი ქარივით...  
რამდენი შენსავით ჭაბუკი მინახავს.  
მე მძიმე ლოდი ვარ, მე მუდამ დავრჩები.

## მარადიული სომეხი

აგერ, მე,  
მარადიული სომეხი,  
ვდგავარ გენოციდსა  
და მინისტერის შორის,  
ჩასისხლიანებული თვალები  
მასისისკენ მიმიპყრია.  
და მე მირტყამენ — სტიქია დაბლიდან,  
ღმერთი ზემოდან,  
მტერი წინიდან,  
მეგობარი ზურგიდან,  
აღმოსავლეთი მარჯვნიდან,  
დასავლეთი მარცხნიდან.  
მაგრამ არ ვმთავრდები.  
ვხედავ მრისხანე განკითხვის დღეს,  
მაგრამ სომეხი ვარ  
და ვერ მომკლავენ,  
იმიტომ, რომ  
ყველაფერი ვარ,  
ყველგან ვარ  
და ბოლო არა მაქვს.



შვილი ვარ ნანგრევების,  
დედა ვარ დაფეთებული,  
მამა ვარ დაუმარხავი,  
კუბო ვარ მოუხელთებელი,  
თითი ვარ მონყვეტილი,  
მინა ვარ დამზრალი,  
სახელი ვარ დავინყებული,  
რწმენა ვარ ნანამები,  
ცა ვარ მოქუფრული,  
ქვა ვარ გამსკდარი,  
ასო ვარ ნაშლილი,  
წყალი ვარ ამღვრეული,  
სიცილი ვარ შეკავებული,  
სიმღერა ვარ შეწყვეტილი,  
იმედი ვარ გაცრუებული,  
სული ვარ აღზევებული,  
ტანი ვარ ბუმბულგაცლილი,  
კანონი ვარ მკვდარი,  
აზრი ვარ აკვიატებული,  
ადამი ვარ გაძევებული,  
სამოთხე ვარ დაკარგული,  
ჯოჯობხეთი ვარ გაშლილი,  
ნიალი ვარ გამხეცებული,  
ლავა ვარ ამოფრქვეული,  
თვითმფრინავი ვარ ჩამოგდებული,  
სვეტი ვარ შემუსრული,  
პური ვარ გასრესილი,  
ღვინო ვარ დაღვრილი,  
სიტყვა ვარ დატყვევებული,  
პოეტი ვარ ჯვარცმული  
და ღმერთი ვარ გაორებული.  
და მრისხანე განკითხვის დღეს  
უნდა დავჯდე ღმერთის მაგიერ  
და უნდა ვიარსებო და ვინუგეშო,  
მინას მივაბარო და ვიშოვო,  
აღვადგინო და გავათბო,  
გავახსენო და შევეწინააღმდეგო,



ავანთო და ცეცხლი შევუკეთო,  
გავარჩიო და გავარკვიო,  
გაეახმოვანო და გავაგრძელო,  
ვუმკურნალო და ვასულდგმულო,  
მივიღო და მოვსულიერდე.  
შევიერთო და განვსაზღვრო,  
ვირწმუნო და დავბრუნდე,  
ვიპოვო და დავახურო,  
დავამშვიდო და კალაპოტს დავუბრუნო,  
გადავარჩინო და განვამტკიცო,  
ავნიო და შევაგროვო,  
გავათავისუფლო,  
ჩავიდე და გავლმერთდე.  
გ ა ვ ლ მ ე რ თ დ ე . . .  
რამეთუ დასაბამიდან  
პურია ჩემი სხეული და ღვინოა  
ჩემი სისხლი და  
ღმერთია ჩემი სიტყვა და  
ღმერთი ვარ მე.  
არ ვმთავრდები...  
და ვინც იგემა პური ჩემი,  
დაღია ღვინო ჩემი და  
მოუსმინა ჩემს ღმერთს და  
არ დაიჯერა,  
მნახა და არ მიცნო...  
სტიქია იქნება თუ ღმერთი,  
მტერი თუ მეგობარი,  
დასავლეთი თუ აღმოსავლეთი,  
დაბალია ჩემს წინანშე და პასუხი გამცეს  
მრისხანე განკითხვის დღეს,  
რადგან მე მარადიული სომეხი ვარ და  
სომხეთი ვარ,  
რადგან ყველაფერი ვარ,  
ყველგან ვარ და  
დასასრული არ გამაჩნია.




## პრიუსიმა

პოეტი. დაიბადა ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა ლიგერატურულ პრესაში. 1998 წ. დააფუძნა სომხეთის მწერალთა კავშირის საბავშვო-საყმაწვილო გაზეთი „ლუსაპსაკი“ („სინათლის გვირგვინი“). 2003 წ. დააფუძნა სომხეთის მწერალთა კავშირის ლიგერატურულ-საინფორმაციო ცენტრი „ცოლქერი“ და მისი ხელმძღვანელია. ერთდროულად მთავარი რედაქტორია ლიგ. ჟურნალის „ცოლქერ“-ის. წერს აგრეთვე ბავშვებისათვის. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენაზე. ავტორია ათამდე წიგნის.

## კლასიკური განწყობილება



თამბაქოს ბოლივით წელზე მეტმასნება  
 კევივით ინელება კვლავ დედა სამყარო,  
 ნეტავი ძველმა და ახალმა ოცნებებმა  
 წითელა ბატონებვით ტანზე დამაყაროს.  
 დილაც გასრულდება ბოლოს და ბოლოს,  
 ეს ჩემი აჩრდილი ჩემივე ეშმაკია...  
 ადრე თუ გვიან სანუთროს ტრიალი  
 ქარის წისქვილებსაც შეაჩერებს,  
 მერე ღვთაებრივი ლურჯი ათინათი



ჩემს არსს ნათლისფერი მტვერით შეაჯერებს.  
 ნაირფერ პეპლებად გამომცრის ტანზე  
 და ჩემს ორეულს დავემგზავრები  
 სოკოებივით აგორდებიან ცრემლები თვალზე  
 ათასფერადი, გამჭვირვალენი.  
 ვიცი, არსებობენ ცრემლის სოკოები,  
 ღმერთო, ძლიერო და სახიერო  
 ფესვებით ზეცად განშტოებულ ხედ გარდამსახე,  
 რომ ყოველთა ყოფთა ჩემთა  
 ხახადფჩენილ უფსკრულს უმზირონ,  
 რომ განვინმინდო ზეციურ გლოვით,  
 სულს აღზევება არ დაუშეძიმო.  
 ვიდრე სხეული სანთლად იღვენთებს  
 ზეცის ფრთოსნებო, წყალობად ჩემდა  
 თითო ბუმბული გამოიმეტეთ!!!

\* \* \*

მე უკვე მძულან თქვენი ძაღლები,  
 მე აღარ ვუგდებ თევზის კუდს კატას.  
 უკვე გბარდებით, რადგანაც შიში  
 ძვალსა და რბილში ჯინივით ატანს.  
 ქონდრისკაცების ბნელ ჯურღმულებში  
 ისევ ნამუსის ქუდი მახურავს.  
 ბოლო რაინდი კარებს დახურავს,  
 ჯერ არს ღვთისა და ერის მსახურად.  
 მენამულისფრად იღვრება ბინდი  
 ღრუბლებს კვეთს ჯვარი – ქვასავით მძიმე  
 და ჩემს აბურდულ სამკაულთ შორის  
 ელვარე დანა ამშვენებს მძივებს.  
 ახლა მზადა ვარ სპილოსავით რომ ჩავიჩოქო,  
 სასაფლაოზე ვარსკვლავეთის შარავანდედი  
 ქათქათებს უცხოდ გასაკვირველი.  
 დროა, ვილოცო, განვინმინდო მონანიებით,  
 ვიდრე მიმიხმობს ზეციური ლურჯი ფრინველი...




სულსაც მივიტან ზეცის კარამდი  
 რჩეულთა ხვედრით, ვარსკვლავებით სახემწუხარე,  
 ქარს გავატანე, თუ რამ წილად მარგუნა ღმერთმა,  
 და მანანნალა ქუჩის ძაღლებს გადავუყარე...

\* \* \*

ერთი ნაოჭიც შეემატა ჩემს შუბლს  
 ულამაზო, თუმცა მიმზიდველი...  
 შიშველი ფეხებით მორჩილად ჩაეფლო  
 დროის სავარძელში...  
 ეჭვგარეშეა: უსასრულო წუთი, მე და შენ  
 და შუბლზე ნაოჭის ახალი ხნული.  
 როგორმე უნდა მოვრიგდეთ სამივე...  
 დღე ურცხვად გაშიშვლდა  
 და შეგვატოვა სიგარეტის და ყავის სურნელს.  
 პრანჭია დრომ ფერ-უმარილით მოირთო სახე,  
 ერთი ნაოჭიც მოემატა, რომ დაკლებოდა  
 ჩვენს თვალებს  
 სიმშვიდის ფერი.  
 თეფშებზე ელვარებს ბროწეული  
 უკვდავების წითელ ვაშლისფრად...  
 რომელსაც უფლის ნებით დავაგემოვნებთ  
 ჩვენ გავხდებით აღმსრულებელნი ღვთისავე ნების  
 და შევერწყებით უცხო გალაქტიკის  
 დროის ლეგენდას...

## ჩემი კოშკები

თავზე დამემხო ოცნების კოშკი,  
 უნიჩბოდ დარჩენ ჩემი ნავები,  
 გამოჩორკნილ ხმლით დანამარცხები  
 ქვის ქანდაკებას დავემგვანები.



ხარხარებს ეშმა თავგამოდებით  
მე ძველთუძველეს ლოცვანს ვიხსენებ.  
ბედის კარუსელს, ჯვარს, წკვარამ ღამეს  
დაჭაობებულ უფსკრულს მრისხანეს.

ჩემი მოწყენა უდიადესი  
ფენიქსის დარად სიჭყვად მალღდება  
გაბრდღვიალებულ დარბაზონს მიღმა  
ვიღაცა სულში ჩამისახლდება...

რომ ცათაბჯენილ ოცნების კოშკებს  
საძირკველი არ გამოეცალოს,  
განვედ ურჩხულო! ხომ ოქროცურვილ  
სამოთხის კართან ნამი ეცვაროს  
სიზმრის ყვავილებს...

რომ ძველთაძველი იგავი სულში  
კოლა ნაბლივით გაერთმთლიანდეს.  
რადგან იპოვეს მათ ერთმანეთი  
და ცეცხლთან თამაშს ბედი მიანდეს.



# სარჩევნი

<b>ბაგრატ ალაქიანი</b> .....	5
შემიბრალე — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	5
მამაჩემი .....	6
<b>ვარლენ ალაქსანიანი</b> .....	7
დაბრუნება — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	7
უთავბოლო ლექსი .....	8
<b>არეკვატ ავაქიანი</b> .....	10
ყველაზე კარგი — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	10
განახლებული მზერა .....	11
ორშაბათი — დღე პირველი — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	12
<b>ლევონ ანანიანი</b> .....	14
სევანის ნაწილი ჰაერში მოქანავე — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	14
დაუსწრებელი ვახშამი რევაზ მიშველაძესთან .....	16
მამაჩემი .....	16
დროის წინაშე — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	17
<b>არა ართიანი</b> .....	19
ბალადა — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	19
თამაში ტკივილსა და სიყვარულთან .....	20
<b>არტემ არუთიანი</b> .....	22
სატელევიზიო-საინტერნეტო დაუსჯელობა — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა და ნანა აკობიძემ .....	23
<b>თათულ გოლორჩიანი</b> .....	26
მეხსიერება — თარგმნა მზია ხეთაგურმა .....	26
... სად მიაქვს ცის თაღს .....	27
... ჩემს ხელში ყვავის ლოტოსი .....	27
... ნეტავ სად ჩარჩა ჩემი ასაკი .....	27
... სხივი სხივს შორდება .....	28
... ყველაფერი ქრება და .....	28
<b>ანაიდა ბოსტანჯიანი</b> .....	29
ღვთიური სიტყვა .....	30

ოდა დედას.....	31
ვუპირისპირდები .....	32
მიძღვნა თბილისს .....	33
<b>ვიოლენტ ბრიგორიანი.....</b>	<b>35</b>
სიყვარული — თარგმნა შოთა იათაშვილმა.....	35
<b>ჰოვანეს ბრიგორიანი .....</b>	<b>44</b>
ბოლო სიტყვა — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	44
მე რა ვქნა, ლმერთო .....	45
სომხეთი .....	45
პოლიციის მოამბე — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	46
ამინდის პროგნოზი — თარგმნა გივი შაჰნაზარმა .....	46
—	
<b>გაგიკ დავთიანი.....</b>	<b>47</b>
ძეგლი მაიმუნს — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა.....	47
იარმყავი — თარგმნა ბალათერ არაბულმა.....	50
დამივიწყე .....	51
ზანგეზური — თარგმნა გულიკო პირველმა.....	52
ჯადოქრები — ანგელოზები .....	54
<b>რაზმიკ დავოიანი.....</b>	<b>56</b>
...როცა ამქვეყნად აღარ ვიქნებით — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა.....	56
ჩვენ ჭეშმარიტების ყმები ვართ და.....	57
<b>ლედვიგ ღურიანი .....</b>	<b>58</b>
...მინახავს მეთქი, წვეთი სისხლის — თარგმნა დავით შემოქმედელმა.....	58
მე უცნაური სიზმარი ვნახე.....	59
...რაც რამ მებადა .....	60
<b>ჰენრიკ ედოიანი .....</b>	<b>62</b>
ვინ ლოცულობს — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	62
...აჰა, გავლიე უკვე წლები .....	63
ტაძრის მშენებლობა — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა და ნანა აკობიძემ .....	63
<b>სონა ვან .....</b>	<b>66</b>
...ბაბუაჩემი მღვდელი იყო — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	66
დედაჩემი Down-Town-ში.....	69
აღსარება მაქვს მიცემული .....	71

მე მომბეზრდა .....	73
სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არის ორი და .....	75
<b>არტაქ ვოსკანიანი</b> .....	<b>77</b>
ციკლიდან „მონოლოგი“ — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	78
...იქ, ზევით, ცაში .....	79
ჩემს თავს .....	79
...ორპირისა და უკეთურის — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	81
შობა .....	82
<b>პრაჩია თამრაზიანი</b> .....	<b>83</b>
კითხვა უპასუხოდ — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	83
ორი ძალღი — ღამით და დღისით .....	84
<b>ჰამლეტ კარჭიკიანი</b> .....	<b>85</b>
მარტიროს სარიანს — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	85
საკუთარი თავის შესახებ .....	86
<b>სამველ კოსიანი</b> .....	<b>87</b>
შენ — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	87
სრბოლა .....	88
ალიარება .....	89
<b>ლილითი</b> .....	<b>90</b>
სკამი — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	90
ნუთუ ვერ ხედავ .....	91
ახალი წელი .....	92
<b>მეტაქსა</b> .....	<b>93</b>
ექსპრომტი — თარგმნა მზია ხეთაგურმა .....	94
თვითმყოფადობა — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	95
<b>ედვარდ მილიტონიანი</b> .....	<b>97</b>
...სიყვარულის ზღვა — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	97
მოვიდა ის დრო .....	97
სიამის კატა .....	98
პოეზია — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა და ნანა აკობიძემ .....	98
<b>სურან მურადიანი</b> .....	<b>101</b>
ოდა მტკვარს — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	102
ქართველი ქალები .....	103
მზესუმზირები .....	103
დანინდული ვართ .....	104

<b>ანაკიტი პარსამიანი</b> .....	105
ყველა, ვინც მოვიდა — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა.....	105
დუმილში უთქმელი სიტყვებია.....	106
გამიგეთ — თარგმნა ზაურ მალაშხიამ .....	107
...მოვა თოვლი .....	107
...ვინ უწყის, ვინ ვარ .....	107
...შენ არ მირეკავ .....	108
...მზის მინურვამდე .....	108
...მაშვრალი მგ ზავრი.....	108
...ჩემი ოთახი .....	109
...ლამდება .....	109
...ისევ გათენდა .....	110
<b>მარინე პეტროსიანი</b> .....	111
გასაღები — თარგმნა მაცყვალა გონაშვილმა .....	111
უცხოელი .....	112
ჩემი თევზი — თარგმნა შოთა იათაშვილმა .....	113
<b>ლიპარიტი სარგისიანი</b> .....	114
...ყველამ თავისი გზებით იაროს — თარგმნა ვაჟა ოთარაშვილმა... ..	114
...სახლს, რომელიც ინგრევა .....	114
...ო, ტახტრევანთან მლიქვნელთა ჯარი.....	115
...მე არ მშურს.....	115
...ყველა დასანწყის დასასრული აქვს .....	115
...მთებიც ბერდება.....	115
...საშინელია უსიყვარულო გული.....	115
...სად არის ნეტა.....	116
<b>რომიკ სარდარიანი</b> .....	117
ჩემო მეგობრებო — თარგმნა ნინო ახალკაციშვილმა.....	117
დაისი ბერძნულ წყლებზე.....	118
ბრონეულის მზის მარცვლები — თარგმნა მზია ხეთაგურმა.....	119
სიმღერა ერევანზე .....	120
...დედაქალაქი .....	120
...მე ის ენა ვარ.....	120
...თუ ჩემს სიტყვებში.....	121
<b>ჰრაჩია სარუხანი</b> .....	122
ბოლო კაცი .....	122
...ვერ გაგაცილებ .....	124
ფუნჯი და კალამი.....	125
უძველესი სიმღერა.....	125

<b>არამაის საპატიანი</b> .....	1
დედა — თარგმნა მაცვალა გონაშვილმა .....	1
მონანიება .....	1
<b>იური საპატიანი</b> .....	1
ომი — თარგმნა მაცვალა გონაშვილმა .....	1
...რამ გამაოცა .....	1
არა გრცხვენია ფრინველის — თარგმნა მზია ხეთაგურმა.....	1
ბალახი.....	1
მამაკაცები.....	1
თბილი კუთხე.....	1
ჩემში ცოცხლობს .....	1
თვალთ დამახსოვრებული.....	1
<b>ლუკას სირუნიანი</b> .....	1
ბედისწერა — თარგმნა მაცვალა გონაშვილმა .....	1
ზოგიერთ რამეზე .....	1
<b>ჟორა სნხჩიანი</b> .....	1
ესკიზი — თარგმნა დავით შემოქმედელმა.....	1
...ამსხვრევენ, ანანეერებენ .....	1
მე და შენ .....	1
...ჩემს ფანჯრებს იქით.....	1
ამ დილას .....	1
<b>არმენ შეკოიანი</b> .....	1
ლალატი — თარგმნა მზია ხეთაგურმა .....	1
აღსარება .....	1
ამდენი რამ.....	1
ბომჟი.....	1
ომი და მშვიდობა .....	1
თქვენსავით .....	1
პროფესია .....	1
ჰაეროვნება .....	1
უბედურება.....	1
მე და შენ .....	1
<b>გევორჯ ხაჩატურ</b> .....	1
დონ-ჟუანის ჩივილი — თარგმნა მაცვალა გონაშვილმა .....	1
<b>ვარდან ჰაკობიანი</b> .....	1
ბატონ მორის ფოცხიშვილს — თარგმნა მაცვალა გონაშვილმა.....	1
სუფთა ხელები — თარგმნა დავით შემოქმედელმა .....	1

მე და შენ .....	148
ყვავილთგოდება .....	149
<b>ჰოვიაჰ ჰოვიაჰნი.....</b>	<b>150</b>
პრელუდია მათარებლის შესახებ — თარგმნა	
ანაიდა ბოსტანჯიანმა .....	150
...და აი, გამჭვირვალე ხარი — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა .....	152
...გზა დაკარგულა.....	153
...ემასპინძლობ შემოდგომას.....	153
<b>დავით ჰოვანესი.....</b>	<b>154</b>
მე ქვა ვარ — თარგმნა მაყვალა გონაშვილმა.....	154
მარადიული სომეხი — თარგმნა ანაიდა ბოსტანჯიანმა და	
ნანა აკობიძემ .....	155
<b>ჰრიფსიმა.....</b>	<b>158</b>
კლასიკური განწყობილება — თარგმნა ეკა ბაქრაძემ .....	158
მე უკვე მძულან.....	159
ერთი ნაოჭიც შეემატა ჩემს შუბლს .....	160
ჩემი კოშკები .....	160

# **АНТОЛОГИЯ СОВРЕМЕННОЙ АРМЯНСКОЙ ПОЭЗИИ**

---

**АВТОР ПРОЕКТА  
МАКВАЛА ГОНАШВИЛИ**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ**  
**ВАЖА ОТАРАШВИЛИ**  
**РЕVAЗ МИШВЕЛАДZE**  
**АНАИДА БОСТАНДЖЯН**  
**ГИВИ ШАХНАЗАР**  
**МЗИЯ ХЕТАГУРИ**  
**ДАВИД ШЕМОКМЕДЕЛИ**

**РЕДАКТОР**  
**МАНАНА ГОРГИШВИЛИ**

**АВТОР ПОДСТРОЧНИКОВ**  
**МАКВАЛА ГЕУРКОВА-САХАКЯН**

**НА ОБЛОЖКЕ РИСУНКИ МАРТИРОСА САРЬЯНА**

დაიბეჭდა გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“

სტამბაში მხატვრის ქ. №4

32-73-62

31-70-47

თბილისი

2008